# საქართველოს რესპუბლიკა

**საკვირაო გამოშვება**

№168 (2541)

კვირა, 20 ივლისი, 1997 წელი.

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან.

ფასი 40 თეთრი.
თბილისის გარეთ 45 თეთრი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ედუარდ შევარდნაძე — ბილ კლინტონი:

# ყველაფერი, რაზეც 1994 წელს ვსაუბრობდით, გამართლდა!

**ვაშინგტონი, 19 ივლისი, საქინფორმის სპეც. კორესპონდენტები მაია ალუდაური, გიორგი აბაშიძე.**

დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ გუშინდელი დღე, 18 ივლისი, საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საეტაპო მნიშვნელობის თარიღია. გუშინ თეთრ სახლში გამართულ უმაღლესი დონის შეხვედრაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ერთმნიშვნელოვნად დაუდასტურა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს სახელმწიფოებრივი განვითარების კურსისა და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმებისადმი უპირობო და პრინციპული მხარდაჭერა.

* * *

სამ წელზე ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ომებით, ნგრევით, შიმშილით, ქაოსითა და არეულობით თითქმის წელში გაწყვეტილმა საქართველომ იმედის თვალით ოკეანის გაღმა გაიხედა და უმძიმესი დანაკარგების ფასად მოპოვებულ დემოკრატიულ ღირებულებათა დაცვა-შენარჩუნებაში დახმარება ითხოვა. და ეს თხოვნა, შორეული და თითქმის უცნობი ქვეყნიდან წამოსული, არ დარჩა თხოვნად და „ხმად მღაღადებლისა". საქართველო გადარჩა და, რაც მთავარია, გადაარჩინა თავისი უმთავრესი მონაპოვარი — არ დათმო ერთხელ და სამუდამოდ არჩეული დემოკრატიული განვითარების კურსი.

დღეს მსოფლიოში ძალთა და ინტერესთა სრულიად სხვა ბალანსია და თუ მაშინ ამერიკამ, თავისი პრინციპებიდან გამომდინარე, დაიცვა და დაუჭირა მხარი საქართველოში დემოკრატიულ ღირებულებებს, დღეს იგი უკვე თავისი საკუთარი კონკრეტული ინტერესებითაც ხელმძღვანელობს. კავკასიის ნავთობი, ყაზახეთის ენერგომატარებლები, ევრაზიის დერეფანი და მასთან დაკავშირებული ტვირთბრუნვის პერსპექტივა — ეს ყველაფერი ამერიკის პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად იქცა და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა კიდეც მისი მონაწილეობის ხარისხი რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში. საქართველო, თავისი გეოსტრატეგიული მნიშვნელობით, რომელიც რეგიონში მის განსაკუთრებულ როლსა და ფაქტორს უკავშირდება, ამ ინტერესის ცენტრში აღმოჩნდა.

ყველაფერი, რაზეც 1994 წელს ვსაუბრობდით, გამართლდა და თუ დღეს პლანეტას კიდევ ერთი დემოკრატიული ქვეყანა შეემატა, ამაში უდიდესია ამერიკის შეერთებული შტატების წვლილი, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

საუბარი ორი ქვეყნის პრეზიდენტებს შორის, რომელიც დაგეგმილი 30 წუთის ნაცვლად ერთ საათს გაგრძელდა, შეეხო როგორც გლობალური პოლიტიკის საკითხებს, ისე ორმხრივ ურთიერთობასა და მის პრიორიტეტებს.

განიხილეს აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხები. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა პრეზიდენტ კლინტონის ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ გამოიკვეთა კონფლიქტის მოწესრიგების მიზნით გაეროს ეგიდით სამშვიდობო ოპერაციის განხორციელების აუცილებლობა. მან განაცხადა, რომ ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი იქნება ჟენევის შეხვედრა, რომელიც ასევე გაეროს ეგიდით გაიმართება და რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ეუთო და საქართველოს მეგობართა ჯგუფის სახელმწიფოები, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატები.

პრეზიდენტმა კლინტონმა კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში ერთმნიშვნელოვანი დახმარება აღუთქვა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს და განაცხადა, რომ შეერთებული შტატები მტკიცედ დაუჭერს მხარს საქართველოს პოლიტიკას ამ თვალსაზრისით.

ამერიკის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს როლი და მნიშვნელობა კავკასიის რეგიონში და განაცხადა, რომ შეერთებული შტატები მიესალმება კასპიის ადრეული ნავთობის ნაწილის საქართველოზე გატარების შესახებ გადაწყვეტილებას. იგი ასევე მიესალმება დიდი ნავთობის საქართველოზე გატარებასაც.

„ამერიკა მხარს უჭერს საქართველოს და მთლიანად კავკასიის ახალ სატრანზიტო ფუნქციას", — განაცხადა ბილ კლინტონმა.

თეთრი სახლის ლიდერი შეეხო საქართველოში მიმდინარე, მიდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს და განაცხადა: „ჩვენ სასიამოვნოდ გვანცვიფრებს საქართველოში მიღწეული სტაბილურობა, მისი დემოკრატიული განვითარება, რაც განსაკუთრებით ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებითა და პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევით გამოიხატა. ჩვენ მივესალმებით ახალგაზრდა პროგრესული თაობის აქტიურ ჩართვას ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ კვლავაც მტკიცედ დავუჭერთ მხარს თქვენს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებს".

იხ. მე-2 გვ.



საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბილ კლინტონის პირისპირ შეხვედრა.

სერგო ედიშერაშვილისა და ვლადიმერ ვალიშვილის ტელეფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# თეთრი სახლი, 18 ივლისი, 18 საათი

ზუსტად ამ დღეს და ამ საათს, დაუგვიანებლივ, რადგან თეთრი სახლის მკაცრი ოქმით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან — ამ შემთხვევაში, — ბილ კლინტონთან დაგეგმილი შეხვედრის დროის დარღვევა პრაქტიკულად გამორიცხულია, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გადააბიჯა ოვალური დარბაზის კარის ზღურბლს.

მაგრამ, რაც პრაქტიკულად საერთო წესია, როგორც წესი, დაირღვა — ორი პრეზიდენტის პირისპირ საუბარმა დაგეგმილზე ორჯერ მეტ ხანს გასტანა: არასოდეს ჩატეულა შევარდნაძესთან საუბარი ოქმის პროკრუსტეს სარეცელში...

რაც უფრო აგვიანებდა საქართველოს პრეზიდენტი გამოსვლას ჟურნალისტებთან, მით უფრო იმედიანი ხდებოდა ჩვენი მოლოდინი: ალბათ, ·კარგი ამბებია...

როგორც იქნა!..

თეთრ სახლში მიღებული წესისამებრ, პრესკონფერენცია ადგილობრივი (მრავალრიცხოვანი) და ქართველი ჟურნალისტებისათვის შენობის გარეთ, ვთქვათ ასე, კოინდრებიან ეზოში გაიმართა.

იხ. მე-2 გვ.

## 29 დღეს

**ჩვენი გაზეთის საკვირაო გამოშვების სტუმარია საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირისა" და პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბარამიძე.**

იხ. მე-3 გვ.

## ინფორმაცია

### ზურაბ ჟვანიას განცხადება

ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში ამ ბოლო დროს წარმოქმნილ განხეთქილებასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ 19 ივლისს ქართული საზოგადოების წინაშე გააკეთა განცხადება:

„ჩვენ კოლეგებთან ერთად ვიმსჯელეთ ამ პროცესებზე. მიუხედავად პოლიტიკური პარტიების სხვადასხვა მოსაზრებისა, დიალოგში საერთო პოზიცია გამოიკვეთა. როგორც საქართველოს კონსტიტუციაშია აღნიშნული, ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. ქართული ეკლესია საერთო ეროვნული ღირებულებაა, მით უმეტეს, როცა ქართველები ეროვნული თანხმობის მიჯნასთან ვდგავართ.

ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას ამ დღეებში მარხვისა და ლოცვის გაძლიერების შესახებ, რაც ოდითგანვე ქართული ტრადიცია იყო. დარწმუნებული ვარ, რომ ამ გამოცდას ქართული დედა-ეკლესია ღირსეულად გაივლის. ჩვენ კი ხელს შევუწყობთ ეკლესიის ერთიანობის შენარჩუნებას", — ნათქვამია განცხადებაში.

### სასაზღვრო ზოლში თავისუფალ ვაჭრობაზე შეთანხმდნენ

„იბერიის" კორესპონდენტს საქართველოში სომხეთის საელჩოდან აცნობეს, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის ორმხრივი შეთანხმების თანახმად, მიღებულია გადაწყვეტილება სასაზღვრო ზოლში თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, ე.ი. ნებადართულია სასაზღვრო ზოლში ვაჭრობა ბაჟის გადაუხდელად იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება საქონელს, რომელიც საქართველოში და სომხეთშია დამზადებული. ეს არ ეხება საქართველოში და სომხეთში ტრანზიტით გამავალ ან იმპორტირებულ საქონელს.

### ვისთვის - როგორ...

„იბერიის" კორესპონდენტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, რომ კვლავ რამდენიმე ხნით გადაიდო ქართველი დიპლომატის გიორგი მახარაძის სასამართლო პროცესი. როგორც ცნობილია, მას ბრალად ედება ის, რომ უბედური შემთხვევის შედეგად იმსხვერპლა აშშ მოქალაქის სიცოცხლე ვაშინგტონში ა.წ. იანვარში. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როდის გაიმართება სასამართლო, ამჟამად არ არსებობს — ეს მხოლოდ ამერიკული მხარის პრეროგატივაა.

ამავე დროს, მიუხედავად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კატეგორიული მოთხოვნისა, ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი ბულგარელი დიპლომატის, საერთაშორისო წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ფედერაციის საქართველოს ბიუროს ხელმძღვანელის ალექსანდრე მარინოვისათვის დიპლომატიური იმუნიტეტის მოხსნის საკითხი. როგორც ცნობილია, ალექსანდრე მარინოვმა, რომელიც საჭესთან ნასვამი იჯდა, თბილისში იმსხვერპლა ორი ადამიანის სიცოცხლე.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „იბერიამ".

## უკანასკნელ საათს

ტომსკი. გუშინ აქ დაკრძალეს რამდენიმე კურსანტი იმ 12 დაღუპულთაგან, კავშირგაბმულობის სამხედრო სასწავლებლის ნანგრევებში რომ მოჰყვნენ. ცხედრები წაასვენეს რუსეთის სხვადასხვა კუთხეში, დაღუპულ კურსანტთა ოჯახებს გადაუხდიან „კომპენსაციას" 40-40 მილიონი რუბლის ოდენობით. ეს არის ფასი ხელისუფალთა დაუდევრობისა.

ნიუ-იორკი. გამოძიების ფედერალურმა ბიურომ გამოაცხადა ჯილდო 110.000 დოლარის ოდენობით ცნობილი მოდელიორის ვერსაჩეს მკვლელის პოვნისათვის. ბიუროს თანამშრომლებმა შემთხვევის ადგილზე 48 საათის შემდეგ გადაღებულ ფირში დაინახეს ეჭვმიტანილი კიუნენენი, რომელსაც, მათი აზრით, „როგორც დამნაშავეს, იდუმალი ძალა ეწევა დანაშაულის ადგილზე". გამოძიება გამოთქვამს ვარაუდს, რომ კიუნენენს შიდსი შეჰყარა ვერსაჩემ და ეს მკვლელობა მან შურისძიების მიზნით ჩაიდინა.

ხასავიურტი. მორიგი ძლიერი ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს ხასავიურტ-აქსაის გზაზე. „ჯოჯოხეთურ მანქანას" შემთხვევით წააწყდნენ ბავშვები.

ტალინი. ხვალ აქ იწყება საერთაშორისო კონფერენცია „არაძალადობა და კონფლიქტი. ეფექტიანი მშვიდობიანი გადაწყვეტის პირობები". როგორც რუსეთის ახალი ამბების ეროვნული სამსახური იუწყება, „კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატები დალაი ლამა, ეპისკოპოსი დესმონდ ტუტუ, აგრეთვე აფხაზეთის, ჩეჩნეთის, ტიბეტის, აღმოსავლეთ თურქმენეთის, ჰავაისა და სხვა რეგიონების დელეგაციები, ანუ სეპარატისტები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 15 ივლისი — ქ. თბილისი

**დ. სარიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი პირადი წვლილისა და ახალგაზრდა მექანიზატორთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში დიდი დამსახურებისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **დავით სარიშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 15 ივლისი — ქ. თბილისი

**ო. ბიბილეიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

მშენებლობის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის, სამშენებლო ინდუსტრიაში ახალი ტექნოლოგიების შემუშავების, საინჟინრო კადრების მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების თანამედროვე დონეზე მომზადებისათვის, სამეურნეო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს დამსახურებული ინჟინერი **ოთარ ბიბილეიშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

## ინგუშეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი აცნობებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ წერილი გაუგზავნა ინგუშეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს რუსლან აუშევს 23 ივნისს ინგუშეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გატაცებული ორი ქართველი მშენებლის მოძებნისა და დაბრუნების თაობაზე.

მიმდინარე წლის 17 ივლისს პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე მოვიდა ბატონ აუშევის საპასუხო წერილი: **„გატაცების მომენტიდან ინგუშეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოები ინტენსიურად მუშაობენ საქართველოს მოქალაქეების ოდიშელიძისა და ქავთარაძის მოძებნისა და განთავისუფლებისათვის, ამასთან დაკავშირებით მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ჩეჩნეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. ყოველი ახალი ცნობის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ იქნებით ინფორმირებული",** — ნათქვამია ინგუშეთის პრეზიდენტის წერილში.

საქართველოს პარლამენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

## ორბიტაზე

# „გერმანია კვლავ ერთგული მეგობარია"

რაც დრო გადის, სულ უფრო ფართოვდება იმ ქვეყნების არეალი, რომლებთანაც საქართველოს სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობა აქვს. 1994 წელს მათი რიცხვი სულ 54 იყო, 1995 წელს – 70, ხოლო შარშან – 83. შესაბამისად, 1996 წელს 1995 წელთან შედარებით, 60 პროცენტით გაიზარდა საქონელბრუნვა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამაღლდა ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტი, მასთან საქმიან კონტაქტს ეძებს სულ უფრო მეტი სახელმწიფო. მათგან ერთ-ერთი სერიოზული და იმედიანი პარტნიორი გერმანიაა.

როგორია ახლო მომავალში ჩვენი ურთიერთობის პერსპექტივა, რა სიახლეებს უნდა ველოდოთ? ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის მინისტრი **კონსტანტინე ზალდასტანიშვილი,** რომელიც ამას წინათ გერმანიასთან გამართულ სამთავრობო მოლაპარაკებაზე ქალაქ ბონში საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა.

იხ. მე-2 გვ.

## განცხადება

# საკუთარი სიცოცხლის ფასად შევასრულებთ საბრძოლო ამოცანას

**საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პრეს-სამსახურმა გაავრცელა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საბრძოლო დანაყოფების მეთაურთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:**

საქართველოს ერთგულება და მისთვის თავდადება სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმებისათვის თეორიული ცნება არ არის, ის ჩვენი ყოველდღიური შრომის, თავგანწირვის დედააზრია: სამშობლოს დაცვას და მის ღირსეულად სამსახურს საქართველოს, ერის სიყვარულით ვაწრთობთ და ამიტომაც არ არის ჩვენთვის იმაზე მაღალი მიზანი, რასაც სამშობლოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა წარმოადგენს. ეს არ არის პათეტიკურად წარმოთქმული სიტყვები. ეს არის ხალხისა და პრეზიდენტის წინაშე ჩვენი ურყევი ფიცი.

იხ. მე-3 გვ.

## პრესკონფერენცია

# „თენგიზ სიგუამ გამარჯვების ზეიმი ნაადრევად აღნიშნა"

ყველასათვის კარგადაა ცნობილი ის გახმაურებული სამოქალაქო პროცესი, რომელიც ვაკის რაიონის სასამართლოში მიმდინარეობს. აქ მოპასუხის როლში საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, ასევე ყოფილი სახელმწიფო მრჩეველი იოსებ ცისკარიშვილი და საბაჟოს ექს-თავმჯდომარე ალექსანდრე იოსელიანი გვევლინებიან.

სარჩელი ითვალისწინებს სიგუას, იოსელიანისა და ცისკარიშვილისათვის, მათი უკანონო ქმედობით სახელმწიფოსათვის მიყენებული დიდი რაოდენობის მატერიალური ზარალის ანაზღაურების დაკისრებას.

მოსახლეობისათვის პრესის საშუალებით ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ზემოთ დასახელებული პირები გადაჭრით უარყოფენ მათდამი წაყენებულ ბრალდებას და თავიანთ გარშემო ატეხილ აურზაურს ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ანგარიშსწორებით ხსნიან.

იხ. მე-3 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№168. კვირა, 20 ივლისი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ედუარდ შევარდნაძე — ბილ კლინტონი:

# ყველაფერი, რაზეც 1994 წელს ვსაუბრობდით, გამართლდა!

პრეზიდენტმა კლინტონმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა მსოფლიო პროცესებში საქართველოს სულ უფრო აქტიური ინტეგრაციის აუცილებლობას. „ჩვენ რაც შეიძლება აქტიურად უნდა ვიმუშაოთ ერთობლივად საერთაშორისო სტრუქტურებში, უწინარეს ყოვლისა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს გაერთიანების მიზნით", — განაცხადა ბილ კლინტონმა.

კავკასიაში მყარი და სტაბილური მშვიდობის დამყარების აუცილებლობის კონტექსტში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს როლი და მასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივის „მშვიდობიანი კავკასიის" მნიშვნელობა. „თქვენი ინიციატივა ძალზე საჭირო და მნიშვნელოვანია. ამ ინიციატივით თქვენ ამკვიდრებთ ახალ მენტალიტეტს. ეს არის მშვიდობის და არა ომის მოლოდინის მენტალიტეტი", — განუცხადა ბილ კლინტონმა ედუარდ შევარდნაძეს და კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ საქართველო თავის მეზობელ სახელმწიფოებთან სწორედ ამ მენტალიტეტის შესაბამის მშვიდობიან და კეთილმოსურნე ურთიერთობას ამენებს.

საუბრის დასასრულს ამერიკის პრეზიდენტმა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს დაუდასტურა თავისი მხარდაჭერა სენატის გადაწყვეტილებისადმი მომავალ წელს საქართველოსთვის 100 მილიონი დოლარის დახმარების გამოყოფასთან დაკავშირებით.

პრეზიდენტ ბილ კლინტონთან შეხვედრის დამთავრების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა თეთრი სახლის ეზოში მომლოდინე ჟურნალისტთა თხოვნით ხანმოკლე პრესკონფერენცია გამართა. **(მასალა პრესკონფერენციის შესახებ ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ქვეყნდება — რედ.).**

* * *

თეთრ სახლში გამართული უმაღლესი დონის შეხვედრამდე კი საქართველოს პრეზიდენტს რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონდა.

დილით ედუარდ შევარდნაძეს რეზიდენციაში ეწვია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორის მოადგილე სტენლი ფიშერი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავად ცალკეული პრობლემისა, ქვეყანაში ფინანსური სტაბილიზაცია კლასიკური ფორმით ხორციელდება, რასაც უაღრესად დადებითად აფასებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

გუშინვე საქართველოს პრეზიდენტს შეხვედრა ჰქონდა მსოფლიო ბანკის პრეზიდენტთან ჯეიმს ვოლფენსონთან.

როგორც წინა რეპორტაჟებში აღვნიშნეთ, ამერიკის შეერთებული შტატები განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოში ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობას და მზად არის გააძლიეროს მხარდაჭერა ამ სფეროში. მსოფლიო ბანკმა 1994 წლიდან დღემდე საქართველოში სტრუქტურული რეფორმირების 11 პროექტი დააფინანსა. ამასთან იგი, სხვა სახელმწიფოების აქტიური მონაწილეობით, დიდ დახმარებას უწევს ენერგეტიკის სფეროს.

სულ ახლახანს საქართველოს ენერგეტიკის სექტორის რეაბილიტაციისათვის ბანკმა 52 მილიონი დოლარი გამოყო. მსოფლიო ბანკი ჩართულია ევროაზიის დერეფნის განვითარებისა და ნავთობის ტრანსპორტირების პროცესში. აპრილში მის მიერ დამტკიცებული 1,4 მილიონი დოლარი მოხმარდება საქართველოში ნავთობის სექტორის პოტენციალის შემდგომ განვითარებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიო ბანკის მონაწილეობა ენერგომატარებლების ტრანსპორტირების პროცესში. როგორც ჯეიმს ვოლფენსონმა განუცხადა საქართველოს პრეზიდენტს, მსოფლიო ბანკი მზად არის დააფინანსოს საქართველოს გაელით ეგრეთ წოდებული დიდი ნავთობის ტრანსპორტირების პროექტი, მან აღნიშნა აგრეთვე, რომ ბანკი მზად არის გააგრძელოს და გააფართოოს საქართველოსთან თანამშრომლობა და დაეხმაროს მას სოციალური პრობლემების მოწესრიგების საქმეში.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს ქვეყანაში მიმდინარე დადებით ძვრებში აქტიური და ქმედითი მონაწილეობისათვის და აღნიშნა ამ პროცესებში ბანკის განსაკუთრებული წვლილი.

ამერიკის ვაჭრობის სამინისტროს გარკვეული რესურსები აქვს გათვალისწინებული საქართველოსთვის დასახმარებლად და იმედი გვაქვს, რომ ჩვენს განზრახვასა და სურვილს გაიზიარებენ ქვეყნის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრაზე ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრმა უილიამ დეილიმ. მან განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა სუფსის ტერმინალის მშენებლობისა და ნავთობსადენების დაფინანსების საკითხს, აგრეთვე საქართველოსთან თანამშრომლობის გაფართოებას ოპიკ-ის ფარგლებში.

ამერიკის ვაჭრობის მინისტრმა რეგიონში ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა კავკასიის 45-მილიონიანი სამეწარმეო ფონდის შექმნას. მან აღნიშნა, რომ ფონდის თანხებიდან გარკვეული ნაწილი გათვალისწინებულია ამერიკელ მეწარმეთა ინვესტიციების გარანტიისათვის. „ჩემი მოვალეობაა ამერიკელ ბიზნესმენებამდე მივიტანო სრული და დამაჯერებელი ინფორმაცია თქვენი მიღწევების შესახებ და გპირდებით, რომ „აგრესიულად აქტიურები" ვიქნებით თქვენთან თანამშრომლობაში", — განაცხადა უილიამ დეილიმ. აქვე მან ხაზგასმით აღნიშნა საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესით ამერიკელ ბიზნესმენთა დაინტერესება და გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ ინტერესს ორივე მხარემ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი.

უილიამ დეილიმ გაიზიარა საქართველოს პრეზიდენტის შეხედულებები ევროკავშირთან და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან საქართველოს თანამშრომლობის გააქტიურების შესახებ და აღნიშნა, რომ ამერიკა მხარს უჭერს საქართველოს ამ მისწრაფებას.

* * *

საქართველოსა და მთლიანად კავკასიის რეგიონში მშვიდობის დამყარების შესაძლებლობა, ამერიკის როლი რეგიონში არსებული კონფლიქტების, მათ შორის აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში — ასეთი იყო საქართველოს პრეზიდენტისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებლის სტროუბ ტელბოტის შეხვედრის თემები.

შეხვედრაზე აღინიშნა ქართულ-ამერიკის ურთიერთობის განვითარების დინამიკურობა და გამოითქვა რწმენა, რომ ეს ურთიერთობა, რომელიც თანდათან იხვეწება, სულ უფრო მრავალმხრივი და აქტიური ხდება.

საქართველოს პრეზიდენტმა და სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა განიხილეს აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების მიზნით მოლაპარაკებათა ფორმატის გაფართოების საკითხები და ამ თვალსაზრისით ჟენევის შეხვედრის მნიშვნელობა.

როგორც სტროუბ ტელბოტმა განაცხადა, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი აფხაზეთის კონფლიქტს ორი მთავარი პრინციპიდან გამომდინარე განიხილავს. „ეს არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობა, რომელიც პრინციპული საკითხია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი რეგიონისათვის, და სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაცია", განაცხადა ტელბოტმა.

შეხვედრაზე განიხილეს ეკონომიკური საკითხებიც. მათ შორის ევრაზიის დერეფნის პროექტის განხორციელების პერსპექტივა. ტელბოტი დაინტერესდა, აგრეთვე, საქართველოში სასამართლო და პენიტენციური სისტემის რეფორმის მიმდინარეობით. „საქართველოს გარანტირებული აქვს ამერიკის მხარდაჭერა ყველა ამ მიმართულებით", — განაცხადა ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა.

გუშინ გაიმართა კიდევ რამდენიმე საინტერესო შეხვედრა. მათ შორის, ამერიკის ექსიმბანკის პრეზიდენტთან ჯეიმს ჰარმონთან. ინფორმაციებს ამ შეხვედრების შედეგების შესახებ ხვალ გადმოგცემთ.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

# თეთრი სახლი, 18 ივლისი, 18 საათი

— რამდენ ნაცნობ სახეს ეხედავ, — ღიმილით მიესალმა ედუარდ შევარდნაძე ჟურნალისტებს, რომლებიც აშშ დედაქალაქში მრავალგზისი ვიზიტების დროს შეხვედრიან მას, და უცებ დამყარდა კონტაქტი მასმედიის არცთუ მარგივ წარმომადგენლებსა და საქართველოს პრეზიდენტს შორის.

ეს არ იყო მეორეხარისხოვანი, თუ სასხვათაშორისო მომენტი, რადგან ადგილობრივთა შორის ერთი-ორი ისეთი „ქოფაკი" იყო, როგორც გვითხრეს, ისეთი მწარე ენისა და კალმის პატრონი, რომ პრეზიდენტებს ცეცხლივით ეშინიათ ჟურნალისტური ელიტის ამ ხანდაზმული წარმომადგენლებისა.

ვის ეშინია, ვის — არა...

— ძალიან კარგი შეხვედრა იყო, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ. — ეს ჩვენი მეორე შეხვედრაა. პირველად პრეზიდენტ კლინტონს 1994 წელს შევხვდი.

განვიხილეთ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში კავკასიის პრობლემები, განსაკუთრებით, საქართველოს მდგომარეობა, რომელმაც გარკვეულ წარმატებებს მიაღწია დემოკრატიისა და ეკონომიკის განვითარებაში. ეს მნიშვნელოვანწილად იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ შეერთებულმა შტატებმა დიდი დახმარება გაგვიწია.

განვიხილეთ კავკასიის ახლებურ ფუნქციასთან დაკავშირებული საკითხები — ევრაზიის დერეფნის განვითარება, ნავთობსადენების პრობლემა და, საერთოდ, კავკასიის სტაბილურობის საკითხები.

ვიმსჯელეთ სხვა საკითხებზეც — მეზობელ ქვეყნებთან ჩვენს ურთიერთობაზე, გლობალურ პრობლემებზეც და, ბუნებრივია, — საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის პერსპექტივაზე.

შეხვედრა დაგეგმილი იყო ნახევარი საათით, ერთ საათს კი გაგრძელდა. იყო აზრებით, წინადადებებით დატვირთული საუბარი.

— თქვენ მოგეწონათ მისი პასუხები, ვთქვათ, მილსადენებთან დაკავშირებით? — ამერიკელი ჟურნალისტის მეკითხვა.

ედუარდ შევარდნაძე ერთხანს დუმს, შემდეგ გაუღიმებს, და უპასუხებს — მომეწონაო.

საერთო სიცილი— მოწონების ნიშანი.

— ყოველ შემთხვევაში, მე ხელს მაძლევს ის, რაც პრეზიდენტმა კლინტონმა ბრძანა. ნავთობი იმდენია, ყველას გვეყოფა.

შეკითხვას, საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, რომელიც აიძულებს ჩვენს მოქალაქეებს ქვეყნის გარეთ ეძებონ საარსებო წყაროები („ამერიკის ხმის" კორესპონდენტი ეთერ ფიჩხაძე), ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა:

— თქვენ იცით, რომ ჩვენ გადავიტანეთ უმძიმესი წლები — სამოქალაქო ომი, სისხლიანი კონფლიქტები. დღეს ქვეყანა სტაბილურია, დემოკრატიულია; მეც (მინიშნებით — ა.ს.) დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი ვარ...

ქართველები სხვაგან ვერ ხარობენ. დაიწყო დაბრუნების პროცესი. ეკონომიკა ვითარდება, ბიზნესი ვითარდება...

— აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ რა ითქვა?

— ითქვა, რომ აუცილებელია ახლებური მიდგომა, მოლაპარაკების ფორმატის გაფართოება, რომელშიც, რა თქმა უნდა, მონაწილეობას მიიღებს ამერიკის შეერთებული შტატები.

ასეთი ფორმატის პირველი შეხვედრა უახლოეს დღეებში შედგება ჟენევაში. მე რამდენიმე დღეში შევხვდები გაეროს გენერალურ მდივანს კოფი ანანს და, ალბათ, საუბარი გვექნება უფრო ფართომასშტაბიან ოპერაციებზე. რა თქმა უნდა, რუსეთის მონაწილეობით.

— 31 ივლისს ვადა გაუდით რუსეთის სამშვიდობო ძალებს აფხაზეთში; წავლენ თუ დარჩებიან?..

— მანამდე შედგება ჟენევის შეხვედრა და ეს შეხვედრა გვიკარნახებს, როგორ მოვიქცეთ.

— ჯარის რომელი კონტინგენტის ნახვას ისურვებდით აფხაზეთში — რუსული კონტინგენტის, თუ სხვა ქვეყნისას?

— მე ვფიქრობ, რომ არც ერთის გამორიცხვა არ შეიძლება. გაერომ უნდა მიიღოს ახალი რეზოლუცია, და ჩვენი თხოვნაც და ვარაუდიც არის, რომ ოპერაცია იყოს ფართომასშტაბიანი და მრავალეროვნული. რა თქმა უნდა, რუსეთის მონაწილეობით.

— კმაყოფილი თუ ხართ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და საფინანსო დახმარებით, განსაკუთრებით, მილსადენთან დაკავშირებით? თუ ამერიკას უფრო მეტად შეეძლო ინვესტირება პოლიტიკაშიც და ეკონომიკაშიც?

— მე ვუთხარი ბატონ პრეზიდენტს, რომ ჩვენ მადლიერი ვართ ამერიკის შეერთებული შტატებისა. ამ ქვეყნის დახმარება რომ არ ყოფილიყო, საქართველო შიმშილით ამოწყდებოდა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეტი აღარ გვჭირდება...

— მაგრამ ქართველი ხალხი, ალბათ, ჯერ კიდევ იბრძვის არსებობისათვის, სიტუაცია ხომ არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული, არ გჭირდებათ დახმარება?

— რა თქმა უნდა, გვჭირს, მაგრამ იმასთან შედარებით, რაც იყო, უკეთესი მდგომარეობაა.

— ელცინთან ნორმალური ურთიერთობა გაქვთ?

— მე ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა და ახლაც ნორმალური ურთიერთობა მაქვს რუსეთის პრეზიდენტთან.

— გორბაჩოვისა რა გესმით?

— გორბაჩოვთან პირადი შეხვედრები არა მაქვს, რადგან იშვიათად ვარ მოსკოვში...

— თქვენ ახსენეთ, რომ გლობალური საკითხებიც განიხილეთ, რაიმე სპეციფიკური ხომ არ გაგირჩევიათ?

— გლობალურ საკითხებში იმდენი ელემენტია, რომ ყველაფრის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. თქვენ კარგა ხანია, ამ სიცხეში დგახართ და მე რომ ლაპარაკი დავიწყო, კიდევ უფრო დაგლლით, — იხუმრა ედუარდ შევარდნაძემ.

— თქვენ მხარს უჭერთ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას?

— რაღა დროსია, — უკვე გაფართოვდა...

ჟურნალისტთა ერთსულოვანი სიცილი ამ პასუხის მოწონებისა და მთქმელის იუმორის უდავო აღიარების დასტური იყო.

— ჩემი პასუხი ყოველთვის ასეთი იყო: ზედმეტად ხდებოდა ამ პრობლემის დრამატიზება, კომპრომისი მოიძებნებოდა. ნატო გაფართოვდა, რუსეთი გახდა „დიდი რვეულის" წევრი, ხელი მოაწერა განსაკუთრებულ ხელშეკრულებას. ასე რომ, ყველა კმაყოფილია[illegible] — საქართველო [illegible] ნატოს წევრობას? — არ ცხრება ამერიკელი ჟურნალისტი ქალი.

— მე არ ვიცი, ჩემი პრეზიდენტობის დროს, ალბათ, არ მოესწრება. ჩვენამდე ხომ სხვა ქვეყნები არიან...

— გესიამოვნებოდათ ასეთი რამ? — თავი გამოიდო კოლეგამ, მგონი, „სი-ენ-ენიდან".

— ეს ნატოს უნდა ჰკითხოთ — ჩვენ ვესიამოვნებით, თუ არა.

— მაგრამ ელცინმა თქვა, არ გვინდა საქართველო გახდეს ნატოს წევრი (ჯიუტი ქალი ყოფილა ძალიან! თუმცა, მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო, — ამაზეა ნათქვამი).

— ელცინს თავისი აზრი აქვს, მაგრამ ელცინი საქართველოს პრეზიდენტი არ არის.

შეკითხვას რუსეთის ბაზების დარჩენა-არდარჩენის შესახებ ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა, რომ საამისოდ რუსეთმა ორი პირობა უნდა შეასრულოს — უნდა აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, და ქართული არმია უზრუნველყოფილი უნდა იყოს შეიარაღებით, ტექნიკით და სხვა. თუ ეს არ მოხდება, მაშინ არ იქნება რატიფიცირებული ხელშეკრულება ბაზების შესახებ. ამის შედეგი კი რაც არის, თქვენ კარგად იცით...

— ამერიკის შეერთებული შტატები თუ ეხმარება საქართველოს არმიის შექმნაში?

— ჩვენ ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეერთებული შტატებიდან უკვე ავიამზიდები დაიძრა საქართველოსკენ.

* * *

ამ პრესკონფერენციიდან ათიოდ წუთში ვაშინგტონს ისეთმა თქეშმა გადაუარა, ისეთი ჭექა-ქუხილი შეიქნა, გეგონებოდა, სამყაროს თაღი დასკდა და დაიმსხვრა, ჩამოიქცა— წყლის სვეტებად დაგვემხოო თავზე.

დახუთული ფილტვები გაუხსნა ქალაქს, აქამდე სუნთქვა რომ უჭირდა, და სიგრილე მოიტანა ზღვაურს გამოყოლილმა დიდმა წვიმამ.

კარგი ნიშანი უნდა იყოს, იტყოდნენ ძველი რომაელნი.

რომაელებს დაეჯერებათ.

სამართალი ხომ რომაელთაგან მოდის...

**არმაზ სანებლიძე,**
„სრ" სპეც. კორ.
ვაშინგტონი.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

---

ორბიტაზე

— ვიდრე 30 ივნისიდან 3 ივლისამდე ქ. ბონში გამართული სამთავრობო მოლაპარაკებების თაობაზე და იქ მიღწეულ შედეგებზე მოგახსენებდეთ, მინდა განვმარტო, რომ განსაზღვრული პროგრამების პრაქტიკული რეალიზაციისათვის გფრ-ის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალურ სამინისტროს საკუთარი მექანიზმი გააჩნია. კერძოდ, ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში განსახორციელებელი საკრედიტო პროგრამებისათვის — აღმშენებლობის საკრედიტო ორგანიზაცია (ᲙᲤᲕ); ხოლო ტექნიკური თანამშრომლობის ეგიდით მიმდინარე პროექტების სარეალიზაციოდ — ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (**GTZ**).

აქვე მინდა შევნიშნო, რომ წლეულს ბონის მოლაპარაკებები ბოლო მომენტამდე კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. ჩვენი გერმანელი პარტნიორების ინფორმაციის თანახმად, გერმანიის მთავრობა მათი ქვეყნის ეკონომიკისათვის ამ თავისებურად რთულ ეტაპზე უცხოეთის არც ერთ ქვეყანასთან სამომავლო ფინანსური და ტექნიკური თანამშრომლობის საკითხების განხილვას არ აპირებს. მით უფრო ნიშანდობლივი და დასაფასებელია, რომ ეს მოლაპარაკება მაინც შედგა.

ახლა რაც შეეხება სამთავრობო მოლაპარაკებების ძირითად შედეგებს: ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს 1997 წელს გამოეყო 40,5 მლნ. გერმანული მარკა. აქედან 4,5 მლნ. დახმარების დაუბრუნებადი ნაწილია, ხოლო 36 მლნ. კრედიტი შეღავათიანი პირობებით. მისი ხანგრძლივობა 40 წელიწადია. გადახდა დაიწყება 10 წლის შემდეგ 0,75 წლიური საპროცენტო განაკვეთით.

ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში 1997 წელს საქართველოს გამოეყო 7,5 მლნ. გერმანული მარკა. ხაზი უნდა გავუსვა, რომ ეს თანხა უკან არ ბრუნდება.

მინდა დავძინო ისიც, რომ ტექნიკური თანამშრომლობის მიზნით საქართველოსათვის გამოსაყოფი თანხის ბედ-იღბალი მოლაპარაკებების პირველ დღეს, ანუ 30 ივნისს ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი იყო. 1 ივლისს ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური მინისტრი ბატონი შპრანგერი და გერმანიის ფინანსთა ფედერალური მინისტრი ბატონი ვაიგელი. სწორედ ამ შეხვედრაზე უნდა გადაწყვეტილიყო **BMZ**-სთვის ფედერალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ოდენობა. გერმანიის ფინანსთა ფედერალურმა სამინისტრომ **BMZ**-ს საგრძნობლად შეუმცირა სხვა ქვეყნებისადმი დასახმარებელი სახსრები, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, ეს შემცირება საქართველოს არ შეეხო და 1997 წელს გამოგვეყო წინასწარ შეპირებული 7,5 მილიონი მარკა. ამის შესახებ ინფორმაცია მივიღეთ 1997 წლის 2 ივლისს.

სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ ეს ფაქტი ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის, ბატონ ედუარდ შევარდნაძისადმი გერმანიის მთავრობის ღრმა პატივისცემის, საქართველოს მიმართ კეთილი ნებისა და ამ ორი ქვეყნის ფინანსური და ტექნიკური თანამშრომლობის წარმატების დადასტურებაა. თვით გერმანიის დელეგაციამ აღნიშნა, რომ საქართველოსათვის წლეულს გამოყოფილი თანხა სხვა ქვეყნებთან შედარებით დიდია და რომ საქართველო ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მიღებული დახმარების მიხედვით ერთ-ერთი პირველთაგანია. გერმანელთა აზრით, გამოყოფილი თანხების მოცულობა მიუთითებს საქართველოს მიერ მძიმე პირობებში განხორციელებული რეფორმების აღიარებაზე, აგრეთვე წარმოადგენს ორ ქვეყანას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობის გამოხატვას. ეს დაფიქსირდა სამთავრობო მოლაპარაკებების შედეგად გაფორმებულ და მხარეების მიერ ა.წ. 3 ივლისს ხელმოწერილ შეთანხმების ოქმში.

**— რომელი პროექტები სრულდება ან უკვე შესრულებულია გერმანიის მთავრობისგან მიღებული ფინანსური და ტექნიკური დახმარების ფარგლებში?**

— მიმდინარე და დასრულებული პროექტების ნუსხა საკმაოდ გრძელი და მრავალფეროვანია. მათ შორის უმთავრესზე შევჩერდები.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ ფინანსური თანამშრომლობის სფეროში უდავო პრიორიტეტი საქართველოს ენერგეტიკის სექტორს უჭირავს. მისი რეაბილიტაციისათვის გერმანიის მთავრობამ კრედიტის სახით 1997 წლამდე უკვე გამოყო 90 მლნ. მარკა, აქედან 1996 წელს — 50 მლნ. ამ სახსრებიდან დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

— 30 მლნ. მარკა დაიხარჯა გარდაბნის თბოელექტროსადგურის მე-9 ბლოკის სარეაბილიტაციო სამუშაოზე, იგი განახორციელა ცნობილმა გერმანულმა ფირმამ „სიმენს"-მა.

— 23 მლნ. მარკა განკუთვნილია გარდაბნის ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის აღდგენისათვის. სამუშაოებს ახორციელებს გერმანული ფირმა **AEG**.

— 30 მლნ. მარკა მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილ კრედიტთან ერთად დაიხარჯება გარდაბნის თბოელექტროსადგურის მე-10 ბლოკის აღდგენისათვის.

— 7 მლნ. მარკა ჩადებული იყო სარეზერვო ფონდში.

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ უკვე მთავრდება ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარე ასევე მნიშვნელოვანი პროექტი ჩვენი ქვეყნის კერძო სასოფლო-სამეურნეო სექტორის მხარდასაჭერად. მის ფარგლებში ფაქტობრივად უკვე განაწილდა გერმანიის მთავრობის მიერ გამოყოფილი კრედიტი — 7 მლნ. მარკა. აღნიშნული საკრედიტო ხაზის „წყალობით" სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სფეროში უკვე 33 ქართული კერძო საწარმო დაფინანსდა.

რაც შეეხება ტექნიკური თანამშრომლობის სფეროს, დღემდე საქართველოს გერმანიისგან მიღებული აქვს 26,6 მლნ. მარკის უსასყიდლო დახმარება, აქედან 6,7 მლნ. მარკა 1996 წელს.

ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებს შორის მინდა გამოვყო ჯანმრთელობის დაცვის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ლეიკემიით დაავადებული ბავშვების მკურნალობას და ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლას დასავლეთ საქართველოში; ქ. თბილისის მაწის კადასტრის პროექტი; ღონისძიებები გარემოს დაცვის სექტორში; 75 ქართველი პაციენტის მკურნალობა ერევნის ორთოპედიულ ცენტრში და იქვე რვა ქართველი ტექნიკოს-ორთოპედის მომზადება; კონსტიტუციური სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს ხელშეწყობა; კონსულტაციები ფოთისა და ბათუმის პორტებისათვის, ასევე საკანონმდებლო საკითხებში და სხვა.

მთელი რიგი სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით გერმანიას საქართველოსთან განსაზღვრული აქვს დახმარების სფეროები კონკრეტული პროექტების დონეზე, რაც სახსრების კონცენტრირებისა და მათი მაღალეფექტიანი გამოყენების საშუალებას იძლევა. ამასთან, რაიმე პროექტის მესწავლაზე გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად ედება მისი შემდგომი რეალიზების პერსპექტივა, საკონსულტაციო სახსრების გამოყენება ეფექტიანი რომ იყოს.

**— რა პროექტებზე გაიხარჯება ბონში გამართული მოლაპარაკებების დროს გამოყოფილი თანხა?**

— გამოყოფილი სახსრები შემდეგნაირად განაწილდება:

— ელექტროენერგიის ზაჰესის რეაბილიტაციის პროგრამა — 12 მლნ. მარკა (კრედიტი). პროგრამა ითვალისწინებს დასავლეთ საქართველოს ელექტროსადგურებიდან აღმოსავლეთ საქართველოში განლაგებული ძირითადი დატვირთვის პუნქტებამდე გადამცემი სისტემის რეაბილიტაციის დაფინანსებას;

— ვარციხჰესის რეაბილიტაციის პროგრამა — 19 მლნ. მარკა (კრედიტი). საქართველოში ელექტროენერგიის გამომუშავებისათვის ჰიდროენერგორესურსების დიდი მნიშვნელობა კიდევ ერთხელ დაადასტურა გერმანელი ექსპერტების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ. სხვადასხვა ჰიდროელექტროსადგურის მდგომარეობისა და მათი პოტენციური სიმძლავრის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პრიორიტეტი;

— საკრედიტო ხაზი მცირე და საშუალო კერძო საწარმოების მხარდასაჭერად — 5 მლნ. მარკა (კრედიტი). ეს თანხა გათვალისწინებულია მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი ახალი, მიკროკრედიტბანკის შესაქმნელად;

— სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა და პროექტების მომზადება ენერგეტიკის სფეროში — 4,5 მლნ. მარკა (ფინანსური თანამშრომლობის დაუბრუნებადი ნაწილი).

რაც შეეხება ტექნიკური დახმარების ფარგლებში გამოყოფილ 7,5 მლნ. მარკას, იგი განაწილდება შემდეგი პროექტების დასაფინანსებლად:

— ჯანდაცვის სფეროს პროგრამის გაგრძელება — ბავშვთა ლეიკემიის მკურნალობა და ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლა;

— სოფლის მეურნეობის კერძო სექტორის მხარდაჭერა;

— სასოფლო-სამეურნეო სწავლების ხელშეწყობა;

— ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის, სამინისტროს კონსულტირება, რაც ექსპორტისა და ინვესტიციების ხელშემწყობი პროგრამის განხორციელებას გულისხმობს.

**— ჩვენთვის ახლა ექსპორტის გადიდება ჰაერივით საჭიროა. თუ შეიძლება, უფრო კონკრეტულად გვიამბეთ, რა არის გათვალისწინებული ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამით.**

— მოგეხსენებათ, საქართველოში ჩამოყალიბებული და ბოლო წლებში განხორციელებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ეკონომიკური წინამძღვრები ხელსაყრელ საფუძველს ქმნის ჩვენი ქვეყნის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა რადიკალური ცვლილებებისათვის. ეს სფერო საქართველოს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორად უნდა იქცეს. ამ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირება. ამის უცილო პირობას საქართველოში არსებული საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება და შემდგომი განვითარება წარმოადგენს. საქართველოს წარმოებისათვის საექსპორტო საქმიანობაში ხელშეწყობა ჩვენი სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა.

შარშან დონორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან უკვე დავიწყეთ თანხების ძიება ექსპორტის ხელშემწყობ პროგრამათა დასაფინანსებლად.

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალურ სამინისტროსთან შევათანხმეთ საკითხი საქართველოს მეწარმეებისათვის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებზე მონაწილეობაში (როგორც ექსპორტის ხელშეწყობის ერთ-ერთ მიმართულებაში) დახმარების გაწევის შესახებ. ამგვარ გამოფენა-ბაზრობებში მონაწილეობა დაკავშირებულია არა მარტო გარკვეულ გამოცდილებასთან, არამედ, რაც მთავარია, საკმაოდ სოლიდურ თანხებთან. ასეთი თანხები დღესდღეობით არც საქართველოს ბიუჯეტს და არც ჩვენს მეწარმეებს არ გააჩნიათ. გერმანიის ეკონომიკის ფედერალურმა სამინისტრომ განიხილა ჩვენგან მიღებული დასაბუთებული საპროექტო განაცხადი და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას (**GTZ**) დაავალა აღნიშნული პროექტის კონკრეტული მესწავლა მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

ჩვენი სამინისტროს სპეციალისტებმა და გერმანელმა ექსპერტებმა მოამზადეს საქართველოს სხვადასხვა დარგის საწარმოთა საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებზე მონაწილეობის წინადადებები. რეალური შედეგების მიღწევის მიზნით, შედგა გრძელვადიანი (3-4 წლიანი) პროგრამა. საქონლისა და მასზე მოთხოვნილების გათვალისწინებით პროგრამაში უნდა განისაზღვროს, თუ რომელი საწარმო რომელ გამოფენა-ბაზრობაზე მიიღებს მონაწილეობას. მიღწეულია შეთანხმება, რომ პროგრამის ყოველწლიურ „საყრდენ წერტილებს" უნდა წარმოადგენდეს ბერლინის საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო ბაზრობა — „მწვანე კვირეული" (როგორც ახალ, დასავლეთევროპულ ბაზარზე შესვლის საშუალება) და მოსკოვის საერთაშორისო ბაზრობა (როგორც ტრადიციულ, ყოფილ ბაზარზე დაბრუნების საშუალება).

გარდა ამ ორი გამოფენა-ბაზრობისა, დაგეგმილია ჩვენი საწარმოების მონაწილეობა სხვა სპეციალიზებულ გამოფენა-ბაზრობებზეც, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ევროპაში და დთს-ის ქვეყნებში. ხაზი უნდა გავუსვა, რომ აღნიშნულ პროგრამას დააფინანსებს გერმანული მხარე. ქართველმა მეწარმეებმა უნდა გაიღონ მხოლოდ სამივლინებო და ექსპონატთა გამოფენის მომწყობი ქვეყნის საზღვრამდე ტრანსპორტირების ხარჯები, ამის შემდეგ ევროპის ტერიტორიაზე ექსპონატების ტრანსპორტირების ხარჯებს გერმანული მხარე თავის თავზე იღებს. ზემოთ ნათქვამი გერმანელი ექსპერტების დაჟინებული მოთხოვნაა, ვინაიდან გარკვეული, თუნდაც მცირე ხარჯების გაწევა მნიშვნელოვნად აამაღლებს ჩვენი მეწარმეების პასუხისმგებლობას და წარმოაჩენს მათ რეალურ სურვილს, რათა გაზარდონ პროდუქციის კონკურენტუნარიანობა და მისი ექსპორტის მასშტ.

აღნიშნული გრძელვადიანი პროგრამის ფარგლებში, ტრადიციულ გამოფენა-ბაზრობებში მონაწილეობის პარალელურად, გადაწყვეტილია საზღვარგარეთ ჩვენი მეწარმეების მიზნობრივი მივლინებების ორგანიზება სანდო უცხოელ პარტნიორთან მათ დასაკავშირებლად. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის ჩვენი პროდუქციის კონკურენტუნარიანობას და შესაბამისად უცხოეთის ბაზარზე გატანის პერსპექტივას. ჩვენი მეწარმეების უცხოეთში ყოფნის პროგრამას, მათივე სურვილებიდან და მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, შეადგენენ ჩვენი სამინისტროსა და **GTZ**-ის ექსპერტები. პროგრამასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს თავის



# „გერმანია კვლავ ერთგული მეგობარია"

თავზე იღებს გერმანული მხარე.

ჩვენ გერმანელ ექსპერტებთან ერთად უკვე შევადგინეთ 1997 წლის გამოფენა-ბაზრობების პროგრამა დარგების მიხედვით. თითოეულ მათგანში მონაწილეობა ჩვენი სამინისტროსა და გერმანელი სპეციალისტების მეთოდურ-ორგანიზაციული და ფინანსური უზრუნველყოფით მოხდება.

ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამის პირველი ღონისძიებაა ჩვენი ქვეყნის საწარმოთა მონაწილეობით გამართული ბერლინისა და მოსკოვის საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო და კვების მრეწველობის დარგის გამოფენა-ბაზრობები, სადაც საქართველოს დებიუტი წარმატებული გამოდგა.

**— ბატონო კოტე! ექსპორტის განვითარებასთან ერთად არანაკლები მნიშვნელობა აქვს მცირე ბიზნესს. თქვენ ბრძანეთ, რომ მოლაპარაკებათა ერთ-ერთ შედეგს მცირე და საშუალო კერძო საწარმოების ხელშემწყობი საკრედიტო ხაზი წარმოადგენს. ორიოდე სიტყვა ამ პროექტზეც გვითხარით...**

— ბონის მოლაპარაკებებში მონაწილე მხარეებმა ერთხმად აღნიშნეს მცირე და საშუალო საწარმოთა მნიშვნელობა ეკონომიკის დინამიური განვითარებისათვის. როგორც უკვე მოგახსენეთ, გერმანიის მხარე მზად არის 50 მლნ. მარკის საკრედიტო ხაზის გამოსაყოფად. მას აითვისებს ახალი, ჯერ კიდევ შესაქმნელი კომერციული ბანკი — მიკროკრედიტბანკი. მის შექმნაში, გერმანული მხარის გარდა, მონაწილეობას მიიღებენ — რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი (**EBRD**) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (**IFC**). მიკროკრედიტბანკისათვის განსაზღვრულია 6,7 მლნ. მარკის საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალში წილობრივი მონაწილეობა შემდეგნაირი იქნება: **EBRD** — 20 პროცენტი, **IFC** — 20 პროცენტი. გერმანიის მთავრობიდან ფინანსური დახმარების ფარგლებში მიღებული თანხის ნაწილი — 20 პროცენტი, საქართველოს სხვადასხვა კომერციული ბანკები — 35 პროცენტი, ახალი ბანკის საკონსულტაციო ფირმა — 5 პროცენტი.

**— გერმანიის სხვა ეკონომიკურ თუ საფინანსო ორგანიზაციებშიც თუ გქონდათ შეხვედრები?**

— რა თქმა უნდა. საქართველოს დელეგაციას მეტად საინტერესო შეხვედრები ჰქონდა გერმანიის ეკონომიკური სფეროს რიგ ორგანიზაციებსა და უწყებებში. მათ შორის აღსანიშნავია შეხვედრები გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროში, ქ. ფრანკფურტში გერმანიის აღმშენებლობის საკრედიტო ორგანიზაციაში (**KFW**), სადაც გაიმართა საკმაოდ ხანგრძლივი და საქმიანი საუბარი საქართველოს ენერგეტიკის პრობლემებზე. განვიხილეთ ამ სფეროში გერმანიის მხრიდან განხორციელებული თუ მიმდინარე პროექტების მდგომარეობა და პერსპექტივები. შეთანხმდა მხარეებს შორის ძირითადი პრინციპები საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის დასახმარებლად გამიზნული ახალი ბანკის — მიკროკრედიტბანკის შექმნის თაობაზე და ხელი მოეწერა შეთანხმების მემორანდუმს.

ცალკე მინდა გამოვყო შეხვედრა კელნში გერმანიის განვითარებისა და საინვესტიციო საზოგადოებაში (**DEG**).

**DEG** წარმოადგენს შპს-ს, რომელსაც 2-2,5 მლრდ. მარკის წლიური ბრუნვა აქვს. **DEG** 1993 წლიდან მუშაობს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. მისი ინტერესის სფერო მხოლოდ კერძო სექტორშია. როგორც წესი, **DEG** პროექტებს მხოლოდ ნაწილობრივ აფინანსებს. ჩვეულებრივ დაფინანსება ხდება კრედიტის სახით. მაგრამ არც **DEG**-ს წილობრივი მონაწილეობაა გამორიცხული.

**DEG** არ აფინანსებს პროექტებს თავდაცვის სფეროში და წმინდა სავაჭრო ოპერაციებს.

ქ. კელნში შეხვედრაზე აღინიშნა, რომ **DEG** სერიოზულად არის დაინტერესებული საქართველოსთან თანამშრომლობის გაღრმავებით, კერძოდ კი, მისთვის დამახასიათებელი ყველა მიმართულებით: განვითარების საბანკო ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში ხელშეწყობა, ქართული საწარმოებისათვის გერმანელი პარტნიორების მოძიება, საკონსულტაციო თანამშრომლობა, სალიზინგო კომპანიის შექმნაში მონაწილეობა, საკრედიტო ხაზის გახსნა და ა.შ.

**DEG** უკვე ერთი წელიწადია თანამშრომლობს ჩვენს სამინისტროსთან და ჩვენი სამინისტროს მიერ დაარსებულ საქართველოს საინვესტიციო ცენტრთან (**GIC**). **DEG** უახლოეს მომავალში აპირებს ამ ცენტრთან კონკრეტული პროექტის განხორციელების დაწყებას.

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო **DEG**-ს მიერ აქამდე განხორციელებული საქმიანობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით. ჩვენი მონაწილეობით გერმანულ ენაზე მომზადდა მეტად საინტერესო და უცხოელ მეწარმეთა შორის პოპულარული საინვესტიციო გზამკვლევი საქართველოს შესახებ. იგი უკვე დაბეჭდილია და ვრცელდება დაინტერესებულ ორგანიზაციებსა თუ ბიზნესმენთა წრეებში. გათვალისწინებულია გამოცემის მუდმივად განახლება და გადამუშავება. ასევე აღსანიშნავია, რომ **DEG**-ს ექსპერტების მონაწილეობით შემუშავდა 23 ქართული საწარმოს ბიზნეს-პროფილი (გერმანულ და ინგლისურ ენებზე), რომელიც მიზანმიმართულად ეგზავნებათ მათ შესაძლო პარტნიორებს გერმანიასა და სხვა ქვეყნებში. დღის წესრიგში დგას ასევე **DEG**-ს მონაწილეობით საქართველოს ეკონომიკის ფართომასშტაბიანი პრეზენტაციის ჩატარება გერმანიაში.

ამჟამად **DEG**-ს ექსპერტი საქართველოში იმყოფება, რათა ქართველ პარტნიორებთან ერთად კონკრეტულად განისაზღვროს სამომავლო პროექტების მიმართულებები და მათი განხორციელების ეტაპები. გერმანელი ექსპერტის ინფორმაციით **DEG** მზად არის უკვე წელს გახსნას საკრედიტო ხაზი 5-დან 10 მილიონამდე გერმანული მარკის მოცულობით.

გერმანიაში ყველა შეხვედრა მიმდინარეობდა საქართველოსადმი კეთილგანწყობისა და ჩვენს ქვეყანასთან თანამშრომლობის რეალური ინტერესების ატმოსფეროში, რაც, თავის მხრივ, სამომავლო, ორმხრივად წარმატებული საქმიანობის გაგრძელების საწინდარია.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ულრმესი პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით მოვიხსენიო გერმანიაში ჩვენი საელჩოს ყველა წევრი, განსაკუთრებით — საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბატონი კონსტანტინე გაბაშვილი. მათ ჩვეული პროფესიონალიზმითა და გულისხმიერებით დიდი წვლილი შეიტანეს როგორც სამთავრობო მოლაპარაკებების მომზადების, ასევე მიმდინარეობის პროცესში.

ერთხელ კიდევ მინდა აღვნიშნო, რომ გერმანია არის და კვლავ რჩება საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ერთგულ პარტნიორად და მეგობრად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების ძნელად სავალ გზაზე. იგი არა მარტო ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში ეხმარება ჩვენს ქვეყანას, არამედ დიდია მისი წილი საქართველოსთვის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებულ დახმარებაში (მაგალითად, ევროკავშირის დახმარების პროგრამები, დახმარება მსოფლიო ბანკიდან და სხვა).

— დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის.

ესაუბრა
**ელგუჯა ლებანიძე.**

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი დროში

29 რუბრიკას უძღვება ბონდო მინარაშვილი

# გიორგი ბარამიძის ალფა და ომეგა

*ჩვენ კანონებით ვიწყებთ ცხოვრებას. ცხოვრება ქმნის კანონს. მაგრამ ამ კანონის მიღმა მისი შემოქმედნი დგანან. ვინ არიან ისინი, ვინ უნდა გვიკარნახოს ჩვენ, ქართველებს, კანონები?*

*დღეს შევეცდები გაგაცნოთ ერთი მათგანი, გიორგი ბარამიძე, და თავად განსაჯეთ, შეუძლია თუ არა მას, იყოს კანონშემოქმედების მონაწილე.*

*შევეცადეთ ჩასწვდეთ მისი ხასიათის ნიუანსებს, დაინახოთ ადამიანი თავისი განცდებითა და ტკივილებით.*

## 2.1. ანარქისტი იორამი

თუკი გიორგი ბარამიძეს მის წარსულზე ჰკითხავთ, დაწვრილებით მოგიყვებათ ყველაფერს, მაგრამ თავს არ შეგაწყენთ.

თბილისში, ინტელიგენტის ოჯახში დაბადებულმა, სასწავლებელიც გამორჩეული — პედაგოგებითა და კონტინგენტით — მარცხენა ნაპირის უპირველესი, 23-ე სკოლა დაამთავრა და აქ შეიძინა მეგობრები, რომლებიც დღესაც თავისი საქმიანობის უპირველეს შემფასებლებად მიაჩნია. ამბობს, საოცრად განათლებული და პატიოსანი მეგობრები მყავსო და ემაყება, რომ დღესაც ერთ ოჯახად არიან.

16 წლისა უკვე პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტია.

ინსტიტუტში სწავლის პირველსავე წლებში საზოგადოებრივად აქტიური საქმიანობა იზიდავდა, მაგრამ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

გიორგი ბარამიძის გასაცნობად, მისი სპორტული კარიერის შესახებაც მოკლედ გეტყვით: ბავშვობიდან დადიოდა ცურვაზე, წყალბურთზე, რაგბიზე, მე-6 კლასიდან კი სერიოზულად მოჰკიდა ხელი ფარიკაობას და ახლა დაშნით ფარიკაობის ოსტატობის კანდიდატია.

ჯარში გამოვლინდა პირველად მისი ანარქისტობა. მკლავიც ერჩოდა და ანარქისტი „იორამი" ხშირად ჩხუბობდა — ვერ ეგუებოდა საბჭოთა დამსჯელ სისტემას. სამხედრო ნაწილიდანაც გაქცეულა, „ნაომბახტშიც" მჯდარა და იმათ ოხტშიც ამოსულა, არც იქიდან გაქცევა დაუკლია.

„ანარქისტი საშიში იყო...

მეტად ფიცხი, ფეთიანი ხასიათისა".

ასე იყო თუ ისე, 1988 წელს მოიხადა სამხედრო ბეგარა და კვლავ მშობლიურ ინსტიტუტს დაუბრუნდა, სადაც უკვე სხვა პროცესი დაწყებულიყო.

„მოდის, გუგუნით, ჭექით, ძლიერებით მოდის — რევოლუცია!" — ინსტიტუტში გამართულ კრებაზე გამოვიდა ახალგაზრდა კაცი და რექტორს ღიად შეეწინააღმდეგა — პრობლემური საკითხების კორიანტელი დააყენა. თურმე, ინსტიტუტში ფარული ჯგუფი არსებობდა და გია ბარამიძე სიამოვნებით მიიღეს თავისთან, მისი რადიკალიზმი და შეუპოვრობა მოეწონათ.

ერთ დღეს მისი უახლოესი მეგობრის სერგო რატიანის დედამ, ქალბატონმა ლალი ცერცვაძემ ბიჭებს უთხრა, ეროვნულ მოძრაობაში თქვენი გასაკეთებელი კონკრეტული უბანი აირჩიეთ და იმას გაჰყევითო. გარემოს დაცვის საკითხები აირჩიეს. ქალბატონმა ლალიმ ისინი გია თარხან-მოურავთან მიიყვანა უნივერსიტეტის ეკოლოგიურ ასოციაციაში, სადაც იმდენი პროფესორ-აკადემიკოსი და გიასთვის და საზოგადოებისთვისაც პატივსაცემი ადამიანი გაიცნო, მოეწონა, დაუფიქრებლად დათანხმდა. რაკი თვითონ შიშობს, ვინმე არ გამორჩეს, მეც აღარ დავაკონკრეტებ და მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ მათგან ყველაზე ახალგაზრდა და ენერგიული ზურაბ ჟვანია იყო. გიაც მას დაუმეგობრდა.

გია ბარამიძე მაშინ 20 წლისა იყო. ასე „გამწვანდა" ანარქისტი „იორამი".

1989 წელს მონაწილეობდა რუსთაველის საზოგადოების საქმიანობაში, სადაც იყო გაერთიანებული ეკოლოგიური ასოციაცია.

უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე დიდი შეთქმულება მოაწყვეს. შეთქმულების მიზანი იყო გადაერჩიათ ძველი ხელმძღვანელობა და თავმჯდომარედ აკაკი ბაქრაძე აერჩიათ.

ისევ იმძლავრა ანარქისტმა იორამმა. დიდი სირთულეები ახლდა ამ რევოლუციას. მაგრამ დემოკრატიული წესით გაიმარჯვეს: დარბაზში აჯობეს ხელისუფლებას.

სახალხო ფრონტის დაარსებაშიც მონაწილეობდა.

1989 წელსვე ზურაბ ჟვანიას ინიციატივით დააარსეს საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, რომელიც ცალკე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. ერთ წელიწადში კი მწვანეთა დიდი მოძრაობიდან შეიქმნა მწვანეთა პარტია, რომელიც ამ მოძრაობის უფრო მეტად პოლიტიზირებული ნაწილი იყო.

მაშინ ახალგაზრდა გია ბარამიძე მწვანეთა მოძრაობის საბჭოს წევრად აირჩიეს, პარტიის შექმნის შემდეგ კი — პოლიტიკური საბჭოს წევრად.

უზენაესი საბჭოს არჩევნებში მწვანეები ვერ გავიდნენ.

შემდეგ იყო დაპირისპირება და თბილისის ომი.

მწვანეთა მოძრაობა შეიარაღებულ შეტაკებას გაემიჯნა. თვითონ გია კი კიტოვანის შტაბში იყო, საგუშაგოზე იდგა და ერთ ტანკს ყარაულობდა. შეტაკებებში არ მონაწილეობდა და მოძმისთვის ტყვია არ უსვრია. მეცნიერებათა აკადემიაშიც გუშაგად მიუჩინეს რადიოსადგურს. თავგადასავლების მაძიებლობამ თუ მიიყვანა დაპირისპირების წინა ხაზზე.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მწვანეები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მალე შეცვლილიყო ვითარება და სამოქალაქო ხელისუფლება ჩამოყალიბებულიყო, ჩატარებულიყო არჩევნები.

მიესალმნენ ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლას.

მანამდე კი მოსკოვში, ერთ-ერთ კონფერენციაზე, 1991 წელს შეხვდა თეიმურაზ სტეპანოვს და ბატონ ედუარდ შევარდნაძეს მისი თანაშემწის ხელით გაუგზავნა მწვანეების მაისური. საპასუხოდ მიიღო წიგნი „Мой выбор" ავტოგრაფით. ასე დაიწყო მათი ურთიერთობა.

მიაჩნდა, რომ ედუარდ შევარდნაძე იქნებოდა ქვეყნის კრიზისიდან გამომყვანი ერთადერთი რეალური ფიგურა და მართლაც, საბედნიეროდ, ასე მოხდა.

არჩევნებში მწვანეები ცალკე გამოვიდნენ და გაიმარჯვეს. 12 დეპუტატი გავიდა პარლამენტში.

მუშაობდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ ურთიერთობათა კომიტეტში სამმართველოს უფროსად, აფხაზეთის ომის დროს იყო ტყვეთა გაცვლის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე. კომისია ერქვა, თორემ რეალურად მხოლოდ გია და პაატა ზაქარეიშვილი მუშაობდნენ. უდიდესი წვლილი შეიტანა ტყვეთა განთავისუფლების საქმეში. თუნდაც სადესანტო ბატალიონთა 45 მებრძოლი ღირს გახსენებად, ვინც ააშენა პირველი საკონცენტრაციო ბანაკი გუდაუთაში. მაშინ გია იყო პირველი ქართველი, ვინც ისინი მოინახულა და დიდი მოლაპარაკების შემდეგ მოახერხა მათი გამოხსნა.

გიამ და პაატამ აფხაზეთში 150-მდე ტყვე გამოიხსნეს და სოფლებიდან ოთხარადან და ახალსოფლიდან გემებით დაახლოებით 3000 მშვიდობიანი მოსახლე გამოიყვანეს.

შეთანხმების დარღვევის შემდეგ, ტყვეთა გაცვლის პარალელურად „მხედრიონთან" ერთად იბრძოდა ოჩამჩირის ფრონტზე. პირველი საბრძოლო ნათლობაც იქ, სოფელ ლაბრასთან მიიღო.

წინა ხაზზე ყველაზე კარგად ჩანს, როგორ მდგომარეობაშია ჯარისკაცი და შესაბამისად ქვეყანა და პარლამენტის წევრს ესეც უნდა მცოდნოდაო, ამბობს. ამის გასაგებად ყველაზე კარგ ადგილად კი სანგარი მიაჩნია და არა პარლამენტი.

1993 წელსაც იქ, ფრონტის წინა ხაზზე შეხვდა და მიაჩნია, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე სამახსოვროდ გატარებული ახალი წელი.

სოხუმის დაცემის შემდეგ, რომლის უმთავრეს მიზეზად ღალატი მიაჩნია, 28-ში წამოვიდნენ სვანეთის გზით. სამი დღის უსმელ-უჭმელები ჭუბერიდან შვეულმფრენით გამოფრინდნენ ქუთაისში.

თბილისში დაბრუნებული გია ბარამიძე მუშაობდა პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში მდივნად და თავდაცვისა და უშიშროების კომისიის წევრიც იყო.

ხმა მისცა СНГ-ში შესვლას და ეს გამართლებულად მიაჩნია, რადგან სუვერენიტეტი არ დაგვიკარგავს, და პირიქით, მოვიგეთ — შეჩერდა რუსეთის ღია აგრესიაო.

ხელი მოაწერა კონსტიტუციას და ამაყობს ამით.

1995 წელს, მოქალაქეთა კავშირი რომ არჩევნებისთვის ემზადებოდა, ბრძოლებში გამოწრთობილი გია ბარამიძე, გერმანიაში იმყოფებოდა ნატოს პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში შექმნილ ევროპის უსაფრთხოების საკითხთა და თავდაცვით ეკონომიკურ ცენტრში.

1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში მოქალაქეთა კავშირის გამარჯვებაზე საუბარს აღარ გავაგრძელებ. დიდუბის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი გია ბარამიძე ამჟამად პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების და საკონსტიტუციო, მართლწესრიგისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების წევრია. 1996 წლიდან პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარეა და, რაც ყველაზე დიდ პატივად მიაჩნია, — 6 თვის წინ აირჩიეს ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარედ. ეს მისთვის დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან მოქალაქეთა კავშირი უმრავლესობის ბირთვია და ქვეყნის პოლიტიკურ კლიმატს განსაზღვრავს. ახალგაზრდა თავმჯდომარე საკუთარ თავზე იღებს ყველა დარტყმას. ამიტომ ვურჩევ ყველას, ვისაც ბარამიძის ფრაქციისთვის დარტყმა აქვს განზრახული — მოერიდეთ! იმიტომ, რომ სიტყვაც ერჩის და მკლავიც!

## 2.2. სად ჰუვერი და სად — ბარამიძე!

გიორგი ბარამიძის აწმყოზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით მისთვის მინდობილ ძალზე მნიშვნელოვან საქმეს — კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას.

„ჰალსტუხიან ბანდიტებთან" ბრძოლა უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე ავტომატიანებთან.

მიაჩნია, რომ ქვეყანას კორუფცია რომ არ ხრავდეს, საქართველო გაცილებით ძლიერი სახელმწიფო იქნებოდა, გარეშე ფაქტორებისა და გარეშე ძალების ზეგავლენა კი — გაცილებით მცირე.

გიორგი ბარამიძეს არ ჰგონია, რომ „XX საუკუნის მიწურულის ჰუვერია". მის კომისიას ჰუვერის კომისიის უფლებამოსილების მეოთხედიც კი არა აქვს. სამართლებრივი თვალსაზრისით გამოძიებას არ აწარმოებენ, მხოლოდ პოლიტიკური სტრუქტურაა და ანალიზს უკეთებენ შექმნილ ვითარებას და კონკრეტულ საკითხებს შეისწავლიან იმდენად, რამდენადაც აინტერესებთ შექმნილი ვითარება და კორუფციასთან ბრძოლის პროცესის დაჩქარება და ხელშეწყობა, რათა სამართალდამცავმა ორგანოებმა თავიანთი მოვალეობა შეასრულონ. მიაჩნია, რომ კომისია პოლიტიკური ზურგია სამართალდამცავი ორგანოებისათვის, იმ ძალებისათვის, ვინც გულწრფელად მოინდომებს კორუფციასთან ბრძოლას.

გია ბარამიძის აზრით, კორუფციასთან საბრძოლველად სულაც არ არის საჭირო განსაზღვრებით დაიწყოს, თუ რა არის კორუფცია. სისხლის სამართლის კოდექსში არის პუნქტები, რომლებიც კონკრეტულ პასუხისმგებლობას გულისხმობს და არსებობს უამრავი ქცევის წესი, რომელსაც უნდა იცავდეს თანამდებობის პირი.

კორუფცია თანამდებობრივი დანაშაულია და რიგითი მოქალაქე კორუმპირებული ვერ გახდება. ეს არის დანაშაული, რომელიც მოდის ზევიდან ქვევით.

თვითონ გია ბარამიძის შემოსავალი თვეში 300 ლარამდეა. თუ შეეკითხებით, არ იუხერხულებს და გიპასუხებთ, რაში ხარჯავს ფულს. პარლამენტში თითქმის არაფერს ჭამს. შინ საუზმობს და ვახშმობს. ოჯახი ინახავს. მაინც და მაინც ხშირად ტანსაცმელსაც არ ყიდულობს.

ელემენტარულ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს და ჯაზ-კლუბის ხშირი სტუმარია.

მიაჩნია, რომ სანამდე ექნება ფული, დახარჯავს, აღარ ექნება და ვეღარ დახარჯავს. როცა მისი გადასახდელია, იხდის კიდეც.

ყველაზე ძვირი საჩუქარი მისთვის თხილამურებია, რომელიც მეგობარმა უსახსოვრა. ყველაზე ძვირფასი საჩუქარი კი ბაბუამ მიუძღვნა, როცა ინსტიტუტში ჩააბარა. სხვათა შორის, საკმაოდ ძვირიც იყო — ყველა ახალგაზრდის ოცნება, ორკასეტიანი მაგნიტოფონი „შარპ-777". ეს იყო 1984 წელს და დღესაც სახლში აქვთ გამოსაჩენ ადგილზე.

მთავარი საჩუქარი? ამ საჩუქარს თვითონ უმზადებს კორუფციონერებს.

## 2.3. მზადყოფნა № 1

ფიქრობს, რომ გუნდი, რომელშიც ის არის, კვლავაც აქტიური იქნება პოლიტიკურ ასპარეზზე და მომავალში უფრო გაიზრდება, გამოცდილების შეძენის კვალობაზე კიდევ უფრო გაძლიერდება.

პირადად თვითონ არაფერს გეგმავს. მისთვის მთავარია თვითონ იყოს პოლიტიკური პროცესების წინა ხაზზე და სად იქნება, ამას მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

დეპუტატობა ყველაზე უფრო კარგად გამოხატავს მის პოლიტიკურ მისწრაფებებს, თუმცა თუ იქნება ოდესმე საჭიროება და საქმის, გუნდის ინტერესები მოითხოვს, მზად არის იყოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში. თუმცა, აღარ მიიჩნევს, რომ ახლაც და უახლოეს მომავალშიც ყველაზე მეტად სასარგებლო პარლამენტში იქნება.



პრინციპულად, მზად არის ნებისმიერი ფორმით ემსახუროს ქვეყანას, მაგრამ ურჩევნია დარჩეს აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწედ. ყოველ შემთხვევაში — ცდილობს. არ ფიქრობს, რომ უკვე ჩამოყალიბებული პოლიტიკური მოღვაწეა, რადგან მისი აზრით, მხოლოდ ერთი-ორი კაცია, ვისაც შეუძლია ეს თქვას საკუთარ თავზე — უპირველესად ბატონ ედუარდ შევარდნაძეს და შემდეგ ზურაბ ჟვანიას. სხვებს აღარ ასახელებს, რადგან მიიჩნევს, რომ დანარჩენებში ძალიან ბევრია პოლიტიკოსი, რომელიც არასტაბილურობით და არაპროგნოზირებულობით გამოირჩევა.

## 2.4. რესპუბლიკელი მოქალაქე

დემოკრატიის მომხრეა, რესპუბლიკელია და მხარს არ უჭერს მონარქიას. მეცნიერული პროგრესის მომხრეა. მიაჩნია, რომ განათლება უნდა იყოს ჩვენი სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული. ჯანდაცვა და სოციალური დაცვა, გარემოს დაცვა მიაჩნია მთავარ ფასეულობებად.

სურს, საქართველოში ჩამოყალიბდეს გახსნილი, ღია საზოგადოება და სამართლიანი სახელმწიფო. მიაჩნია, რომ სამართლიანი უნდა იყოს სახელმწიფო თავისი მოქალაქის მიმართ და ფიქრობს, რომ დღეს ეს კურსი აქვს ჩვენს ქვეყანას აღებული.

და, რაც მისთვის მთავარია: უნდა სრულდებოდეს ის დაუწერელი კანონები ადამიანებს შორის ურთიერთობაში, რომელიც ჩვენი წინაპრებიდან მოდის, რაც განსაზღვრავს და ანსხვავებს ქართველებს ყველა სხვა ხალხისგან, რაც განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის მას.

## 2.5. გუნდაობა რა მოსატანია

მარტო, ცალკე ვერ წარმოუდგენია საკუთარი თავი. მისთვის მთავარია ადამიანმა გუნდში იპოვოს თავისი ადგილი. უდიდეს ბედნიერებად მიაჩნია, როცა არის ადამიანებთან, ვინც მისი თანამოაზრეები და, ამავე დროს, მეგობრებიც არიან. იცის, რომ შეუძლია დაეყრდნოს. მხარში დაუდგებიან არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ადამიანურადაც.

ყალბი თავმდაბლობა მიუღებლად მიაჩნია. სადაც საჭიროა პოლიტიკური აქტიურობა — აქტიურია.

გიორგი ბარამიძეს თავისი გუნდი არა ჰყავს. არც მიაჩნია საჭიროდ ნამეტანი გუნდაობა. არსებობს შევარდნაძის გუნდი აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში და ისიც ამ გუნდის წევრია. ასევე პარლამენტში არის ზურაბ ჟვანიას გუნდი, და თუკი ამას ვიტყვით, არავისთვის არ იქნება ახალი.

## 2.6. აისბერგის ხილული და უხილავი ნაწილები

ოპონენტების გვარებს არ დაგისახელებთ. იმ ხალხს, ვინც ღიად ჩანს საგაზეთო პუბლიკაციებით ან პარლამენტის სხდომებზე, გიორგი ბარამიძე აისბერგის ზედა ნაწილად მიიჩნევს. პრაგმატული მოსაზრებებით მათ „რეკლამასაც" არ აკეთებს და უფრო იმიტომაც რომ მათ რეალურ ძალად არ თვლის. არიან მათი საქმიანობის მიმართ დაპირისპირებული ძალები, რომლებიც ხედავენ, რომ ქვეყანაში წარმატებით ვითარდება რეფორმები და ეშინიათ მათი დაბოლოებისა. ეს ის ძალებია, ვინც მოახერხა საბჭოთა პერიოდში ქვეყნის დიდძალი თანხების მითვისება. ისინი არა მარტო საბჭოთა პერიოდს მოერგნენ, არამედ — ამ ქაოსისა და უკანონობის პერიოდსაც. აქ ძალიან ბევრი რამ გააკეთეს. მოიპოვეს მყარი ეკონომიკური ბაზა და გარკვეული პოლიტიკური ბერკეტებიც ჩაიგდეს ხელში. უნდათ, რომ ეს უკვე სერიოზულ სახელისუფლებო ძალად გარდაქმნან. უნდათ მართვის სადავეები ჩაიგდონ ხელში.

მიაჩნია, რომ სწორედ ამგვარი ტიპის ძალები არიან მოქალაქეთა კავშირის, შევარდნაძის გუნდის ოპონენტები.

## 2.7. მონატრებული შვილი

ოჯახის შექმნას არ ჩქარობს. ამბობს, დაგვიანებული არასოდეს არისო.

ჯერ არ სწვევია ის დიდი სიყვარული, რომელიც გადააწყვეტინებს ოჯახის შექმნას.

გია ბავშვობიდანვე ოჯახის ნებიერი იყო.

ახლა ვნახოთ, 30 წლის „ბავშვს" როგორ ანებივრებენ.

დედამისი, ქალბატონი ნარგიზა, რომელიც გიას „პირადი მდივანიც" გახლავთ შინ, მთელი საღამოს განმავლობაში სატელეფონო ზარებს პასუხობს და აკურატულად იწერს ბლოკნოტში, რათა დილით ადრე გასულ და ღამის 1-2 საათზე დაბრუნებულ „უფროსს" მოახსენოს.

გია დედისათვის ძალიან დაკავებული და მონატრებული შვილია — შინ თითქმის არ არის, მხოლოდ დასაძინებლად მიდის.

სამსახურიდან შინ დაღლილი ბრუნდება და ოჯახში იცლება ემოციებისგან. ყველანაირად ხელს უწყობენ, ასვენებენ.

— რა შეიძლება გააკეთოს გიამ ისეთი, რასაც დედა ვერ აპატიებს? ამ შეკითხვაზე ქალბატონი ნარგიზა გიპასუხებთ, რომ გია ისეთს არაფერს ჩაიდენს, დედის საპატიებელი იყოს.

მართალია, თვითონ გია ბარამიძე ამბობს, ჯერ დიდი სიყვარული არ მწვევიაო, მაგრამ მისი დაოჯახებით ფრიად დაინტერესებული მოქალაქეების ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ის, რომ ამ ბოლო დროს გია მაღალ, გამხდარ, შავთმიან და მწვანეთვალება ქალიშვილს ხვდება, რომელსაც მომავალში, ბარამიძეების რძლობისას იმის გათვალისწინება მოუწევს, რომ ქალბატონი ნარგიზა ტრადიციული ქართული ოჯახის მომხრეა, გიას კი ძალიან უყვარს ტკბილეული და პატარძალს გემრიელი ფელამუშის გაკეთებაც უნდა ეხერხებოდეს.

## 2.8. ნამდვილად ჩვეულებრივი ადამიანი

პრაქტიკულად, პირადი ცხოვრება არა აქვს. ყველამ იცის, სად წავიდა, რას აკეთებს, როგორ აკეთებს. დიდ პრობლემად მიაჩნია, რომ არ შეუძლია იყოს მარტო.

ფიქრობს, რომ საკმაოდ მძიმე ხასიათი აქვს. ღიზიანდება, თუკი უწესოდ იქცევიან. ვერ იტანს უპასუხისმგებლობას. არ მოსწონს, როცა ადამიანურ ურთიერთობებში შეცდომებს უშვებენ.

როგორც თვითონ ამბობს, არც ერთ გადაწყვეტილებას ჰაიჰარად არ იღებს: გარდა იმისა, რომ გონებით განჭვრეტს, გულის კარნახსაც უგდებს ყურს.

გატაცებულია სპორტით. ამ ბოლო დროს, დილის 9-10 საათიდან ღამის 12 საათამდე სამსახურიდან ვერ გადის (განსაკუთრებით საპარლამენტო დღეებში უწევს გვიანობამდე ყოფნა სამსახურში) და ღელავს, სპორტულ ფორმას ვკარგავ, წონაში ვიმატებო.

ძალიან უყვარს სამეცნიერო-პოლიტიკური ლიტერატურის კითხვა. როცა დრო აქვს, მხატვრულ ლიტერატურასაც სიამოვნებით კითხულობს.

მისდა სამწუხაროდ, როგორც თვითონ ამბობს, არა აქვს ღვთით ბოძებული ნიჭი — არ უკრავს, არ მღერის და შენატრის იმ ადამიანებს, ვისაც ეს ნიჭი აქვს. სხვათა შორის, არც ლექსებს წერს და არც ხატავს. მაგრამ, მისდა საბედნიეროდ, ლექსის შეფასებაც შეუძლია და ნახატისაც და, რაც მთავარია, თუ ხმა და სმენა არა აქვს, აქვს სინდისი — კარგი მსმენელია.

## 2.9. „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე..."

გიორგი ბარამიძეს ხმამაღლა ფიქრი არ სჩვევია. არ იცის, ეს ნაკლია თუ დადებითი მხარე, მაგრამ გულწრფელად ამბობს. ემოციას კი გულიდან ამოხეთქილი ტრადიციული ქართული სიტყვებით გამოხატავს.

ბევრს ფიქრობს ქვეყნის მომავალზე, ეს მისთვის აბსტრაქტული ცნება არ არის.

მიაჩნია, რომ მისი პირადი ბედი, ნათესავების, ახლობლების ბედი დაკავშირებულია ამ ქვეყნის ბედთან და ამიტომ ქვეყანაზე ფიქრი უშუალოდ მის ახლობლებსა და ოჯახზე ფიქრს უკავშირდება. ეს არის ფიქრი საკუთარ თავზე.

ეკლესიაშიც, როცა მარტო რჩება და ლოცულობს, პირველ რიგში ქვეყანას და ხალხს ავედრებს უფალს.

რა არის ბედნიერება?

მისი აზრით, ბედნიერება შინაგანი სიმშვიდეა, როცა შენი თავისა არ გრცხვენია. საკუთარი თავი უცოდველად არ მიაჩნია და აქვე სიცილით ამატებს, ვინც უცოდველია, იმან მესროლოს ქვაო.

აღარდებს საზოგადოების გაბოროტება, შურისა და ამპარტავნების მოძალება. მიაჩნია, რომ ადამიანი, ვისთვისაც მატერიალური გაცილებით უფრო ფასეულია, ვიდრე სულიერი, უბედურია.

ამავე დროს, ეიმედება, რომ სიკეთე და გონიერება უფრო ძლიერია, ვიდრე ბოღმა, შური და უგუნურობა.

*ძალიან გამიგრძელდა და გამიზვიადდა თხრობა: გიორგი ბარამიძე ტყვეების დამხსნელიც არის, კორუფციასაც ებრძვის (თანაც სად - ჩვენში!), მეგობრებიც შესანიშნავი ჰყოლია და ბუნების, ჩვენი ყველაზე დიდი და ყველაზე უმწეო ახლობლის უანგარო მეოხიც ყოფილა!*

*მართლა ასეთია?!*

*დედამისს ყასიდად ვკითხე, რა აზრისა არის-მეთქი „მთვარის სპეკალზე"... ისე ვკითხე, ბეტერეჯის ხათრით. როგორც გავიგე, ბეტერეჯიც ჰყვარებია, „რობინზონ კრუზოც", „მთვარის სპეკალიც" და, თქვენ წარმოიდგინეთ, ყველაზე მაღლა მაინც „თვალ პატ[illegible]" აყენებს...*

რეაქცია

# შეტევის ნიშანი მიღებულია!

**ანუ რაკი ყველაფრის თქმა და დასტამბვა აკრძალული არ არის, კიდევ რა სულელურ ბრალდებებს წამოუყენებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს?**

მიმდინარე წლის 19-22 ივლისს გაზეთ „დრონში" გამოქვეყნდა კიდევ ერთი პასკვილი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მისი ხელმძღვანელობის მისამართით: თითქოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს მეორე თვეა იმიტომ არ მიუღიათ კუთვნილი ხელფასი, რომ გარკვეულმა „საქმიანმა" ადამიანებმა ეს თანხა დაატრიალეს სპირტის ბიზნესში.

სამინისტროს პრესცენტრი უფლებამოსილია განაცხადოს, რომ „სარწმუნო წყაროზე დაყრდნობილი" ზემოაღნიშნული ცნობა სრული სიცრუეა. ინფორმაციის ავტორი, თურმე, ამაოდ ცდილობდა შინაგან საქმეთა მინისტრის აზრის გაგებას, მაგრამ ვერ შეძლო მასთან საუბარი.

საინტერესოა, როგორ წარმოუდგენია საინფორმაციო სააგენტო „ჯეორჯიას" კორესპონდენტს შინაგან საქმეთა მინისტრის სამუშაო რეჟიმი, თუ ყველა საკითხი, მათ შორის აბსურდულიც კი, მხოლოდ მინისტრთან უნდა გაირკვეს?

ყველა ჟურნალისტისათვის ცნობილია მს სამინისტროს პრესცენტრის კოორდინატები და ავტორს რომ მოენდომებინა, მსს პრესცენტრისა და მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის მეშვეობით, სულ ადვილად დაადგენდა ჭეშმარიტებას.

ჭეშმარიტება კი შემდეგშია: შინაგან საქმეთა სამინისტრო მიმდინარე წლის მაისიდან განიცდის სერიოზულ ფინანსურ სიძნელეებს. პოლიციის თანამშრომლებზე მაისის გაუცემელი ხელფასი (500 ათასი ლარის ოდენობით) გაიცა მხოლოდ ივლისის შუა რიცხვებში.

19 ივლისისათვის პენსიონერ თანამშრომლებზე გაიცა ივნისის კუთვნილი პენსიები 510 ათასი ლარის ოდენობით; 350 ათასი ლარი, ასევე ივნისის ხელფასის სახით, მიეცა ცალკეული სამსახურის თანამშრომლებს, ხოლო 820 ათასი ლარი მოხმარდა ივნისში მსჯავრდებულთა, პატიმართა და შინაგანი ჯარის პირადი შემადგენლობის კვებასთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილობრივ დაფარვას.

რომ წარმოიდგინოთ, რა უმძიმეს მდგომარეობაშია შინაგან საქმეთა სამინისტრო, საკმარისია ითქვას, რომ სამინისტროსათვის ივნისში დასაფინანსებლად ბიუჯეტით გათვალისწინებული 8 მლნ. 500 ათასი ლარიდან ფინანსთა სამინისტრომ მხოლოდ 1 მლნ. 680 ათასი ლარი გამოყო და ეს მაშინ, როცა ივლისიც უკვე იწურება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგია ყველაფერს აკეთებს, რათა ხელფასების, საწვავის, ავტოტრანსპორტის, რადიოსადგურების, ოპერატიული, საექსპერტო-კრიმინალისტიკური ტექნიკის და სხვა აუცილებელი საშუალებების მწვავე უკმარისობის პირობებში, პოლიციამ კვლავაც შეუფერხებლად იღვაწოს ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, მოქალაქეთა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვის უზრუნველსაყოფად.

სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ პუბლიკაცია „პოლიციელთა ხელფასები — სპირტის ბიზნესში?" შეკვეთილია იმ ძალების მიერ, რომლებსაც სურთ სახელმწიფოში არსებული ეკონომიკური სიძნელეები გამოიყენონ თავისი მორსგამიზნული ზრახვებისათვის, გამოიწვიონ უკმაყოფილება შინაგან საქმეთა სამინისტროს მრავალათასიან კოლექტივში, დააპირისპირონ პოლიცია ხელისუფლებას, მოახდინონ მს სამინისტროს დისკრედიტაცია და საბოლოო ჯამში გამოიწვიონ ქვეყანაში სიტუაციის დესტაბილიზაცია.

ამიტომ საკითხი უნდა დაისვას შემდეგნაირად: ვინ არის დაინტერესებული წესრიგზე და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ძირითადი ძალის — შინაგან საქმეთა სამინისტროს შესუსტებით, ვის აძლევს ხელს ქვეყანაში ქაოსისა და განუკითხაობის ხელახალი აღზევება?

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსების პრობლემას, კომენტარი უნდა ვთხოვოთ ფინანსთა სამინისტროს, რათა მან გამოხატოს თავისი პოზიცია ამ საკითხებთან დაკავშირებით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

განცხადება

# საკუთარი სიცოცხლის ფასად შევასრულებთ საბრძოლო ამოცანას

ქვეყნის ინტერესების პირადულზე მაღლა დაყენებამ გადააწყვეტინა ბატონ შოთა კვირაიას გადადგომა სახელმწიფო უშიშროების მინისტრის თანამდებობიდან, იმ რწმენით, რომ სახელმწიფოს უშიშროების დამცველებს შექმნოდათ მათზედ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების ნორმალური გარემო, აგვცილებოდა უსაფუძვლო ბრალდებები და ცილისწამებანი, რაც უდავოდ ნეგატიურ გავლენას ახდენს საბრძოლო დანაყოფების პირად შემადგენლობასა და მათ საბრძოლო მზადყოფნაზე.

ჩვენ კარგად ვიცნობთ გენერალ შოთა კვირაიას, ერთად გამოვიარეთ აფხაზეთის ტრაგედია, სამოქალაქო ომი, ქვეყანაში სტაბილიზაციის მისაღწევად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები გადავიტანეთ კრიმინალური ელემენტებისა და უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წინააღმდეგ. დღეს მისი უსაფუძვლო დადანაშაულება და შეურაცხყოფა ჩვენთვის მიუღებელია.

ჩვენთვის შოთა კვირაია არის ღირსეული მამულიშვილი. ამის უფლება მან თავგანწირვითა და კაცური თავდადების ფასად მოიპოვა. ის მომთხოვნი და დაუნდობელი იყო მოღალატეების, საკუთარ კეთილდღეობას გადაყოლილი პირებისადმი, ვინც სამშობლოს ინტერესებით ვაჭრობდა. სამწუხაროდ, ბევრმა დაივიწყა ეს და ზოგიერთებს სურთ, რომ თანამოძმეთა სისხლით ხელგასვრილი ავაზაკები და სხვა კრიმინალები უდანაშაულო მსხვერპლად შერაცხონ.

დღეს, როცა კარზეა მომდგარი 31 ივლისი, ჩვენი აზრით, უფრო ღირებული იქნებოდა, ყველას ერთიანად გვეფიქრა ქართველ-აფხაზთა ისტორიული ძმობის აღდგენაზე, ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტაზე. გვეფიქრა და გავერჯილიყავით, რათა საქმის და არა ეფექტებისათვის გაგვეღო წვლილი ქართული მხედრობის, მისი საბრძოლო რაზმების, ყოველი მებრძოლის სულიერი ამაღლებისა და საბრძოლო მომზადების სრულყოფისათვის. შეიძლება დადგეს დრო, როდესაც სიტყვა აღარ გვიშველის და საჭირო გახდება საქმე, რომელიც მომხვდურებისაგან დაიცავს და გადაარჩენს საქართველოს.

ჩვენ თავდადებით ვემსახურებით სამშობლოს და ვაცხადებთ, რომ თუ ერს დასჭირდა, საკუთარი სიცოცხლის ფასად შევასრულებთ ქვეყნის პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიერ განსაზღვრულ საბრძოლო ამოცანას დამოუკიდებლობისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პრესსამსახური.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

პრესკონფერენცია

# „თენგიზ სიგუამ გამარჯვების ბაირაღები ნაადრევად ააფრიალა"

რამდენიმე დღის წინათ რესპუბლიკის პროკურატურაში, თენგიზ სიგუას მრავალრიცხოვანი საგაზეთო პუბლიკაციებისა და ინტერვიუების საპასუხოდ, პრესკონფერენცია გაიმართა. მასში პროკურატურის ის პასუხისმგებელი პირები მონაწილეობდნენ, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ მინისტრთა კაბინეტის მიერ 1991-95 წლებში გამოცემული სხვადასხვა დოკუმენტის კანონიერების შემოწმებაში.

პროკურატურის მუშაკთა განსაკუთრებული გულისწყრომა გამოუწვევია ყოფილი პრემიერ-მინისტრის ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუს, სადაც იგი აცხადებს, სპეციალურმა კომისიამ შეამოწმა ჩემს მიერ ხელმოწერილი 4600 ნორმატიული აქტი და არც ერთ მათგანში დარღვევა არ აღმოჩნდაო.

სამართალდამცველების აზრით კი, მართალია იმ წლებში საქართველოს მთავრობას არასტანდარტულ პერიოდში უხდებოდა საქმიანობა და შესაბამისად გადაწყვეტილებებიც არასტანდარტული იყო, მაგრამ შემოწმების შედეგად ზოგიერთ მათგანში აშკარა დანაშაულის ნიშნები აღმოჩნდა. შემოწმებული 20 ათასი სხვადასხვა დოკუმენტიდან 4500-ზე მეტი უკანონო იყო. როგორც ირკვევა, ეს დარღვევები გამოწვეულია სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით, დაუდევრობით, უპასუხისმგებლობით და... ანგარებით — თუმცა სამართალდამცავები ამაზე, ჯერჯერობით, მხოლოდ ვარაუდის დონეზე საუბრობენ, მაგრამ რიგითი მოქალაქისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს უკანონობის გამომწვევი მიზეზი რომელიმე თანამდებობის პირის მატერიალური დაინტერესება იქნება, თუ მისი „გულუბრყვილო" საქციელი. ორივე შემთხვევაში ვიღაც პენსიას ვეღარ მიიღებს, ზოგიც საერთოდ უხელფასოდ დარჩება ან თუნდაც არმიის მშენებლობისათვის განკუთვნილი თანხა ვიღაცის ვილის მშენებლობას მოხმარდება და ასე შემდეგ.

რადგან ჯარზე ჩამოვარდა საუბარი, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება სამხედროებისადმი საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის განსაკუთრებული „სიყვარულის" პროკურატურისეული ხედვა.

გამოძიებით გარკვეულა, რომ 1992 წლის ოქტომბერში აზერბაიჯანის მთავრობამ საქართველოს მთავრობას მიმართა თხოვნით ორი მოიერიშე თვითმფრინავის „სუ-25"-ის შესყიდვის თაობაზე. სანაცვლოდ 25 ტონა ნავთობპროდუქტი შემოუთავაზებიათ. ამის თაობაზე არავითარი სამთავრობოთაშორისო ხელშეკრულება არ გაფორმებულა და აზერბაიჯანს ორი სამხედრო თვითმფრინავი ნახევრად არაფორმალურად გადაეცა. სანაცვლოდ აზერბაიჯანმა ნავთობპროდუქტების შეპირებული ოდენობიდან მხოლოდ მცირე ნაწილი მოგვცა. დანარჩენი კი... მოგვიანებით მათმა წარმომადგენელმა განაცხადა, თვითმფრინავები საერთოდ არ მიგვიღიაო, ანუ ამ საკითხში, როგორც გამოძიების მასალებით ირკვევა, მაშინდელი მთავრობის მხრიდან არავითარი კონტროლი არ ხორციელდებოდა.

რესპუბლიკის პროკურატურაში გამართულ პრესკონფერენციაზე ისეთი ინფორმაციაც შევიტყვეთ, რომელიც ჯერ შეიძლება საქართველოს პრეზიდენტმაც არ იცოდეს, რომ მინისტრთა კაბინეტის მიერ 1991-95 წლებში გამოცემული სხვადასხვა დოკუმენტის შემოწმების ანგარიშში (რომელიც პრეზიდენტს წარედგინა) ეს ინფორმაცია, თავისი კურიოზული ხასიათის გამო, უბრალოდ არ შეიტანეს. საუბარია ყოფილი პრემიერ-მინისტრის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმად 1992 წლის 19 მარტიდან... მინისტრთა კაბინეტს მთავრობა ეწოდა. ასეთი უკანონო მდგომარეობა 12 ნოემბრამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში მიღებული ყველა დოკუმენტი თავისთავად უკანონო გამოდის.

როგორც დასასრულს ითქვა, ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა ტყუილად ცდილობს ხალხს თავი ანგელოზად მოაჩვენოს და გამარჯვების ბაირაღებს ნაადრევად აფრიალებს.

ბექა ჭედია.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

საქართველოს რესპუბლიკა
№168. კვირა, 20 ივლისი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარსული

# სიტყვა წინაპარზე

## „– ო, ენავ, ჩემო, დედაო ენავ...“

...ყოველ ნერგს, იქნებ,
დაატყდეს მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ,
დაედგას ფეხი,
მხოლოდ შენ, უჭკნობს,
შენ, ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს,
შენს უკვდავ სხეულს?...

საყოველთაოდ ცნობილი ლექსის ეს საწყისი სტრიქონი, რომელიც ეპიგრაფად წარუმძღვარე ამ წერილის სათქმელს, ალბათ, სულ სხვადასხვაგვარი ინტონაციით აჟღერდება მასში. ირაკლი აბაშიძის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ქმნილება „ხმა კატამონთან“, დედაენის მგზნებარე, დიდებული ჰიმნი, შორსაა ყოველგვარი პესიმისტური მინარევისაგან. აქ კი, ეულად წარმოდგენილი ფრაზა, როგორც მკითხველიც შეიგრძნობს, ტრაგიკულ შეკივლებადაც აღიქმება. რატომ?



ჭეშმარიტად, — „დრონი მეფობენ“— დრო კი, სადღეისოდ, მოერია ყველასა და ყველაფერს, მათ შორის ქართულ ენასაც. იმდენად უტიფრად და მტრულად შეუტია მას, რომ სახელმწიფო ღონისძიებების დასახვა გახდა საჭირო მისი „უკვდავი სხეულის“ გადასარჩენად...

უნებურად იხედები წარსულში, არცთუ ისე შორეულ წარსულში, როცა ილია, აკაკი, იაკობი და მათი თანამოაზრენი, მრავალი საგანმანათლებლო დარგის მოღვაწე, ბრწყინვალე პედაგოგები და მოზარდი თაობის აღზრდისათვის თავგადაკლული მასწავლებლები, უპირველეს ამოცანად ისახავდნენ მშობლიურ ენაზე ზრუნვას. მათ მიერ ჩამოქნილ ქართულზე აღმოცენდა ჩვენი საუკუნის დიდი ქართული ლიტერატურა. დღეს კი... არათუ ენა, ზოგიერთებს ქართული ასოებიც შესძულებიათ და უცხოურით ამკობენ დედაქალაქის ქუჩებს...

ამ ვითარებაში არ შეიძლება არ გაიხსენო ერთი იმათთაგანი, ვინც ილიას, აკაკის, იაკობის გვერდით იღწოდა საგანმანათლებლო ასპარეზზე და ვის მიერ ნაძერწმა სამშენებლო აგურებმა სიმკვრივე შემატა ქართული ენის ჩამოქნისა და მისი სიწმინდის დაცვის საქმეს.

დაბადების 130 და გარდაცვალების 70 წელი შეუსრულდა ღვაწლმოსილ პედაგოგს ტრიფონ რომანოზის ძე თაბუკაშვილს. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მკითხველი ამოიკითხავს ქართველი განმანათლებლებისადმი მიძღვნილ გამოცემებში, მემუარულ ლიტერატურაში. ჩვენ, მის შთამომავლებს, შემოგვრჩა ოციან წლებში გამოცემული, სასკოლო სახელმძღვანელოთა ეგზემპლარები, ხელნაწერები, დროით დაღდასმული, რომლებიც ილიასა და აკაკის შემოქმედებას ეძღვნება; ასევე 1926 წლის იანვრის გაზეთ „კომუნისტში“ დასტამბული პატარა, მაგრამ ბევრისმომცველი ნეკროლოგი, რომელსაც ხელს აწერს მისი მოწაფე ვარლამ ძიძიგური. ამავე გაზეთში სხვა მოწაფეებიც გულისტკივილით ეთხოვებიან მათ მოამაგეს და თავიანთ წერილებში გვიხატავენ ამ პიროვნების მოქალაქეობრივ და ადამიანურ პორტრეტს.

დაბა ხარაგოულის მიმდებარე, შორს გაშლილ მთაგორიან რელიეფზე მრავალი დიდი და პატარა სოფელია შეფენილი. აქვე ამოზრდილია წმიდა მთად მიჩნეული კახორი, შორეული დროიდანვე რომ იზიდავს მორწმუნეთ, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

ამ მთის ძირშია შეყუჟული თაბუკაშვილების საგვარეულო პატარა სოფელი ღუდუმექეთი, თითებზე ჩამოსათვლელი მუდმივი მაცხოვრებლებით. ეს დასახლება ერთგვარი განშტოებაა ბუაჩიძეებითა და ხარაძეებით სახელგანთქმული დიდი სოფლისა, რომელსაც ჰქვია ფარცხნალი, და ეს ორი სახელიც, ისტორიულად, ბუნებრივად გადაეჯაჭვა ერთმანეთს.

ტრიფონის ორივე ვაჟი მამის კვალს გაჰყვა და ორივემ პედაგოგიურ ასპარეზზე წარმართა საქმიანობა. ქართული და რუსული ენების ბრწყინვალე ფლობით, პედაგოგიური ნიჭით ისინი თავისი დროის საგანმანათლებლო საქმის შუაგულში ტრიალებდნენ, შალვას მიერ შექმნილ სასკოლო სახელმძღვანელოებზე კი მოსწავლეთა მრავალი თაობა აღიზარდა.

ტრიფონის შვილებმა, რომელთა შორის სამი ქალი იყო, ბავშვობა მშობლიურ სოფელში გაატარეს. მოგვიანებით, როცა მასწავლებლობის გზაზე შემდგარ მამას სხვადასხვა ადგილას მოუწია საქმიანობა, ოჯახიც, ცხადია, თან დაჰყავდა. აქ მოვიშველიებთ ვრცელ ამონაწერს სახელოვანი მასწავლებლის ვარლამ ძიძიგურის (1889-1957) წიგნიდან „მასწავლებლის მოგონებები“ (საბლიტგამი, 1957):

„1896 წელს, უკვე სახელგანთქმული მასწავლებელი ტრიფონ თაბუკაშვილი ხონის საოსტატო სემინარიაში მიიწვიეს მოსამზადებელი კლასის მასწავლებლად და საცდელი გაკვეთილების ხელმძღვანელად, მაგრამ სულ მალე მას ქართული ენისა და ისტორიის გაკვეთილები სემინარიის ძირითად კლასებშიც ჩააბარეს.

თხუთმეტი წელი იმუშავა ტრიფონ თაბუკაშვილმა ხონის საოსტატო სემინარიის ღირსეული მასწავლებლის მაღალ პოსტზე. თხუთმეტი წელი ასწავლიდა მომავალ მასწავლებლებს ქართულ ენასა და ისტორიას. იგი იყო პროგრესული მოსწავლეების სული და გული, მოსწავლეთა ფარული ჟურნალის აზრისა და სტილის გამსწორებელი, საინტერესო საუბრებისა და ცოცხალი, შინაარსიანი, მიმზიდველი გაკვეთილების ორგანიზატორი. არასოდეს შემოფარგლულა ტრიფონი სახელმძღვანელო წიგნითა და ვიწრო პროგრამული, ოფიციალური საკითხებით.

რამდენჯერმე გადარჩა ტრიფონ თაბუკაშვილი ხიფათს შავრაზმელი დირექტორის ლევიცკის საკითხთან დაკავშირებით. 1904 წელს თავის საყვარელ სემინარიელებს მოაცილეს და ახალქალაქში გადაისროლეს. 1905 წლის მოძრაობამ ისევ დააბრუნა ტრიფონ თაბუკაშვილი ხონის სემინარიაში... რამდენიმე საფრთხეს კიდევ სხვა დროს გადაურჩა, მაგრამ „ყოველთვის კოკამ წყალი არ მოიტანა“ და 1911 წელს ხულიგანი მასწავლებლის ნიკოლაევის საქმესთან და კიდევ სხვა საქმეებთან დაკავშირებით, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა რუდოლფმა პირდაპირ განუცხადა: „თქვენი მუშაობა ქართველთა შორის შეუძლებელიაო!“ რუდოლფმა საბოლოოდ მოხსნა ვირტუოზი პედაგოგი სემინარიიდან და განჯაში გადაისროლა რუსული ენისა და ისტორიის მასწავლებლად.

ტახტიდან მეფის გადმოგდებამ (1917) ტრიფონ თაბუკაშვილს საშუალება მისცა ჯერ ხარაგოულს დაბრუნებოდა (სწავლა-განათლების საქმეს ისევ თავის საყვარელ სოფელში ჩასდგომოდა სათავეში) და შემდეგ, სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში, თბილისში გადმოსულიყო უკვე ქართული სკოლის მოწაფეთათვის დედაენაზე სახელმძღვანელოების შესადგენად, ხოლო მასწავლებელთათვის თავისი მდიდარი გამოცდილების გასაზიარებლად, მეთოდიკური ხასიათის სტატიების, ბროშურებისა და წიგნების დასაწერად და პარალელურად მეტად ნაყოფიერი პრაქტიკული მუშაობის გასაგრძელებლად.

რა მშვენივრად შესრულა მან ეს საქმე! რამდენი საგულისხმო, ერთობ ძვირფასი პედაგოგიური აზრები და რჩევანი დასტამბა ჩვენდა სახელმძღვანელოდ თავის მეთოდიკურ მითითებებსა და შრომებში! რამდენი საჩვენებელი და სანიმუშო გაკვეთილი გადასცა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში! რამდენ ახალგაზრდა მასწავლებელს გაუნათა წინსვლის გზა!“

ტრიფონ თაბუკაშვილმა ახალგაზრდა ქართული სკოლების III და IV განყოფილებებისათვის დაწერა და დაბეჭდა ქართული ენის სახელმძღვანელოები „განთიადი“, I და II ნაწილი (გამოიცა 1923 და 1924 წლებში), „აისი“, I და II ნაწილი (გამოიცა 1924 და 1925 წ.წ.) და სხვ.

1923 წელს დაიბეჭდა „მეთოდიკური შენიშვნები გრამატიკის სწავლების შესახებ“, 1925 და 1927 წელს „სასვენი ნიშნების ხმარება“.

განჯაში გაძევებული ტრიფონი არ ღალატობს მასწავლებლის მოწოდებას, ჩვეული სიყვარულითა და პასუხისმგებლობის ღრმა გრძნობით ემსახურება ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საქმეს. ამის დამადასტურებელ ნივთიერ დოკუმენტად შთამომავლებს შემოგვრჩა ვერცხლის საპაპიროსე, რომელიც განჯის სასწავლებლის პედაგოგებს მიუძღვნიათ კოლეგისათვის მისი დაბადების 50 წლისთავზე: პორტსიგარზე ულამაზესი კალიგრაფიითაა ამოკაწრული:

**Многоуважаемому Трифону Романовичу в память совместной дружной работы на ниве народного образования. Корпорация преподавателей Елисав. высшего и начального при нём училища.**

**Елисаветполь 1916. 25/XII.**

ტრიფონის წასვლიდან მცირე ხნის შემდეგ, 1927 წლის აგვისტოში ღუდუმექეთის ძველ საგვარეულო სახლში დაიბადა ძე შალვასი — რეზო, რომელმაც თითქოს ჰაერთან ერთად შეისუნთქა და შეიწოვა წინაპართა ყოფიერებით გაჟღენთილი ამ სახლისა და მთელი ამ გარემოს გამორჩეული სურნელება. ამ სურნელების ჯადო გაჰყვა მას სიცოცხლის ბოლომდე, თუმცა არცთუ ხშირად ეძლეოდა საშუალება სწვეოდა მშობლიურ მიწა-წყალს, რომელმაც პირველმა მისცა ბიძგი მის პოეტურ აღმაფრენას.

დიდი წინაპრის სიცოცხლის წიაღში ჩაღრმავება იყო რეზოს ამოუწურავი შთაგონება და რა მოიპოვა, რა დატოვა, ეს საყოველთაოდ ცნობილია. ვფიქრობ, თვით სიტყვა — წინაპარი მისთვის რაღაც მაგიურ ძალას შეიცავდა, ერთმნიშვნელოვნად გულისხმობდა პიროვნების სიცოცხლის უკვდავებას მის მიერ მშობლიური ერის საკეთოდ გაღებული კვალის გამო. ამიტომაც არ მეჩვენება შემთხვევითად, რომ სიკვდილამდე ორი დღით ადრე დაწერილ, სულისშემძვრელი სინანულით სავსე ანდერძში „შეილიშვილებს“ ზეამტაცი სიხარულით სავსე ფრაზაც გამოერია:

**მშვიდობას ვეტყვი მალე**
**ქართულ ზეცის საფირონს**
**და მცირე ტალღად**
**შევერწყმები ზღვას უნაპიროს,**
**ქარს იმქვეყნიურს**
**დავახვედრებ მალე წინ აფრას,**
**დიდებულია!**
**გარდვიქცევი უცებ წინაპრად...**

ამქვეყნიურ ცხოვრებასთან განშორების ჟამს დიდი სანუგეშო ამოძახილი! მომდევნო სტრიქონებშიც წარსულის მარადიული ხსოვნის ნატვრა ჟღერს:

**და თუმცა ჩემი გამგზავრება**
**ჰგავდა წვალებას,**
**სიკვდილი მაინც არ დაარქვათ**
**გარდაცვალებას.**

მაგრამ მივუბრუნდეთ რეზოს უშუალო წინაპარს, ბაბუამისს, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა მუდამ საამაყო და სათაყვანო იყო შვილიშვილისთვის.

ტრიფონ თაბუკაშვილი — ილიას, აკაკის თანამედროვე, მათი ამ ქვეყნიდან წასვლის მომსწრე და ერის ტკივილების გამზიარებელი. ჩვენს არქივში შემორჩენილია დიდი სახალხო გლოვის დღეებში დაწერილი წერილები, ნარკვევები, ილიას და აკაკის ხსოვნას რომ ეძღვნება. ილიასადმი მიძღვნილი წერილიდან ჩანს, რომ ის წაკითხულია სახალხო-სამგლოვიარო შეკრებაზე.

სადა ხართ თქვენ, დიდებულ ქართველთა დიდებულო აჩრდილნო! სადა ხარ ახლახანს ჩვენგან წასულო, დიდო ირაკლი! შენი შედევრი ციკლიდან „რუსთაველის ნაკვალევზე“ ისევ მგზნებარედ ჟღერს და კვლავაც იჟღერებს! რა ვუყოთ, რომ ზოგიერთი ქართველისათვის დღეს ეს ლექსიც გაუცხოებულა, ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ — მშობლიური და სანუკვარი...

**ლეილა თაბუკაშვილი.**

## წყაროსთვალი

**დავით ტიგინაშვილი**

# დამათრო შენმა სურნელმა!..

დამათრო შენმა სურნელმა,
გულში ამოსკდა მიმოზა,
მადლობა მამაზეციერს,
რომ საქართველო გვიბოძა.
შენი სამრეკლო ზარები
ქვეყნად მეხივით გრიალებს,
სიყვარულს მოწყურებული
გულში არაგვი ღრიალებს.
ჩვენი ლამაზი ქვეყანა
ცრემლად იღვრება თვალიდან,
რა ლამაზია საცქერლად,
არწივთა საბუდარიდან!
რა მშვენიერი დილაა,
ბული ავარდა მზიანეთს.
შენ დაგვიფარე, მომხდური,
ღმერთო, შენ დააჭკვიანე.
ისედაც არაფერია
ამ ქვეყნად სასიხარულო,
ღმერთი არა გწამთ, ერთმანეთს
ნუ შეჭამთ, ვესიყვარულოთ!
ვენაცვლე მუზის საუფლოს,
ვით მონადირე ჯარჯი ვარ,
ქართული ლექსის ბწკარებზე
როგორც ხარ-ჯიხვი დავდივარ,
სანამ აქა ვარ, კაცობის
გავაძლიერებ რეკორდებს,
ისეთი სიტყვა უნდა ვთქვა,
სიკვდილიც დამიმეგობრდეს!
ამახმიანე, ბუნებავ,
ვაჟავ, ღმერთები გაქებენ,
შენი შვლის ნუკრის წყარონი
შიგ გულში მორაკრაკებენ.
შეყვარებული ქალ-ვაჟი
ერთმანეთისთვის დნებიან,
შაშვი, ტოროლა, ბულბული
გაზაფხულს ეფერებიან,
დროზე დამატკბე, ლამაზო,
სიყვარულს ცქერა რად უნდა?!
გული, თირკმელა, ჯიგარი
სულ ერთმანეთში ადუღდა.
წლისთავზე ვაჟკაცს გაჩუქებ,
ერთად ვასწავლით არაკებს,
ისეთი ბიჭი დადგება,
ქვეყანას ალაპარაკებს.
ჯიშ-ჯილაგს გაგვილამაზებს,
ლაჩარი რადა გვჭირდება!
ამირანივით ოხერი
ნათლიას დაეჭიდება...
ბოშა ქალი კი, რაინდო,
შენს ბედს ყავაში ჩახედავს...
ველზე ხოხობი აფრინდა,
ლომო, ცერად ნუ გახედავ.
დამშვენდი, ჩემო ბოკვერო,
ასკდი, აყვავდი მზე-ყანავ!
ქართული დოლის ქუხილში
ვერ დააჩოქებთ ქვეყანას!
ღვთიური მადლის წყალობით
ჩვენში წალკოტი შრიალებს,
თამარ-დედოფლის თვალები
უფლის ბეჭედში ბრიალებს!
მოდით დაგატკბოთ ბუნებით,
მტერო, არ ენდო მოჭორილს
ჭიუხებს ავთანდილივით
ჩამობარდნია ქოჩორი.
მონატრებული გიცქერით,
ჩემი ოცნების მტრედებო,
ვაიმე, როგორ ლამაზად
დამშვენებულხართ ქედებო!
მაგდანამ აინარნარა,
გავსებული აქვს ცურიო,
ცისარტყელაზე გაშლილა
სოკო და სატაცურიო.
დღე და ღამ შენზე მაბოდებს,
სულ მელანდება არწივი,
შენს სიყვარულში სამშობლოვ
ვლუღლუღებ, როგორც ყმაწვილი.
ცალმხრიდან თერგი ღრიალებს,
მეორე მხრიდან არაგვი,
ვფიცავარ, ქვეყნად არ არის
ასეთი ტურფა ალაგი!
თოვლიან-ყინულიანო,
როს დარდი შამაგეყრება,
გულიდან ქვეყნის ტკივილი
სულ ნიაღვრებად გეღვრება,
რად შემიყვარდი, ტიალო,
რად დამახვიე დარდები?!
ბერიკაცს გააჯეილებ,
ჯეილი ვჭაღარავდები.
მართლა ლომების მოდგმა ვართ,
მტკვარზე არ გვყოფნის დოქ-ღვინო,
ყარაჩოღელთა ტივები
არაგვზეც უნდა მოვფინოთ:
ჰოდა, დაჰკარი მეარღნევ,
დაგვხედეთ ჭირს და ვარამში,
ვაიმე, როგორ დაგათრობთ,
თუ მოგიმწყვდიეთ მარანში!
არწივთა საბრძანებელო,
ქართულო მიწავ, ქებულო,
კარაბინა ხარ, ოხერო,
მტრის გულში დამიზნებულო,
დაგლოცავ, ჩემო ქვეყანავ,
ვეღარ დამათრობ, კახურო!
მოდი შეგასკდე ჯიხვივით
გული გულს დაგიჯახუნო!..

ძ. საბარეჯო.

## გამოიცა

# „...ესე ამბავი სპარსული“...

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ ანუ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მეორე განზომილება“ — ასეთი სათაური აქვს თამარ ერისთავის წიგნს, რომელიც „ნეკერმა“ გამოსცა და ფრიად საინტერესო ნააზრევია არა მარტო რუსთველოლოგთათვის, არამედ ნებისმიერი მკითხველისათვის, რადგან ავტორი ახლებურად, თავისებურად, საკმაოდ დასაბუთებულად განიხილავს რუსთველის პოემის შინაარს, უსადაგებს რა მას საქართველოს იმდროინდელ ვითარებას (რაც თავისთავად ტრადიციულია) და პიროვნებებს (რაც ნაკლებ ტრადიციულია) — რისთვისაც იმველიებს როგორც ქართულ ისტორიულ წყაროებს, ასევე უცხოურს.

ამ ნაშრომით ცნობილი პოეტი და მთარგმნელი თამარ ერისთავი მოგვევლინა, როგორც ძალზე ორიგინალური და დაკვირვებული მკვლევარი. გააჩნია, ვინ რა თვალით წაიკითხავს ესოდენი რუდუნებით შექმნილ ამ წიგნს, რომელიც სამწუხაროდ, მცირე ტირაჟით (500 ეგზ.) გამოიცა, მაგრამ ერთი კია, უთუოდ ხელმეორედ აგვაღებინებს ხელში „ვეფხისტყაოსანს“ და „გვაიძულებს“ მევუპირისპიროთ ერთმანეთს თამარ ერისთავის ჰიპოთეზები და დღემდე არსებული შეხედულებანი, თუნდაც იმისთვის, რომ მისი ღრმა რწმენით, „ნაწარმოების გამჭოლ პოემის ავტორისა და გმირის მსგავსების უცილობლობა, უკვე საკმარისი საფუძველია იმ ვარაუდისათვის, რომ შესაძლოა რუსთველს ტარიელი თავის იპოსტასად ჰყავდეს გამოყვანილი პოემაში, ანუ ტარიელში პროეცირებული იყოს რუსთველის პიროვნება“. იქვეა შენიშვნა, რომელშიც მკვლევარი დასძენს: „**ეს ნიშნავს, რომ ტარიელის თავგადასავალს მისი ძირითადი მხატვრული წაკითხვის პარალელურად შეიძლება ჰქონდეს წმინდა ისტორიული წაკითხვაც, როგორც მისი მეორე შინაარსი, როგორც რუსთველის თავგადასავალი**“.

ამ მოსაზრების გასაღებად კი თამარ ერისთავს პოემის სათაური მიაჩნია; იგი განმარტავს, თუ რა ხერხით შეიძლება იყოს ჩადებული მხატვრული ნაწარმოების გმირში რუსთველთან დაკავშირებული ისტორიული სიმართლე, სწორედ პოემის სათაურშია საგულვებელი, რამდენადაც მასში სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული გააზრების (კაცი მიჯნური) პარალელურად მისი ისტორიული (ინდური) გააზრების (კაცი განდგომილი) შესაძლებლობაც ძევსო.

თავის მოსაზრებებს მკვლევარი იმდენად ლოგიკურად აყალიბებს, რომ ნება-უნებლიედ მისი თანამოაზრე ხდებით. მეტიც! ამ გამოკვლევას რომანივით ვკითხულობდი, რადგან მართალია, მიჯნური მელექსეში ჰპოვებს თავის Alter Ego-ს, მაგრამ თამარ ერისთავი უფრო და უფრო იმარჯვებს ტელესკოპს, რათა შორეულ წარსულში უკეთ გაარჩიოს ისტორიული პირები — და კერძოდ, ვინ დგას მელექსე მიჯნურის, ანუ რუსთველის ფსევდონიმით გიორგი მესამისა და თამარის წინაშე!

მისი კვლევის ლოგიკით გზა დემნა ბაგრატიონამდე მივიდა, გიორგის ძმის — დავითის ძემდე, ანუ ტახტის მემკვიდრემდე, რომლის აღზრდაც მომაკვდავმა დავითმა უმცროს ძმას მიანდო, მაგრამ უფლისწულის ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა...

თამარ ერისთავი დაასკვნის, რომ რაკი „ვეფხისტყაოსანში“ საქართველოს სამეფო სამი პროექციითაა წარმოდგენილი (ინდოეთი, არაბეთი, მულღაზანზარი) შესაბამისად, დემნა უფლისწულის პიროვნებაც სამ პიროვნებაში ტარიელსა, ავთანდილსა და ფრიდონშია პროეცირებული — ანუ დემნას რეალურ თავგადასავალს ტარიელის თავგადასავალში ხედავს, ხოლო ავთანდილი და ფრიდონი დემნა უფლისწულის ორ შესაძლებელ მდგომარეობას განასახიერებენო.

თუ ტარიელი ხელი მიჯნურია, ავთანდილის ხატში თამარ ერისთავი ხედავს დემნას ჰარმონიულ „მე“-ს მიჯნურისა და მეფის ღირსებათა სინთეზს, ხოლო ფრიდონში დემნას მეფურ „მე“-ს. ე.ი. დემნას გახლეჩილ პიროვნებას — მეფეს უსიყვარულოდ!

ისევ და ისევ ავტორისეული მტკიცებით პოემის მეორე განზომილებაში სამივე მთავარი გმირი გააზრება, როგორც დემნა უფლისწულის სამი „მე“.

აქედან გამომდინარე, აღარ გაგიკვირდებათ, თუ ფარსადანთან ტარიელის მეპასუხების („ინდოეთი ჩემი არის, არვის მივცე ჩემგან კიდე“) და უცხო მოყმის ეპიზოდი, რომელთაც დიდ ადგილს უთმობს თამარ ერისთავი თავის ნაშრომში, იქცევა მისი მოსაზრების და ამდენად, „ვეფხისტყაოსნის“ მატიანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთად — კერძოდ, უცხო მოყმის ეპიზოდი მკვლევარს დემნა უფლისწულის გადარჩენისა და მისი საქართველოდან გადაკარგვის ფაქტის მაუწყებლად მიაჩნია!

მოულოდნელია?! დაუჯერებელი?!

რაც შეეხება ფარსადანთან შეჯახებას, ამაზე ავტორი მიგვითითებს, რომ „ზოგიერთ თანამედროვე ქართველ ისტორიკოსს აღნიშნული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ხსენებული ეპიზოდის უცილობელი მსგავსება დემნა უფლისწულის ამბოხების ფაქტთან. მაგრამ მას რომ შეიძლება რაიმე საერთო ჰქონდეს რუსთველთან, ამის შესახებ არავითარი ვარაუდი არ არსებობს“ (გვ. 22).

როცა ასეთი საინტერესო გამოკვლევა ჩაგივარდება ხელთ, უთუოდ ეძებ თანამოაზრეს.

რაკი ვიცოდი, რომ ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტში გამართულ კონფერენციაზე: „მითოსი და თანამედროვე კულტურა“ — ამ წიგნზეც გამახვილდა ყურადღება — როგორც თანამედროვე რუსთველოლოგიის თვალსაჩინო მონაპოვარზე, მივმართე ბატონ გურამ ლებანიძეს, ინსტიტუტის პრორექტორს სამეცნიერო დარგში, რომელმაც სწორედ ამ ნაშრომს დაუთმო თავისი გამოსვლა. იგი მიიჩნევს, რომ ეს უფრო რუსთველოსოფიური ხასიათის გამოკვლევაა, მით უფრო დამაინტერესა მისმა მოსაზრებამ.

— თავისი ნაშრომის „წინათქმაში“ თამარ ერისთავი ამბობს, რომ იგი „მეცნიერული, რუსთველოლოგიური პრეტენზიით“ არ სთავაზობს მკითხველს თავის ნააზრევს. და ამას ამბობს ავტორი, რომლის მიზანია არამარტო აღმოაჩინოს ახალი, აქამდის ვერ დანახული განზომილება „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტში, არამედ დაადგინოს კიდეც პოემის ავტორის ჭეშმარიტი ვინაობა, მაგრამ ჩვენ არ გვსურს შევეწინააღმდეგოთ ავტორს: მისი ნააზრევი მართლაც არ ეკუთვნის რუსთველოლოგიას, როგორც კვლევით მიმართულებას, არ წარმოადგენს რუსთველოლოგიურ ფაქტს, ამბობს ბატონი გურამი, და განაგრძობს, — ჩვენი აზრით, ავტორის ამ პოზიციას საფუძვლად უდევს ღრმა, თუმცა თუნდაც მხოლოდ ინტუიციით ნაკარნახევი რწმენა. მაგრამ რა არის მისი ნააზრევი, თუ იგი არ არის რუსთველოლოგია? რას უნდა დავეყრდნოთ ჩვენ ამ ნააზრევის პოზიტიური ხედვისა და განსაზღვრისთვის? ნაშრომში არ არის დასახელებული ამ ნააზრევის არსი, მაგრამ იგი უტყუარია და არის მინიშნებული იმ განცდათა უშუალო გამოხატვით, რომელთა წიაღშიც იზრდება „ვეფხისტყაოსნის“ თამარ ერისთავისეული აღქმა: „ვულკანის უეცარ ამოფრქვევას ჰგავს ისტორიის სიღრმიდან დაძრული ეს მთანჯველი საიდუმლო“ — ამბობს იგი. პოემის მრავალგანზომილებიან სიღრმეში „ჩამარხული“ ჭეშმარიტების აღმოჩენა მისთვის ნიშნავს „იდუმალთან მიახლოებას“ და „სასწაულისთვის თვალის გასწორებას“, ნიშნავს იმ ტრაგიკულ განცდას, რომელიც ეუფლება ხოლმე ადამიანს, როცა იგი მთელი რწმენით ხედავს




სასწაულს, მაგრამ ძნელად თუ დაიჯერებს, რომ შეძლებს სხვებსაც გაუზიაროს ამ სასწაულით მოტანილი ჭეშმარიტება: „რისი იმედით შეიძლება იყოს სასწაულის შემსწრე კაცი? თვითონ კიდევაც რომ დაიჯეროს დაუჯერებელი, სხვას ვერ დააჯერებ...“

„ვულკანის ამოფრქვევად“ აღქმული „იდუმალთან მიახლოება“ და „სასწაულისთვის თვალისგასწორება“, რა თქმა უნდა, ვერ იქნება განცდათა ის სპექტრი, რომელიც შეიძლება თან ახლდეს რუსთველოლოგიას, როგორც მეცნიერული ძიების ერთ-ერთ სახეს. ამიტომ უნდა ითქვას, **თამარ ერისთავის ნააზრევი არის არა რუსთველოლოგია, არამედ რუსთველოსოფია. „ლოგიურობა“ და „სოფიურობა“ ძირითადად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ არა უბრალო ურთიერთდაპირისპირებით (და ურთიერთგაუქმების სწრაფვით), არამედ იმით, რომ ისინი არსებობენ და არსებობენ ხედვისა (და განცდის) პრინციპულად განსხვავებულ განზომილებებში.** თუ „ლოგიურობა“ ექვემდებარება „რეალური“ ემპირიულ-ისტორიული სინამდვილის ფაქტებს და კანონებს, „სოფიურობა“, პირიქით, ხედავს ჭეშმარიტებას სიმართლისა და სამართლიანობის იმ ზეისტორიულ საუფლოში, რომლისთვისაც — როგორც სასწაულისთვის, — თვალის გასწორებას ამაოდ თუ ლამობს „ისტორიული“ სინამდვილე. სოფიურობა არსებობს თავის არსით და კანონით — მის წიაღში დანახული ჭეშმარიტება არ საჭიროებს დადასტურებას „ლოგიურ“ დონეზე. **სოფიურობის ერთ-ერთ ფილოსოფიურ განმარტებაში ნათქვამია: სოფიურობა არის იდეალურისა და რეალურის აბსოლუტური იგივეობა.** იდეალურობა სოფიურის სფეროში არ არის რაღაც გაწყენებული, იგი იქცევა იმ განსაკუთრებულ ფორმად, რომელსაც მითი ეწოდება „და მართლაც ის, რასაც თამარ ერისთავი გვეუბნება თავის ნაშრომში, არის მითი ამ სიტყვის პირველადი და პირველქმნილი მნიშვნელობით. მისეული (და ვინ იცის — თუ ჩვენც შევძლებთ „თვალი გავუსწოროთ“ მის მიერ დანახულ სასწაულს — ჩვენეულიც) მითი, რომელშიაც მოთხრობილია სოფიურად ჭეშმარიტი ამბავი „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორისა. თამარი ამბობს: „გენიალური პოეტისათვის, რომელმაც თავის მიერ შექმნილ პოეტურ სამყაროში სიყვარულის დიქტატურა დაამყარა.. ნებისმიერი მოქმედების ასახსნელად საკმარისია შეყვარებული გულის დიქტატი“. სწორედ სიყვარულის ამგვარმა „დიქტატურამ“, როგორც სოფიურობის წყარომ და ძირმა შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ თამარ ერისთავისეული მითიც — შექმნა ისე, რომ მიზიდულობის სოფიური კანონის შესაბამისად ამ დიქტატურას შეუერთდა და შეერწყო ოცნებისა და იმედის დიქტატურად...

ასეთია ბატონ გურამ ლებანიძის აზრი.

ორიოდე სიტყვა მხატვარზე.

...თამარ ერისთავს ერთი პიროვნების რამდენიმე „მე“-დ გააზრების უნივერსალურ მოდელად, რამაც მის წარმოსახვაში პოემის მთელი სიუჟეტი ახალი კუთხით შემოაბრუნა და დაუდასტურა, რომ ნაწარმოების წიაღში ნამდვილად დემნა უფლისწულის სიყვარულის ტრაგედიაა ჩამარხული (ე. ი. მისი ტრაგედია და მისი გადარჩენისა და რუსთველად გარდასახვის საოცარი ამბავი), ესახება „ბჰაგავად გიტას“ რელიგიურ-ფილოსოფიური მოდელის ლიტერატურული ტრანსფორმაცია — აქედან ერთ პიროვნებაში ორი განსხვავებული „მე“ („შავი“ — კოსმიური „მე“, თეთრი — ჰარმონიული „მე“-ს).

ამავე მოსაზრებას გამოხატავს მხატვარ გიორგი ბაგრატიონის მიერ წიგნის ყდაზე გამოსახული შავ-თეთრი სამსახეობა რუსთველისა.

თუ ამ წიგნით დაინტერესდებით, მისი შეძენა შეგიძლიათ რუსთაველის პროსპექტზე მაღაზიაში „მეგობრობა“ (№ 37) და გამომცემლობა „მერანის“ წიგნის მაღაზიაში (№ 42).

მერწმუნეთ, ამით უთუოდ გამდიდრდება თქვენი რუსთველიანა!

**ნანა ღვინეფაძე.**

## წაიკითხეთ!

# ის, რაც გვაკლია...




უთქვამთ, პროზის მთარგმნელი მონაა, ხოლო პოეზიისა — მეტოქეო. და რაკი „პლატერო და მე“ (გამომცემლობა „საქართველო“, თბ. – 1997) პოეზიისა და ლირიკული პროზის ნიმუშად ითვლება, მის გადმომქართულებელს თამამად შეიძლება ეწოდოს ავტორის — ხუან რამონ ხიმენესის მეტოქე, თანაც — ღირსეული. როდესაც „პლატეროს“ კითხულობ, უნებლიედ გახსენდება სერვანტესისა და სტენდალის დიდებული (და უსამართლოდ მივიწყებული), ძალდაუტანებლად და ღალად შესრულებული თარგმანები, წიგნები, რომლებმაც მსოფლიო ლიტერატურის შედევრებთან ერთად ქართული ენის საოცარ სიმდიდრეს გვაზიარეს. მთარგმნელობითი კულტურა ორგანული შემადგენელი ნაწილია ერის სამწერლობო კულტურისა და ნიშანდობლივია, რომ ულიმღამო, უსახური თარგმანების მოზღვავებულ ნაკადში სწორედ ახლა გამოკრთა შესანიშნავი ქართულით აჟღერებული „პლატერო და მე“, წიგნი, რომელიც ეძღვნება მაძღარ ყოფაში ერთსულოვნად ათვალწუნებულ, მასხარად აგდებულ არსებებს — შეშლილსა და სახედარს.

დააკვირდით ყდას, რა სიყვარულით არის დახატული ჩოჩორი (მხატვარი — ელგუჯა ბერძენიშვილი), ჩაუკვირდით ტექსტს, რა სიყვარულითა და ოსტატობით არის გადმოქართულებული (მთარგმნელი — მანანა გიგინეიშვილი).

**არჩილ მანჯგალაძე.**

## რეპლიკა

# კალკები „გაუცნობიერებლად მოიხმარებიან ჩვენგანვე“

ეტყობა, მართლაც ასეა, თორემ ენის სიწმინდეზე დაწერილ სტატიაში მაინც არ უნდა წაგვეკითხა კალკის ასეთი თვალსაჩინო ნიმუში (იხ. „საქ. რესპ.“, № 141, 20.06.1997, თ. ღვინაძე, „გაზეთის ენა“).

სტატიის თემა კი, მართლაც, აქტუალურია და სავსებით ვეთანხმები მის ავტორს, რომ „ენის ცვალებადობის პროცესი ყველაზე თვალნათლივ გაზეთის ფურცლებზე აისახება“ და რომ წაკითხულს მოსმენილზე მეტი ძალა აქვს. აქედან გამომდინარე, იქნებ დამწერსაც მეტი სიფრთხილე მართებდა, როცა ისეთ რთულ საკითხზე გადაწყვიტა სტატიის დაწერა, როგორიც ენის სიწმინდეა? ხსენებული სტატიის კითხვისას რატომღაც ხშირად მაგონდებოდა ერთი მშვენიერი ქართული ანდაზა, სხვის თვალში ბეწვს რომ ეხედავთ და საკუთარში დირესაც ვერა. აქ გაზეთებიდან ამოწერილი ყველა მაგალითი მართებულადაა დაწუნებული და სწორი ფორმებიც მართებულადაა მითითებული, მაგრამ, საკმარისია, სტატიის ავტორი გადავიდეს მსჯელობაზე, რომ ლამის ყოველ წინადადებაში თვითონვე არღვევს ქართული ენის ნორმებს. მკაფიოდ იჩენს თავს ის მავნე ტენდენციები, რომლებიც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართულ ენობრივ სისტემას რღვევით ემუქრება“. ასეთია თუნდაც აღწერილი ფორმის ხმარება ზმნის პირიანი ფორმის ნაცვლად: მაგ. „საკუთრივ ორთოგრაფიული წესებიც კი... ჯერ კიდევ ხშირად არის დარღვეული (უნდა იყოს: ირღვევა) გაზეთების ფურცლებზე“.

თ. ღვინაძის პუბლიკაციაში საკმაოდ ხშირად გვხვდება ბუნდოვანი წინადადებები: მე, მაგალითად, ვერ მიეხვდი, რას ნიშნავს, „აზრობრივად შეუფერებელი სხვა გამოთქმები“. ასევე გაუგებარია, რა შუამია „ექსტრალინგვისტური ფაქტორი“ ფრაზაში: „ორთოგრაფიული უზუსტობანი მეტ-ნაკლები რაოდენობით ყოველთვის არის მოსალოდნელი გაზეთის ენაში მისი სპეციფიკურობისა და ზოგი სხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორის გამო“.

სავსებით სწორია თ. ღვინაძის მოსაზრება, რომ გაზეთებში „გვხვდება ორი უკიდურესობა: ან უგულებელყოფილია პუნქტუაცია, ან ზედმეტად, უადგილოდ იხმარება“, სწორია ზმნის ფორმაც „იხმარება“, მაგრამ იქვე იმავე ზმნას ენათმეცნიერი უმართებულო ფორმით გვაწვდის. არც სხვა სასვენი ნიშნები მოიხმარება რიგიანად საგაზეთო ენაშიო, წერს იგი და მაგალითად „მრავალი წერტილის“ (ანუ „მრავალწერტილის“ — დ. ფ.) ხშირად გამოყენებას ასახელებს, რომელიც თურმე „მაინდამაინც არაა მოსალოდნელი გაზეთის ენაში“. აქ ნამდვილად უნდა გამოვიყენო გაოცების ნიშნად ძახილის ნიშანი, მით უმეტეს, რომ გაუმართავია მომდევნო ფრაზაც: „ამ უკანასკნელი ფუნქციით გაზეთები ხშირად მიმართავენ მას“.

თ. ღვინაძე შემდეგ მსჯელობს ქართულ ენაში უცხო სიტყვების მოძალებაზე და გამოაქვს დასკვნა, რომ „ზემოთ დასახელებული ფაქტები ქართული სალიტერატურო ენის მთლიან სისტემას ბევრს ვერა ავნებს“ (უნდა იყოს: ბევრს ვერაფერს ვნებს) და უფრო დიდ საფრთხედ კალკების მომრავლებას მიიჩნევს. მე, პირადად, უცხო სიტყვების ზღვარგადასული ხმარებაც არანაკლები სიმახინჯე მგონია, მაგრამ ამჯერად ამ საკითხზე კამათს არ მოვყვები. მე მხოლოდ იმ ფაქტმა დამაფიქრა, რომ თ. ღვინაძე კალკების მოძალებაზე გვესაუბრება და თითქოს საგანგებოდ თვითონვე კალკების ჩინებულ ნიმუშებს გვთავაზობს: აი რამდენიმე მაგალითი: „ამის შესახებ მრავალგზის აღნიშნულა სპეციალურ ლიტერატურასა თუ პრესაში“ (უნდა იყოს: ეს მრავალგზის აღნიშნულა); „კალკები არათუ უკან იხევენ, უფრო და უფრო ეძალებიან ჩვენს ენას და ხშირად გაუცნობიერებლად მოიხმარებიან ჩვენგანვე. ვითარება ყოველდღიურად იცვლება და, სამწუხაროდ, არა უკეთესობისაკენ“. ვეთანხმებით, რომ ზემოთ მოყვანილი წინადადებები სიტყვა-სიტყვით შეიძლება ითარგმნოს რუსულ ენაზე.

ქვემოთ თ. ღვინაძე იწუნებს ფრაზას „დიალოგი ინტერვიუში გადაიზარდა“ და სწორ ვარიანტად გვთავაზობს „ინტერვიუდ გადაიზარდაო,“ - რაც ჩემი აზრით, უარესი შეცდომაა.

სამწუხაროდ, ენობრივი თვალსაზრისით სტატიის შემაჯამებელი ნაწილიც სცოდავს. ავტორის აზრით, „ჟურნალისტების აღზრდას ენობრივი თვალსაზრისითაც მეტი ყურადღება უნდა მიექცეს“, „კერძო ბითი გზით სიარული სასურველ შედეგს ვერ მოიტანს“, „მთლიანად ენობრივი აღზრდის სისტემაა გადასახედი“ და ა.შ. ჩემი აზრით კი აჯობებდა, ავტორს ჯერ საკუთარი „ენობრივი სისტემისათვის“ გადაეხედა, სანამ „ზემოთნახსენებ“ სტატიას გამოაქვეყნებდა.

**დალი ფანჯიკიძე.**

ტექნიკელი

20 ივლისი. 1997 წელი.

№7

საქართველოს რესპუბლიკა | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაზეთი | ყოველთვიური დამატება

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინფორმაცია

## სტუდენტური კავშირის V ყრილობა

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტური კავშირის V ყრილობა გაიმართა, სადაც გაწეული მუშაობის თაობაზე ანგარიშით გამოვიდა სტუდენტური კავშირის პრეზიდენტი ნოდარ მუსერიძე. ყრილობა გახსნა ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა რამაზ ხუროძემ. მან სტუდენტური კავშირის ფუნქციებსა და სტრატეგიულ მიზნებს დიდი მნიშვნელობა მიანიჭა. სტუდენტური კავშირის განვლილი მუშაობის შეფასებისას კი ხაზი გაუსვა მის დადებით და უარყოფით მხარეებს, მიუთითა ნაკლოვანებებზეც, ისაუბრა განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმაზე.

აუდიტორიას მიესალმა საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარე ლევან ალავიძე. მან ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის რეალურ პერსპექტივებსა და სტუდენტთა სტიპენდიებით უზრუნველყოფის საკითხებზე.

ყველაზე აქტუალური მაინც ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური კავშირის პრეზიდენტის არჩევა იყო, ერთადერთ კანდიდატურად წარმოადგინეს სტუდენტური კავშირის ახლანდელი პრეზიდენტი ნოდარ მუსერიძე, რომელსაც დელეგატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სტუდენტთა კონტინგენტის ახალი შევსებისათვის ემზადება

1997 წლის 17 ივნისს გაიმართა ღია კარის დღე. უნივერსიტეტს აბიტურიენტები და მათი მშობლები ესტუმრნენ.

უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა რამაზ ხუროძემ სტუდენტებს გააცნო ის სიახლეები, რაც აბიტურიენტებს ელით 1997 წლის მისაღებ გამოცდებზე, ვრცლად ისაუბრა საუნივერსიტეტო სპეციალობათა არსზე, მათ მნიშვნელობაზე ჩვენი ქვეყნის მრეწველობის, მეურნეობის, კულტურისათვის. შემდეგ დამსწრეთ წარუდგინა საგნობრივი საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეები, რომლებმაც საგამოცდო საგნების სპეციფიკის შესაბამისად უპასუხეს დამსწრეთა მრავალ შეკითხვას.

უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის სისავსემ კიდევ ერთხელ ნათელყო ჩვენი საზოგადოების მზარდი ინტერესი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისადმი.

„გეპეელები“

# ყველაფერი აღმშენებლობით იწყება

*ბიძინა სონღულაშვილი აგერ უკვე წელიწადია, რაც გურჯაანის რაიონის გამგებელია. იგი „გეპეელია“, სამთო ფაკულტეტი აქვს დამთავრებული.*

დღეს ვერავის ვერაფრით გავაკვირვებ, მაგრამ ერთი შეხედვით მაინც უჩვეულოდ შეიძლება მოგეჩვენოს ინჟინერი კაცის სასოფლო-სამეურნეო რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ყოფნა. ჭეშმარიტად კი, ბიძინა სონღულაშვილი ამ მოკლე ხანშიც წარმოაჩინა „საქმემან მისმან“. მაგალითად, თუნდაც კულტურისა და განათლების სფეროში მისი ნაღვაწი ასე გამოიყურება: შეკეთდა ან ძირეულად აღდგა რაიონის 30-მდე სასკოლო შენობა. განახლებულ შენობაში იზეიმა 100 წლისთავი სოფელ ვეჯინის საშუალო სკოლამ. შეკეთდა სოფელ ვაჩნაძეანთკარისა და იოსებ ნონეშვილის მუზეუმები, განახლდა სპორტკომპლექსი, დაარსდა ადგილობრივი სარაიონო ტელევიზია. დაიდგა ორი ახალი სატელევიზიო გადამცემი და ა. შ.

რაიონში დამონტაჟდა თანამედროვე საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური და იქაურებს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან შეუძლიათ ლაპარაკი.

ამ ტრადიციულ სტატისტიკას ბიძინა სონღულაშვილმა ფიქრიანად დაამატა — ეს ზღვაში წვეთია, მთავარი კი ჯერ გასაკეთებულიაო. ამ სამომავლო საკეთებლის თვალსაწიერიდან დავუსვით ბატონ ბიძინას პირველი კითხვა:

— დღევანდელ რთულ ვითარებაში რა ამოცანების წინაშე დგას რაიონის სამეურნეო ხელმძღვანელი და თავისთავად რა პიროვნული თვისებები უნდა გააჩნდეს მას ამ ამოცანათა გადასაჭრელად?

— ალბათ, ჩემგან ტრადიციულ პასუხს ელით: რომ სამეურნეო ხელმძღვანელი მარტო ღონისძიებებს კი არ უნდა სახავდეს, არამედ, პირველ რიგში, თავად ასრულებდეს მათ და სხვა. ბუნებრივია, ეს უნდა შეეძლოს მას, მაგრამ ეს არაა მთავარი. რაიონის ხელმძღვანელი დღეს დროის სულისკვეთებას უნდა გრძნობდეს.

ჩვენში ახლა დიდმაც და პატარამაც იცის, რომ ახალ სახელმწიფოს ვაშენებთ, მაგრამ ყველა როდი ითვალისწინებს იმას, რომ ამისათვის მხოლოდ ფასეულობათა ცვლა არ არის საკმარისი. მთავარი ადამიანთა ცნობიერების შეცვლაა. ამას ქართული სოფლის მაგალითზე მოგახსენებთ. ყველა კარგად ხედავს, რომ დღევანდელი სოფელი ის აღარაა, რაც ცოტა ხნის წინათ იყო, აღარაა არა მარტო კოლექტიური სამეურნეო საქმიანობით, არამედ ასევე კოლექტიურ-ჯგუფური აზროვნებით. დღეს ქართველი გლეხი კოლმეურნედან ფერმერობისაკენ მიემართება. ამის მიხედვით იცვლება მისი ცნობიერებაც და პრაქტიკული ჭკუაც (გლეხი კი, როგორც ცნობილია, სწორედ პრაქტიკული ჭკუით გამოირჩევა!). ვინც ეს ყველაფერი დროზე გაიცნობიერა, ანუ როგორც იტყვიან, — ალლო აუღო, არა მარტო თავის რჩენა შეუძლია, არამედ ეკონომიკური დოვლათიც კი დააგროვა. ასეთები ჯერჯერობით, მართალია, ცოტანი არიან, მართალია, თვალში საცემი უფრო ქართველი გლეხის გაჭირვებაა, მაგრამ ცხოვრება მაინც აქეთ მიდის. თუმცა არ დავმალავ და ვიტყვი, მძიმედ მიდის და ნელა.

რაიონის ხელმძღვანელის უმთავრესი ამოცანაც ხალხში ამ ახალი ცნობიერების დამკვიდრებისათვის თავდაუზოგავი შრომა, ამასთან, მისთვის მყარი, მატერიალური საფუძვლის შექმნაა. დღეს ამაში უნდა დახმარება ქართველ გლეხს. ხშირად გაიგონებთ — მიწა როგორ დავამუშავოთ, ტექნიკა არა გვაქვს, საწვავი არ გაგვაჩნიაო და ა. შ. ეს ყველაფერი მართლაც სერიოზული მიზეზებია, მაგრამ ვფიქრობ, აქაც უმთავრესი კოლექტიური მეურნეობრიობის პრინციპებს მიჩვეული ცნობიერების ბრალია. ამ პრინციპებმა მოუდუნა ქართველ გლეხს ინიციატივის, ალღოს, ძიების უნარი. გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც — მეურნეობრიობის ახალ პრინციპებს შესაბამისად ახალი, სხვა ყაიდის სასოფლო ტექნიკა და ტექნოლოგიები სჭირდება. ძველით, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ დროებით შეიძლება თავის გატანა.

ამიტომ ზემოთქმულთან ერთად რაიონის ხელმძღვანელობამ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შემოტანა-დამკვიდრებაზეც უნდა იფიქროს.

იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ახალი ტექნოლოგიები მარტო ქალაქსა და მრეწველობას სჭირდება? დამერწმუნეთ, ამ ყველაფერს, დღეს სოფელი უფრო მოუთმენლად ელის.

სიტყვას არ გავაგრძელებ და არ მოვყვები იმის მტკიცებას, თუ რა არის სოფლის მეურნეობა იმ ქვეყნისათვის, რომლის საერთაშორისო სახელწოდება — გეორგია — შინაარსობრივად მიწის მუშაკობას უკავშირდება. ეს ისედაც ცნობილია. იმას კი მოგახსენებთ, რომ როცა გურჯაანში მოვდიოდი სამუშაოდ, ჩემი, როგორც „გეპეელის“, გამგებლად ყოფნის გამართლებას ამაში ვხედავდი. ახლაც მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ უმოკლეს ხანში შევძლებთ აღნიშნულ ამოცანათა გადაწყვეტას. ამაში ქართველი გლეხის ბუნებით, ნიჭიერებასთან ერთად, ისიც მარწმუნებს, რომ არც ჩვენი მთავრობის მხრივ გვაკლია ყურადღება და თანადგომა, რისი თუნდაც ერთი გამოვლენაა ჩვენთან საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის ამასწინანდელი სტუმრობა.

* * *

გურჯაანში სტუმრობის დროს ახალგაზრდობის გამორჩეული აქტიურობის მოწმენი აღმოვჩნდით. აფიშები ნაირნაირ ახალგაზრდულ ღონისძიებათა მოწყობას იტყობინებოდა. ჩვენც, ბუნებრივია, არ დავაყოვნეთ და ბატონ ბიძინას რაიონის ახალგაზრდობაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა. ისიც სიამოვნებით „გამოგვყვა“.



— რაიონში ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა შრომითი დასაქმება — გვითხრა ბატონმა ბიძინამ — მაგრამ ეს დღევანდელი ცხოვრების სენია. თუმცა, არც იმის უთქმელობა იქნება, რომ გარკვეულწილად აქაც ზემოხსენებული ძველი ცნობიერების ბრალიც უნდა ვეძიოთ, რაც სამუშაო ადგილების პასიურ ლოდინში გამოიხატება. აბა დააკვირდით: ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა არ დაიწყო იმის ლოდინი, შესაფერისი სამუშაო როდის გამოჩნდებაო, მიდგა-მოდგა, ხელი გაანძრია, მუშაობა არ ითაკილა და ოჯახსაც შეეშველა. ზოგმა მიწა აიღო იჯარით, ზოგმა ფირმა დააარსა. მომავალი, ჩემი ღრმა რწმენით, ასეთი ინიციატივიანი ახალგაზრდებისაა.

ჩვენ ჩვენი მხრივ, მხარში ვუდგავართ და ვცდილობთ შეძლებისდაგვარად გავუშინაარსოთ მათ ცხოვრება. მაგალითად, ფართოდ გამოვეხმაურეთ სტუდენტური დღეების პროგრამას, ჩავატარეთ სილამაზის კონკურსი, კონცერტები, დავაარსეთ მხიარულთა და საზრიანთა კლუბი. რაიონის პოპულარული სპორტის ჭიდაობის გასავითარებლად შევუდექით ღია საჭიდაო მოედნების მოწყობას, ვაახლებთ ფეხბურთის მოედნებსაც და სხვა. მწამს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა იტყვის თავის სიტყვას.

იხ. მე- 8 გვ.

ზნეობა

შალვა მარდი

# XX საუკუნის უბედურება

## ფსევდორელიგიური სექტა და სექსუალური მანიაკები

სასამართლო ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სექტანტთა უმრავლესობა ცეცხლში დაწვის წინ თავში გასროლით იყო მოკლული. მეზობლები წლების განმავლობაში ადევნებდნენ თვალს ამ სექტის წევრთა ცხოვრებას, რომლის სიმბოლო იყო ვარდი და ჯვარი. მათ არც კი ეგონათ, რომ ეს ადამიანები სექტას ეკუთვნოდნენ, და ფიქრობდნენ, რომ ისინი ეწევიან სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას ბიოლოგიასა და ქრისტიანული რელიგიის ფილოსოფიაში. ამ ორდენის ლიდერსა და შემქმნელზე ლუკ ჟიურეზე პოლიციამ ეჭვი მიიტანა, რომ იგი არალეგალურად ეწეოდა იარაღით, ნარკოტიკით ვაჭრობას, საბანკო მაქინაციებს სექტის წევრებისათვის ჩამორთმეული ფულის გასაწმენდად.

ამ სექტის შემქმნელისა და წინამძღვრის ბედი არავინ იცის. არის ვერსია, რომ მან პირველმა დაიწვა თავი, რათა არავის ეცნო, მაგრამ პოლიციას ეჭვი აქვს, რომ ჟიურემ მთელი ფული გაიტაცა, უცხო ქვეყანას შეაფარა თავი სხვისი სახელით და ახლა თავისი ავანტიურის ნაყოფს იმკის. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ ამოიცნო 48 დაღუპული: 25 ქალი, 17 მამაკაცი, ექვსი ბავშვი — 6-დან 16 წლამდე ასაკისა. 19 კაცი საფრანგეთის მოქალაქე იყო, 17 — შვეიცარიის, 9 — კანადის და 3 — ბელგიისა.

პოლიციამ საგულდაგულო გამოძიების შედეგად დაადგინა, რომ სექტის წევრებმა ჰომეოპათ ლუკ ჟიურეს ქადაგების შემდეგ ირწმუნეს, რომ ისინი არიან შუასაუკუნოვანი რაინდები, რომლებმაც ახლებური სახე შეიძინეს და რომ მათი წინამძღოლი ერთ მშვენიერ დღეს ცეცხლში გაატარებს და აიყვანს სირიუსზე — ღამის ცის უკაშკაშეს ვარსკვლავზე.

მაგრამ, სინამდვილეში ჟიურე მხოლოდ ასრულებდა ცრუმაგიერი პირის როლს. „მზის ტაძრის" ნამდვილი მეთაური იყო 69 წლის ჯოზეფ (იოსებ) დი მამბრო, რომელიც სექტის წევრებს განიხილავდა, როგორც გაცოცხლებულ რაინდებს ტაპლიერთა ორდენისა, XII საუკუნეში რომ დააარსეს იმ მლოცველთა დასაცავად, რომლებიც წმინდა ქვეყანაში უფლის საფლავის თაყვანსაცემად მიდიოდნენ. ეს იყო პატარა ტანის (157 სმ სიმაღლისა), ძალიან მსუქანი, ბეცი, სათვალიანი კაცი, ნამდვილი განგსტერ-ფსიქოპათი, სადისტი. ამას ადასტურებს პირადად დი მამბროს მიერ ორგანიზებული კანადელი ნიკი რობინსონის ოჯახის მკვლელობა. დი მამბრომ მთელი ოჯახი მხოლოდ იმიტომ ამოახოცვინა, რომ ნიკიმ თავის შვილს, დი მამბროს ნების წინააღმდეგ, ემანუელი დაარქვა. მამბრომ მათი მკვლელობა დაავალა სექტის წევრს შვეიცარიელ ნარკომანს ჯოელ ეგელსს. ქალის მეუღლე დიუტუა მან პურის დანით მოკლა, რომლითაც 50 ჭრილობა მიაყენა. ეს სიმბოლურად გამოხატავდა სექტის უზენაესი წევრების რიცხვს. მის მეუღლეს ნიკის ზურგში რვაჯერ ჩასცეს დანა, რაც სიმბოლურად განასახიერებდა „მზის ტაძრის" რვა კანონს, ხოლო ბავშვი მოკლეს გულში დანის ექვსი დარტყმით.

თავის მრავალრიცხოვან ფილოსოფიურ პუბლიკაციებში დოქტორი ჟიურე მკითხველს ურჩევდა ფეხშიშველს ევლო ბალახზე, ეჭამა მხოლოდ მწვანილეული, სალათა, იგი ამტკიცებდა, რომ სექტის წევრები გადაურჩებიან აპოკალიფსის. ჟიურე აწყობდა იდუმალ „შავ მესას" მხოლოდ რჩეულთათვის. 1972 წელს დი მამბრომ თავისი ფულით ჩამოაყალიბა საკუთარი ორდენი — „მზის ტაძარი". თვითონ დი მამბროს — ეროვნებით ფრანგს, რომელსაც კრიმინალურ წრეებში „პატარა ნაპოლეონს" ეძახდნენ, ხელისუფალნი სდევნიდნენ თაღლითობის, ძარცვის, მკვლელობებისა და ყალბი ფულის ბეჭდვისათვის. მან ჩამოაყალიბა მრავალი „უნივერსიტეტი", „აკადემია" და „სკოლა", სადაც სტუდენტებსა და მოსწავლეებს მოუწოდებდნენ უარი ეთქვათ ამქვეყნიურ სიამტკბილობაზე, სიმდიდრესა და ფულზე, რის სანაცვლოდაც მიაღწევდნენ უმაღლეს მედიტაციას. სექტის წევრთა ფულსა და ქონებას იგი ითვისებდა. თუ შვეიცარიისა და კანადის პოლიციის მიერ მიკვლეული, კომპიუტერში ჩადებული მონაცემებით ვიმსჯელებთ, „შევალიეს" რანგში აყვანილ 576 წევრთაგან თითოეული იხდიდა საწევრო შენატანს მინიმუმ 1-3 მილიონი დოლარის ოდენობით. სწორედ ამ ფულის წყალობით დი მამბრო არ იკლებდა ფუფუნებას და გავარდნილი ჰქონდა „დიდი ბიზნესმენის" სახელი.

მის მიმდევართ სჯეროდათ ყველაფერი, რის დაჯერებასაც მამბრო მოითხოვდა. აკეთებდნენ ყველაფერს, რის გაკეთებასაც მამბრო უბრძანებდა. არაფერი არ იყო მათთვის არც გასაკვირი და არც დამამცირებელი. თუკი მამბრო ქალს უბრძანებდა მასთან სქესობრივ შეუღლებას, ქალი უსიტყვოდ ეთანხმებოდა, მიუხედავად თავისი ასაკისა. იგი მზად იყო დაენგრია ნებისმიერი ოჯახი, თუკი თავში მოუვიდოდა აზრი, რომ რომელილაც წყვილი „კოსმიურად შეუთავსებელია".

მას შემდეგ, რაც ზემოდან მიღებული ბრძანებით შვეიცარიასა და კანადაში 1994 წლის ოქტომბერში ამოხოცეს 53 კაცი, ხოლო სექტის ათასობით სხვა წევრმა თავს უშველა, თვითონ დი მამბრო გაუჩინარდა...

„მზის ტაძრის" სექტის ისტორია — ეს არის ტიპიური სქემა სხვა სექტებისათვის, განურჩევლად ყველასთვის. მათი მოთავეების მთავარი ამოცანაა გამოსძალონ ფული სექტის წევრებს და მერე კი გაისტუმრონ საიქიოში — თვითმკვლელობის თუ, რაღაც სხვა გზით.

სექტის წევრთა ტრაგედიის შემდეგ, შვეიცარიის ხელისუფლებმა ყურადღება მიაპყრეს სხვა სექტების საქმიანობას. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქრისტიანულ-ულტრარელიგიური სექტა „სამეცნიერო ეკლესია", რომელიც თავისი იდეოლოგიითა და რელიგიური ფანატიზმით ახლოს იყო „მზის ტაძართან". ამ სექტის წევრები უკვე იყვნენ გარიყულნი, ზომბირებულნი, პირწმინდად გაძარცულნი და მოელოდნენ თავიანთ წინამძღვართა ბრძანებას, როდის მოეკლათ თავი. ბრძანებასაც არ დაუგვიანია: 1994 წლის ნოემბერში ქალაქ ლოზანის ერთ-ერთ კერძო სახლში ამ სექტის 12 წევრის გვამები იპოვეს.

ასეთი სექტები შვეიცარიასა და სხვა ქვეყნებში ასობით არის და მათმა ხელმძღვანელებმა უკვე ჩაიჯიბეს მილიარდობით დოლარი, თან, მოწმეები თავიდან რომ მოიცილონ, ამ ფულის ფასად ნაყიდ სამოთხეს პირდებიან და საიქიოში ისტუმრებენ.

იმაში, რომ ასეთი სექტები არსებობს, ბრალი მიუძღვით არა მარტო სახელმწიფოს ცალკეულ პასუხისმგებელ პირებს, არამედ მრავალ პოლიტიკურ და რელიგიურ ლიდერს, მათ შორის, ვატიკანის ცალკეულ ხელმძღვანელებს. ამჟამად მიმდინარეობს სხვადასხვა კათოლიკური ორდენების, მაგალითად, „ოპუს დეის" ორდენის ჩამოყალიბება ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში.



### გერმანია სექტების ქსელში ეხვევა

მიახლოებით გაანგარიშებითაც კი, დღეს ინდუისტურ სექტებში გაერთიანებულია დაახლოებით ორი მილიონი ახალგაზრდა გერმანელი, ხოლო სექტების ყოველწლიური ფულადი ბრუნვა შეადგენს დაახლოებით 18 მილიარდ მარკას, რომლის ლომის წილი საერთაშორისო საქმიანობაზე მოდის. და ასეთი სექტა-თემების უმრავლესობა თავის საბოლოო, უზენაეს მიზნად უცილობლად ისახავს თვითმკვლელობას, თანაც მასობრივს, ისეთს, როგორიც მოხდა ჯონსთაუნში (გაიანა) 1978 წელს, ანდა, როგორიც იყო ვაკოში, 1993 წელს.

— სექტებთან ბრძოლა დღითი-დღე სულ უფრო ჭირს, — ამბობს გერმანელი პასტორი ტომას განდოუ. — ცნობილია, მაგალითად, რომ, როდესაც ვირთხებს ებრძვი, ისინი უბრალოდ კი არ უნდა მოსპო, არამედ აუტანელი უნდა გაუხადო ცხოვრება. ასეა სექტების საქმეც. დღეს კი, ჩვენ, სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია კანონმდებლობა, რომელიც მათ წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული...

22 წლის ჰამბურგელმა მედიკოსმა სტუდენტმა კლემენს რიუპერტმა დედას დაურეკა და უთხრა:

— დედი, გურუმ მითხრა, რომ მე უნდა მოვკვდე, იქამდე კიდევ ორი დღე დამრჩა და მინდა, გნახო, მინდა, შინ მოვკვდე...

გულგახეთქილმა დედამ შეჰყვირა:

— შენ გაგიჟდი? ახლავე წამოდი სახლში, მე კი ექიმს გამოვუძახებ!

მაგრამ ვაი, რომ ექიმმა დააგვიანა. კლემენსი ჩუმად შეიპარა სახლში, შევიდა სააბაზანო ოთახში და იქ ვენები გადაიჭრა.

როდესაც შვილის ამბავს იგონებს, დედა სულ მოთქვამს და ქვითინებს:

— მას შემდეგ, რაც ათი წლის წინათ კლემენსი სექტაში მოხვდა, იგი თვალსა და ხელს შუა გამოიცვალა — იშვიათად მოდიოდა სახლში, რაღაც გულგრილი და გაუცხოებული გახდა. ვუყვავებდი, ვაფრთხილებდი, მაგრამ იგი მხოლოდ მამშვიდებდა: ნუ გეშინია დედი, ჩვენ იქ ვილოცებთო. მაგრამ თემის ხელმძღვანელის შრი ჩინმოის რჩევით (სინამდვილეში კი, რა თქმა უნდა, ბრძანებით) მან უყოყმანოდ მოიკლა თავი. რა არის ეს, რა ეშმაკეული ძალაა ასეთი?

რას იზამ, ეს ქალი — სწორია — აღმოსავლეთის თანამედროვე რელიგიური თემები სერიოზულ საფრთხეს უქმნიან საზოგადოებას. უფრო მეტიც — მათ ღრმად გაიდგეს ფესვი მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში. მაგალითად, გერმანიაში ასეთი სექტები შვიდასზე მეტია და ისინი ყოველ დიდ ქალაქში არსებობს. მათი წევრები უსიტყვოდ ასრულებენ „ახალი რელიგიის" ბელადთა ყველა „ღვთაებრივ" ბრძანებას. მაგალითად, იგივე შრი ჩინმოის არაერთგზის გაუფრთხილებია სექტის წევრები ურჩობისაგან, თან უთქვამს, რომ „ურჩები თვითონ გაითხრიან სამარეს, სადაც უნდა იყვნენო". ასეთ თემში მოხვედრილი ახალგაზრდა უკვე საკუთარ თავს აღარ ეკუთვნის. „ღვთაებრივი" სრულყოფილების ნიღბით მის ცნობიერებასა და საქციელს ეუფლებიან და წარმართავენ ეგრეთ წოდებული გურუები — სულიერი მასწავლებლები. მაგალითად, კლემენს რიუპერტი, თავის დღეს ასე ატარებდა: დილიდან ორ საათს სწავლობდა აღმოსავლურ „მეცნიერებებს", ოთხ საათს — ეწეოდა მედიტაციას, და ისევ სწავლობდა. ერთხელ, დედასთან ერთ-ერთი იშვიათი საუბრისას წამოსცდა:

— გურუ ჩემთვის ყველაფერია. ის არის ჩემი მწყემსი, ჩემი მეგზური, ის მიმიყვანს სიკვდილის საუფლოში.

ერთხელ კლემენსი კარტოფილს ფცქვნიდა და უცებ „მოესმა" გურუს ხმა „ჰქენი ეს!". და მაშინ დაუფიქრებლად მოიჭრა მარცხენა ყური. მერე ქუჩაში გავარდა და სამი საათის განმავლობაში განუწყვეტლივ ეწეოდა მედიტაციას ქალაქგარეთა ტყეში...

— ეს ტიპიური საქციელია ასეთი სექტების წევრებისათვის, — ამბობს პასტორი ტომას განდოუ, რომელიც ოც წელიწადზე მეტია, სწავლობს რელიგიური სექტანტობის საქმეს, — მედიტაცია, სხეულისა და სუნთქვის „რელიგიური" ვარჯიში ანგრევს ადამიანთა ცნობიერებასა და ორგანიზმს. ისინი გადაიქცევიან თავისებურ ზომბებად — ბატონ-პატრონი გურუს რობოტებად. სწორედ ეს არის ამგვარი სექტების უმთავრესი საშიშროება. ისინი საკმაოდ კონსპირაციულად მოქმედებენ: ერთმანეთს ხვდებიან წრეებში, სამლოცველო თემებში, სხვადასხვა ცენტრებში, ზოგჯერ — ტაძრებსა და ეკლესიებში...

36 წლის პეტრა ხ. და მისი სამი წლის გოგონა თემში ინდოელმა გურუმ ზაი ბაბამ ჩაითრია. მხოლოდ მას შემდეგ, რაც პეტრა მეხუთე სართულიდან გადმოხტა და სამუდამოდ დახეიბრდა, შეიგნო ამ რელიგიის შემზარავი არსი და ახლა შეუძლია ყველაფერი ობიექტურად შეაფასოს.

— ჩვენ იქ ორ ცეცხლშუა ვიყავით. ერთი მხრივ — ღმერთი, მეორე მხრივ — ზაი ბაბა. მაგრამ, ერთხელ გურუმ გამოგვიცხადა, რომ ამიერიდან ჩვენთვის არ არსებობს არავითარი ღმერთი, მის გარდა. იგია წინასწარმეტყველიც და მხსნელიც. აღარც კი მახსოვს, რას აღარ ვაკეთებდით — გადავაქცევდით წყალს ბენზინად, ვეუფლებოდით აქამდე ჩვენთვის უცნობ „ღვთაებრივ გრძნობებს" და რაც მთავარია, — ვცდილობდით, შეგვეყვარებინა სიკვდილი სიცოცხლეზე მეტად. ზაი ბაბას ეზოთერული სემინარები ძვირი ჯდებოდა, სამასიდან ხუთას მარკამდე...

ორმოცდაათი წევრი იყო კიდევ ერთი გურუს — ჰასან ოცგერის სექტაში. მის კომუნას ეწოდებოდა „ჰაი-იოგი" („სამართლიანობის გზა"). 23 წლის ბეტას მისგან ორი შვილი ჰყავდა. ამ „მნათობმა", როგორც თვითონ უწოდებს თავის თავს, დაიქირავა დიდი ოთახი, 45 კვ.მ. ფართობისა, და იქ დაასახლა თხუთმეტი ყმაწვილი ქალი, რომლებიც გაწვრთნილი ძაღლების როლს ასრულებდნენ და უკეთეს შემთხვევაში ხმიადსა და წყალზე გადადიოდნენ. მართალია, ბოლოს და ბოლოს ოცგერით დაინტერესდნენ საგამოძიებო ორგანოები, მაგრამ ასობით მისი მსგავსი სექტანტი კვლავ უტიფრად დაპარპაშებს ქვეყანაში.

თარგმნა
არჩილ მანჯგალაძემ.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება.
დასაწყისი იხ. №155, 161.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვის მოეკვლევინა ვერსაჩე?





ბრიტანული გაზეთი „ტაიმსი“ სტატიას უძღვნის ცნობილი კუტიურეს ჯანი ვერსაჩეს მკვლელობას. გაზეთის ინფორმაციით, პოლიციას რამდენიმე ვერსია აქვს. ერთი მათგანის მიხედვით, ვერსაჩე გახდა ქუჩის მძარცველთა მსხვერპლი, მეორეთი – იტალიელი მოდელიორის მკვლელობა ორგანიზებული დამნაშავეობის სინდისზეა. მაგრამ, მაიამის პოლიცია დარწმუნებულია, რომ ჯანი ვერსაჩეს მკვლელობის საიდუმლო მის პირად ცხოვრებაში იმალება. როგორც „ტაიმსის“ კორესპონდენტმა შეიტყო, ვერსაჩე ფართოდ ყოფილა ცნობილი მაიამის ჰომოსექსუალურ წრეებში. გარდა ამისა, დიდხანს დადიოდა ხმა, რომ ვერსაჩე შიდსით არის ავად. ამასთან დაკავშირებით, პოლიციას ცნობილი მოდელიორის მკვლელობაში მთავარ ეჭვმიტანილად მიაჩნია 27 წლის მამათმავალი ენდრიუ კიუნენენი. ფედერალური გამოძიების ბიუროს მონაცემებით, კიუნენენი შედის ყველაზე საშიშ დამნაშავეთა ათეულში. მის ანგარიშზეა ოთხი მკვლელობა, რომლებიც ჩაიდინა ილინოისის, მინესოტისა და ნიუ-ჯერსის შტატებში. გაზეთი აგრეთვე აღნიშნავს, რომ კიუნენენის ერთ-ერთი მსხვერპლი ყოფილა მისი „მიჯნური“.

● *სურათზე: ვერსაჩე და მისი სავარაუდო მკვლელი.*

## ორი კორეის საზავო ხელშეკრულების ჩასაშლელად

ჩრდილოეთ კორეის არტილერიამ ცეცხლი დაუშინა სამხრეთ კორეის სასაზღვრო საგუშაგოებს, იუწყება როიტერი. სამხრეთ კორეის არმიის შტაბების უფროსთა კომიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგუშაგოს 10-ჯერ ესროლეს, და ინციდენტი დაახასიათა, როგორც „სერიოზული პროვოკაცია“. საარტილერიო სროლას წინ უძღოდა ავტომატების ცეცხლი. ინციდენტი წარმოიშვა მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ კორეის არმიის ჯარისკაცთა ჯგუფი 70-80 მეტრ სიღრმეზე შევიდა დემილიტარიზებულ ზონაში. სამხრეთკორეელმა სამხედრო მოსამსახურეებმა მოახდინეს გამაფრთხილებელი გასროლა ჰაერში, რასაც მოჰყვა ავტომატებისა და არტილერიის ცეცხლის დაშენა ორი სასაზღვრო საგუშაგოსათვის. ექსპერტები ამ ინციდენტს აფასებენ როგორც ყველაზე სერიოზულს უკანასკნელ წლებში. უნდა აღინიშნოს, რომ ინციდენტი მოხდა სულ სამი კვირით ადრე საზავო ხელშეკრულების მოსამზადებლად მოლაპარაკების დაწყებამდე ორ კორეას შორის, რომლებიც ფაქტობრივად ომის მდგომარეობაში არიან 1950-53 წლების კონფლიქტის შემდეგ.

## სლოვაკეთი: დემოკრატია რომ ყოფილიყო, ასე კარგად კი არ იცხოვრებდნენ!

„შვეიცერ აბენდბლატი“ აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება სლოვაკეთის როლს ევროპის ინტეგრაციულ პროცესებში. გაზეთის აზრით, სლოვაკეთი დანარჩენი ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით, რომლებიც ინტეგრაციას ესწრაფვიან, იზოლაციას ამჯობინებს. ამასთან, აღნიშნავს გაზეთი, ქვეყნის ეკონომიკა საკმაოდ სწრაფი ტემპით ვითარდება. გაზეთს ამ მოვლენის მიზეზად მიაჩნია ის, რომ ქვეყნის ხელისუფალნი ფრიად შორს არიან ნამდვილი დემოკრატიისაგან, ხოლო მმართველობის მეთოდები ნაკლებად განსხვავდება კომუნისტთა ავტორიტარული მეთოდებისაგან.

## ტელეფონი — სიცრუის დეტექტორი

**ინგლისის ერთ-ერთ ფირმას განზრახული აქვს უახლოეს ხანს გასაყიდად გამოუშვას ისეთი ტელეფონების პირველი პარტია, რომლებიც თვითონ განსაზღვრავენ, რომელია მისი მფლობელის მიერ მიღებულ ინფორმაციაში სიმართლე, და რომელი — ტყუილი. დპა სააგენტოს ინფორმაციით, ახალი ტელეფონის მუშაობას საფუძვლად დაედო იგივე პრინციპი, რაც — ჩვეულებრივ სიცრუის დეტექტორს. აპარატი სპეციალური სამარჯვის მეშვეობით დაიჭერს მოლაპარაკის ინტონაციას და ბგერების განსაკუთრებული ელფერის მიხედვით გააფრთხილებს თავის მფლობელს, რომ ამ კონკრეტულ მომენტში აშკარა ტყუილი უთხრეს. სააგენტო აგრეთვე იუწყება, რომ ახალი ტელეფონის სავარაუდო ღირებულება შეადგენს დაახლოებით რვა ათას გერმანულ მარკას.**

## თუ ძალიან გინდა, შენს ქვეყანაში იომე!

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობამ მოამზადა კანონპროექტი, რომელიც კრძალავს „დაქირავებული სამხედრო მოსამსახურეებით ვაჭრობას“, იუწყება „დეილი ტელეგრაფი“. კანონპროექტის შესაბამისად, რომელსაც პარლამენტი განიხილავს, თუ ქვეყნის მოქალაქე ამხილეს, რომ იგი სხვა ქვეყნის არმიაში დაქირავებულად მსახურობს, მას ემუქრება 10 წლის პატიმრობა და 150 ათასი დოლარი ჯარიმა. დაქირავებული მეომრობა სამხრეთ აფრიკაში სარფიან ბიზნესად ითვლება. ქვეყანაში არსებობს ფირმები, რომლებიც დასპეციალებული არიან აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებისა და კომპანიებისათვის დაქირავებულთა ძალებით ეგრეთ წოდებული „სამხედრო დახმარების“ გაწევაზე. ამ ფირმების ყოველწლიური ბრუნვა 25 მილიონ გირვანქა სტერლინგად არის შეფასებული.

## რუსეთში ჩამოგდებული „ბოინგ 747“-ის დაღუპულ მგზავრთა კომპენსაცია სამხრეთ კორეას დაეკისრა

ტოკიოს საოლქო სასამართლომ სამხრეთ კორეის ავიაკომპანია „კორიან ერლაინზს“ დაავალა გადაუხადოს კომპენსაცია იაპონიის იმ მოქალაქეთა ოჯახებს, რომლებიც ავიაკომპანიის კუთვნილი „ბოინგ-747“-ის მგზავრები იყვნენ, 1983 წლის 1 სექტემბერს რომ ჩამოაგდო საბჭოთა ავიაგამანადგურებელმა. როგორც როიტერი იუწყება, კომპენსაციის ოდენობა მილიონ დოლარს აღემატება. სასამართლომ ავიაკომპანია ბრალეულად ცნო იმაში, რომ თვითმფრინავმა დაარღვია საბჭოთა საჰაერო სივრცე და ხუთი საათის განმავლობაში მიფრინავდა კამჩატკისა და სახალინის სამხედრო ობიექტების თავზე. შეგახსენებთ, რომ ტრაგედიის შედეგად დაიღუპა 269 კაცი. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილების დასასაბუთებლად აღნიშნა, რომ „ლაინერის ინერციული სანავიგაციო სისტემა არ იყო გადაყვანილი ავტომატურ რეჟიმზე, მაგრამ ეკიპაჟმა ამას ყურადღება არ მიაქცია“. გარდა ამისა, სასამართლო გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია: „ცივი ომის“ პირობებში უნდა ეფიქრათ, რომ სახალინისა და სსრ კავშირის სხვა იმ რაიონების ტერიტორიაზე გადაფრენა, სადაც დიდმნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტებია განლაგებული, დაკავშირებული იყო ლაინერის განადგურების შესაძლებლობასთან. ამიტომ, კურსისაგან ლაინერის გადახრასა და წარმოშობილ ინციდენტს შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი“.



● ნიჟნი-ნოვგოროდის ოლქის ახალმა გუბერნატორმა ივანე სკლიაროვმა გააკრიტიკა ბორის ნემცოვი იმისათვის, რომ „ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც პირველი ვიცე-პრემიერი უკავშირდება, არის მოსკოვის მერი ლუჟკოვი“. „კომერსანტ-დეილის“ აზრით, ეს მით უფრო უცნაურია, რომ სკლიაროვი არჩევნებში გავიდა, როგორც „ნემცოვის გუნდის კაცი“ და მნიშვნელოვანწილად სწორედ ძველი გუბერნატორის მხარდაჭერის წყალობით გაიმარჯვა. გარდა ამისა, უკანასკნელ მომენტში მას მშველელად მოევლინნენ პრემიერი ჩერნომირდინი და თვით ელცინი. პრეზიდენტმა კარულთილან დაურეკა მერს, პრემიერმა კი სკლიაროვს ჯერ გამოუყო 100 მილიარდი რუბლი ხელფასებისა და შემწეობის დავალიანების დასაფარავად, ხოლო შემდეგ დაუმატა კიდევ 150 მილიარდი – ატომური მრეწველობის მუშაკებისათვის.



● ლეგენდარული ერნესტო ჩე გევარას ნეშტი გადაასვენეს კუბის დედაქალაქში. იგი ბოლივიაში დაიღუპა 30 წლის წინათ და დაიკრძალა საერთო სამარეში, ივლისის დამდეგს კი მისი ნეშტი აღმოაჩინეს და ჰავანაში გაგზავნეს.

## თამბაქოს წევის კიდევ ერთი მავნე შედეგი

ამერიკული „ჩიკაგო ტრიბუნი“ სტატიას უძღვნის ნიკოტინის დამღუპველ ზემოქმედებას იმ ბავშვთა ორგანიზმზე, რომელთა მშობლები გამოუსწორებელი თამბაქოს მწეველები არიან. როგორც ამერიკის მეცნიერებმა დაამტკიცეს, ბავშვები, რომელთა დედები ორსულობის დროს დღეში ათ-ათ სიგარეტს ეწეოდნენ, მომავალში, როგორც წესი, ხდებიან საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევნი – მეტწილად მოძალადეები და ქურდები. გარდა ამისა, გაზეთის ინფორმაციით, ამერიკაში ფილტვებისა და ტვინის დაავადებებით ყოველწლიურად იხოცება მწეველ მშობელთა ექვსი ათასზე მეტი ბავშვი.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას“ და „პლანეტა–პორტეს“ მასალების მიხედვით

უძღვება არჩილ მანჯგალაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ენა, მამული, სარწმუნოება

# „ჟამი არს ძიებისაი“

ამ ბოლო წლებში თბილისის ცალკეულ სკოლებში დამოუკიდებლად შეისწავლება „რელიგიის ისტორია“, ზოგან იგი „სალვთო რჯულის“ სახელით დამკვიდრდა, ზოგიერთ სკოლაში ეს დისციპლინა მხოლოდ მაღალ კლასებში ისწავლება, სხვაგან სალექციო ხასიათს ენიჭება უპირატესობა, პედაგოგების ნაწილი მომხრეა და აუცილებლობადაც მიიჩნევს გამოკითხვა-შეფასებას, მეორე ნაწილის აზრით კი უხერხულია, შეფასდეს ცოდნა რწმენის შესახებ და ა.შ. ასე რომ, პრობლემათა მთელი სპექტრი იქმნება. ამათგან ორი ჯერ კიდევ მართალი პასუხის მოლოდინშია – რა შევასწავლოთ და როგორ მივაწოდოთ იგი მოსწავლეს? ამ მართალი პასუხის ძიებაში, უეჭველია, დიდ სამსახურს გაგვიწევს დღემდე დაგროვილი ტრადიციებისა და გამოცდილების გონივრული გამოყენება, სასწავლო პროცესიდან მიღებული ჩვევების განზოგადება, ცოცხალი მაგალითებიდან დასკვნების გამოტანა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აზრთა ცხოველმყოფელი, ჯანსაღი და დროული გაცვლა-გამოცვლა თუ გაზიარება. სწორედ ამ უკანასკნელს ვცდით ამჯერად.

ადამიანსა და ღმერთს შორის დარღვეული კავშირის აღდგენას კაცობრიობა ლამის არის იმავე დღიდან შეუდგა, როგორც კი პირველცოდვა ჩაიდინეს ადამმა და ევამ. ღვთისაკენ მიმავალ გზაზე კაცს ჭეშმარიტება ევლინება შემწედ. იერემია წინასწარმეტყველის სიტყვებს – „უფალი ჭეშმარიტი ღმერთია“ (10,10) იოანე მახარებელიც იმეორებს (3,33; 8,32), ხოლო უფალი იესო ქრისტე გვასწავლის, რომ იგი თავად არის „გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე 14,6). ჭეშმარიტების, ანუ ღმერთის შესწავლას ქართველი ერი მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმსარებლობით ახორციელებს დღემდე, ჩვენი „სულის ლონე“ (წმინდა ილია მართალი) მუდამ ამ მრწამსით ცხადდება. ღვთის მადლით, ქრისტეს რჯულთან მიახლოების მრავალსაუკუნოვანი, უმდიდრესი და ნაცადი ტრადიციები მოგვეპოვება. ღვთის მაძიებელი ჩვენი წინაპარი ეკლესია-მონასტრებში ეწაფებოდა საკუთარი სარწმუნოების საფუძვლებს. ბუნებრივ სწრაფვას სიბრძნის სიყვარულისა და შემეცნებისაკენ იგი კეთილად აზავებდა საეკლესიო კანონიკურობისადმი მორჩილებასთან. ეს გარემოება ჩვენთვის მეტად საგულისხმოა. საქართველოში მოზარდს სალვთო რჯულს ასწავლიდნენ, იქმნებოდა შესაბამისი ლიტერატურა (განმარტებითი, სამოძღვრებო, ქადაგებანი, ბიბლიური ისტორიები და სხვ.), სალვთო ისტორიას ჩვეულებრივ ახლდა დამატებანი, ლოცვანი, სწავლანი, თავად ამბავი გადმოიცემოდა ავტორის ფრთხილი ჩარევით, მართლმადიდებლური ქრისტიანობის გამჭოლი იდეის აუცილებელი გათვალისწინებით. ჟამიდან ჟამამდე გრძელდებოდა და მტკიცდებოდა ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული ტრადიციები, მჟღავნდებოდა ერთგულება და ვითარდებოდა ჯანსაღი დამოკიდებულება მისადმი. მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების საფუძვლებთან სწორედ ამ გზით ზიარყოფილი მოზარდი იყო მზად იმისათვის, რომ იგი ჩამოყალიბებულიყო სრულფასოვან ქართველად რწმენასა და საქმეში.

მიმაჩნია, რომ ქართულმა სკოლამ ეს ტრადიციები არ უნდა უგულებელყოს. სკოლის დამთავრებისათვის მოსწავლე ხეირიანად უნდა იცნობდეს მართლმადიდებლური ქრისტიანობის საფუძვლებს, არსებითად უნდა სწვდებოდეს მის მნიშვნელობასა და დანიშნულებას საქართველოს ისტორიულ თუ თანადროულ სინამდვილეში. მან უნდა გააცნობიეროს, რატომ ან რისთვის სჭირდებოდა და სჭირდება ქართველ ერს სწორედ მართლმადიდებლური ქრისტიანობა, რითია განპირობებული სრულიად საქართველოს მრევლის მიერ მისი ასე თანმიმდევრულად აღიარება, დაბოლოს – მოსწავლემ გარკვეულწილად მაინც უნდა გაიაზროს, თუ რა „თქვას და ქმნას“ მან, როგორც ქრისტიანმა. უმაღლეს სასწავლებელში მისულ ახალგაზრდობას ასევე „მოეკითხება ჟამი სიცარიელისა“, ამიტომ ესეც უეჭველად უნდა გავითვალისწინოთ.



თუმცა ქართულ ისტორიულ სინამდვილეში პარალელურად ყალიბდებოდა კიდევ ერთი, ჩემის აზრით, ფრიად სალი ტრადიცია: ქართველისათვის მუდამ შეირაცხებოდა ღირსებად სხვა სარწმუნოების კეთილგონიერული შემწყნარებლობა, პატივისცემა სხვა კონფესიებისადმი. დღესაც არ უნდა დაკარგოს სიცოცხლისუნარიანობა ამ ჰუმანურმა ტრადიციამ, ვინაიდან სხვადასხვა კონფესიის მქონე მრავალეროვან ქვეყანაში ბუნებრივად ამოიზრდება თანამოქალაქის სარწმუნოებრივი სინდისის საკითხი. ჩანს, საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ რამდენიმე ხნის წინ შემუშავებული კონცეფცია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ამ საგნის სწავლების შესახებ ამიტომაც მოიცავს მითოსისა და რელიგიების შესწავლას, გვთავაზობს სხვადასხვა საკითხების ზოგადქრისტიანული პოზიციით განხილვას. ეს უკანასკნელი მოზარდის აზროვნების წესის გამართვასა და განვითარებას უთუოდ შეეწევა. ამავე სამინისტროს ეგიდით უკვე გამოიცა სახელმძღვანელოები მოსწავლეთა და პედაგოგთათვის. (რ. თვარაძის „რელიგია და კულტურა“, III, IV და V კლ., ნ. პაპუაშვილის „რელიგიის კარიბჭე“ და სხვ.). ამ საქმეში ეს გახლავთ პირველი ცდა, რასაც ჩვეულებრივ თან ახლავს ხოლმე გარკვეული ხარვეზები თუ შეცდომები. ამ სახელმძღვანელოთა განხილვა ჩვეული პათოსით გადააქციეს ზღვარგადაცილებული კრიტიკის სარბიელად, რამაც პედაგოგთა დაბნეულობა გამოიწვია. ამიტომ, ნეგატიურის აქცენტირებასთან ერთად, დაუყოვნებლივ, საგანგებოდ უნდა გამოიკვეთოს ის პოზიტიური ნაწილი, რასაც უთუოდ შეიცავს ხსენებული ლიტერატურა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვნად მიმაჩნია „სალვთო სჯულისა“ და „რელიგიის ისტორიის“ შერწყმა-განაწილების მომენტი, რაც საგანგებოდ უნდა აღინუსხოს ხსენებულ კონცეფციაში. ამ ფონზე მკაფიოდ იჩენს თავს მტკივნეული საკითხი წმინდა მეთოდური ხასიათის ლიტერატურის უქონლობის შესახებ. ამის გამოცაა, რომ სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში ამ საგნის სწავლება „დამუხრუჭებულია“, მეტიც, იგი სტიქიურად მიედინება უმეტესწილად, რაც ყოვლად დაუშვებელია. გადაუდებელ საქმედ უნდა იქცეს ამ დარგის პედაგოგთა მომზადება. ამ მიზნით გარკვეული ნაბიჯები გადადგმულია, მაგრამ ამ დროს ყოველთვის არ არის საგრძნობი ის „ორკერძოითი“ მიდგომა, როცა უნდა „შეეზავნეს ურთიერთას“ ღვაწლი ერისა და ბერისა კეთილის მისაღებად და ჯერკვალის უარსაყოფად! ეს ის დილემა გახლავთ, საიდანაც არაერთხელ დაუღწევია თავი ქართველი ერის მოწინავე ნაწილს. ისევ ერთობას უნდა მივმართოთ – ეკლესია და სკოლა, გნებავთ, სკოლა და ეკლესია ერთმანეთს უნდა უბამდეს ფეხს, ურთმანეთოდ ფიქრიც კი ამ სასიცოცხლო საქმის დაღუპვას მოასწავებს. მე ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ მასწავლებელი სკოლაში არ უნდა იქცეს მოძღვრად, მოსწავლის ქრისტიანად მოქცევა არ არის მისი საქმე. ღვთისაკენ სავალ გზაზე მღვდელი თუ მოძღვარი ეკლესიაში მიუძღვის წინ ერს, მასწავლებელი კი სკოლაში, პირველს მრევლი ჰყავს, მეორეს – აღსაზრდელი, მოსწავლე. პირველი ქადაგებითა და საეკლესიო ცხოვრების წესის დამკვიდრებით ეწევა თავის საქმეს, ხოლო მეორე – აუცილებელი ცოდნის გადაცემით სალვთო რჯულის, ქრისტიანობისა და სხვა რელიგიებისა თუ მითოსის შესახებ.

კარგი იქნებოდა, არსებულიყო საგანგებო საკონსულტაციო საბჭო, სათანადო განათლებისა და გამოცდილების მქონე სასულიერო და საერო პირთაგან შემდგარი, სადაც პედაგოგი ნებისმიერ დროს მიიღებდა პასუხს ყველა სახის შეკითხვაზე. ჩემი ღრმა რწმენით, სასულიერო პირებმა აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა ამ საგნის ყველა სასკოლო თუ სხვა გამოცემაში, განსაკუთრებით კი მათ განმარტებით ნაწილში, რათა დაზღვეულნი ვიყოთ მოსალოდნელი უნებური დამახინჯებებისა თუ შეცდომებისაგან.

მინდა შევნიშნო, რომ აქ წარმოდგენილი მოსაზრებანი „არ ახალია, ძველია“, შესაძლოა უკვე მიმდინარეობს კიდეც მათი რეალიზება, რასაც გულწრფელად მივესალმები.

კერძო სკოლა-ლიცეუმ „გრომში“ (დირექტორი ქ-ნი ნანა ქურდიანი) უკანასკნელ სასწავლო წელს მე მომანდეს კლასები მე-3-დან მე-9-ს ჩათვლით. დასაძლევი მქონდა ე.წ. „გასარბენი“ მასალა, ვინაიდან პროგრამის თავდაპირველად შესწავლას ერთდროულად ყველა კლასში შევუდექით. კლასთა საერთო დონის, მოსწავლეთა გაცხოველებული ინტერესების გათვალისწინებით პროგრამებში გარკვეული კორექტივის შეტანა დამჭირდა. აქცენტი „სალვთო სჯულის“ საკითხებზე გადავიტანე, და ამ დროს ვიხელმძღვანელე მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოთი, წმინდა მამათა თხზულებებით, მოვიშველიე შესანიშნავი კითხვა-მიგებები, ელემენტარული განმარტებანი და სხვა. მე-8 კლასამდე უმტკივნეულოდ ჩამთავრდა ერთწლიანი „გასარბენი“ მასალის ათვისება. მე-8, მე-9 კლასებში არ ავჩქარდი, ვინაიდან 13-14 წლის ასაკიდან მძლავრობს ინტერესი ღვთის ძიებისადმი, იზრდება განზოგადებისა და შედარებით ღრმად წვდომის სურვილი. ამიტომ თანდათანობით ვაღრმავებდი კატეხიზისურ მუშაობას („მრწამსის“, „ათი მცნების“, „მამაო ჩვენოს“ ბიბლიური წყარო, მათი ნაწილობრივი განმარტებანი და სხვ.), მასალა იხვეწებოდა ტერმინოლოგიურად, საშუალება გვეძლეოდა ფართო და უხვი პარალელების მოხმობისა მხატვრული ლიტერატურიდან, ისტორიიდან და სხვ.

გაკვეთილი საუბრის ხასიათსაც იღებს ხოლმე, მოსწავლეები დიდი გულისყურით ეკიდებიან კამათს, დავასა თუ თანხმიერ შეხედულებათა გაზიარებას. ისინი თვითონვე ითხოვენ ჩანაწერს უკვე ნათელმოსილი საკითხის გამო. ამგვარი ჩანაწერები ლიტერატურის უქონლობით გამოწვეულ ხარვეზსაც ავსებს და თან მასალის განმტკიცებასაც უწყობს ხელს. დაბალ კლასებშიც მივმართავ ჩანაწერს; ზეპირად ცოდნის გარდა, ლექსიკურ განმარტებებსა და მცირე ლოცვებს წერილობითაც ვითხოვ.

საგანგებო გამოკითხვა 2-3 გაკვეთილის გამოტოვებით მიხდება, ყოველ გაკვეთილზე კი – განვლილი მასალის კითხვა-მიგებითი გამოკითხვა. მიმაჩნია, რომ ნიშნით შეფასება ამ საგანში გამართლებული არ არის. იგი ხელს შეუშლის ყველაზე მნიშვნელოვანს: ჭეშმარიტ ქრისტიანულ დამოკიდებულებას რწმენის საგნისადმი – ღმერთისადმი. ნდობა უფლისადმი მოსწავლეს ცოდნის მიღებასთან ერთად უნდა გაუჩნდეს ნებაყოფლობით, ბუნებრივად, ყოველგვარი „სტიმულატორის“ გარეშე. მართალია, მიზანი ცოდნის მიღებაა, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში არსებული ქრისტიანული ზნეობის მწვავე დეფიციტი გვაკეთებინებს ამ არჩევანს. არ უნდა დავუშვათ, რომ ღვთის შეცნობის წყურვილი თავის გამოჩენის სურვილმა დათრგუნოს.

მე-8 კლასამდე ვეცნობით ბიბლიის ტექსტის ადაპტირებულ ვარიანტს. იაკობ გოგებაშვილის „საღმრთო ისტორია“ ამ მხრივ ფასდაუდებელია. 4 წლის განმავლობაში (IX-XI კლ.) ბიბლიის ძირითადი ნაწილი „შეწოვილი“ უნდა ჰქონდეს მოსწავლეს, „თვალით წაკითხვას“ შეენაცვლოს „გონებითი აღქმა“, ძველსა და ახალ აღთქმას შორის კავშირის სათანადო გააზრებისათვის. IX კლასში იკითხება ნაწყვეტები ძველქართული (პირველთარგმნილი) ბიბლიიდან, ძველქართული ლიტერატურული ძეგლების შესწავლის შესაბამისად. მოსწავლეებს განსაკუთრებით სიამოვნებთ ეს პროცესი და უმუშავდებათ ერთგვარი დარბაისლური დამოკიდებულება სალვთო წერილისადმი, დიდებული ქართველი მწიგნობრის ნალვაწისადმი. ვფიქრობ, X-XI კლასებში მომრავლდება სალექციო ხასიათის გაკვეთილები. ამავე კლასებში შემოდის სხვა რელიგიათა და მითოსის სწავლებაც.

და ბოლოს, მე, როგორც რელიგიის ისტორიის მასწავლებელს, მაქვს მკაფიოდ გამოხატული მიზანი: მოვამზადო მოსწავლე იმისათვის, რათა მან სრულყოფილად და სრულფასოვნად შეძლოს წაკითხვა თუ შესწავლა თითოეული სტრიქონისა, რომელსაც ის ნებისმიერი სახის ლიტერატურიდან ამოიკითხავს. ეს ვერ განხორციელდება, თუკი ჩვენი მოსწავლე არ აღიჭურვა რელიგიურ-სარწმუნოებრივი ცოდნით, არ გამოიმუშავა ბიბლიის წაკითხვის მართალი ჩვევები, არ მოიძია ბიბლიური პარალელები და, თან ზღვარი არ დადო მხატვრულ ნაწარმოებსა და სალვთო წერილს შორის, ერთიანად არ გაიაზრა ქრისტიანული და ეროვნული, ვითარცა „შეურევნელად“ არსებული სული და ხორცი ყოველივე ქართულისა.

**მედეა ღლონტი,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის კერძო სკოლა-ლიცეუმ „გრომ“ რელიგიის ისტორიის მასწავლებელი.

---

„გეპეელები“

# ყველაფერი ალმშენებლობით იწყება

*ბატონ ბიძინას კიდევ ერთი ტრადიციული კითხვით მივმართეთ:*

— დღეს, როცა დიდი დრო გავიდა თქვენი სტუდენტობიდან, თუ გახსოვთ, „გეპეი“ და რა გაკავშირებთ მასთან?

— სტუდენტობას და ჩემს „გეპეის“ რა დამავიწყებს! პიროვნებად იქ ჩამოვყალიბდი. იქ დღესაც ბევრი მეგობარი და მასწავლებელი მყავს, რომელთა რჩევები და კონსულტაციები ბევრ რამეში მეხმარება.

ამას გარდა, როგორც ცოტა ხნის წინ შევიტყვე, იქმნება „გეპეის“ კურსდამთავრებულთა ასოციაცია. მისი მიზანი ჩვენი უნივერსიტეტის აწმყოსა და მომავალზე ზრუნვაა. მინდა ამ ასოციაციაში გავწევრიანდე და აქედანაც „მოვეფერო“ ჩემს მშობლიურ უმაღლეს სასწავლებელს.

ბატონ ბიძინას ისე ვერ დავშორდით, რომ ერთი სიტყვა მაინც არ გვეთქმევინებინა ჩვენს გაზეთზე.

— თქვენს გაზეთს ვკითხულობ და დიდი სიამოვნებითაც. „ალმშენებელს“ ათეულობით წლების ისტორია აქვს. მიხარია, რომ მას დღეს მთელი საქართველო კითხულობს, რადგან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკასთან“ ერთად გამოდის. ფართო ასპარეზი გაქვთ. მინდა წარმატებები გისურვოთ. გისურვოთ კიდევ ის, რომ გახსოვდეთ ჟურნალისტის პასუხისმგებლობა და ტვირთის სიმძიმე, ისიც, რომ „გეპეის“ გაზეთ „ალმშენებლის“ კორესპონდენტი ბრძანდებით და რომ ყოველი საქმე სწორედ ალმშენებლობით იწყება.

ესაუბრა
**თეა მელანაშვილი.**

დასასრული.
დასაწყისი იხ. მეშვიდე გვ.

## სიახლე

**ტექნიკური უნივერსიტეტის რადიო „უნივერსის“ ამუშავება დიდი ხანია განსახორციელებელია. სულ ახლახან გაზეთ „რეზონანსთან“ კონკურსში ულტრამოკლე ტალღის 103, 9 მეგაჰერცი სიხშირის მფლობელი გავხდით. რადიო-ცენტრის ტექნიკური უზრუნველყოფა — კავშირგაბმულობის, ხოლო შემოქმედებითი — ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტს დაევალა. სწორედ ამ საკითხის ირგვლივ ვესაუბრეთ ჰტფ-ს დეკანს, ამ საქმის ერთ-ერთ სულისჩამდგმელსა და ინიციატორს, პროფესორ ალეკო ცინცაძეს.**

# რადიო „უნივერსი – 103“

**— ბატონო ალეკო, კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერის მონაწილეთა შორის გამარჯვება ტექნიკურ უნივერსიტეტს ხვდა წილად, რამ განაპირობა ეს წარმატება, მოკლედ გვიამბეთ ახალი საინფორმაციო ცენტრის დაარსების ისტორიაზე.**

– რადიო „უნივერსი“, პირველ ყოვლისა, სტუდენტური საინფორმაციო ცენტრი იქნება, რომელიც ტექნიკური უნივერსიტეტის გაზეთ „ალმშენებელთან“ კომპლექსში, ახალგაზრდული პრობლემების გაშუქების, სწორი ტექნიკური აზრის საზოგადოებისათვის მიწოდების საშუალებას შექმნის. დაუმატეთ, საზღვარგარეთ უკვე გავრცელებული დაუსწრებელი სწავლებისათვის დისტანციური სწავლების პროგრამა (რომლის უმნიშვნელოვანესი რგოლი ამგვარი საინფორმაციო ცენტრი შეიძლება გახდეს), რომელიც სტუდენტთა მიმოსვლის გაძნელების გამო სულ უფრო აქტუალური ხდება. ყოველივე ამას ითვალისწინებდა ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი საინფორმაციო ცენტრის პროექტზე მუშაობის დაწყებისას.

პირველ ეტაპზე არსებითად შეიცვალა გაზეთი „ალმშენებელი“ (კიდევ დიდია რეზერვი გაზეთის ოპერატიულობის, გამოცემის ხარისხის თვალსაზრისით). მეორე ეტაპზე – ჰუმანიტარულ-ტექნიკურისა და კავშირგაბმულობის ფაკულტეტების ბაზაზე შეიქმნა რადიო-ცენტრი „უნივერსი“. სწორედ ამის შემდეგ აღმოვჩნდით კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერის მონაწილეთა შორის.

ჩვენი მთავარი პრეტენდენტი გაზეთი „რეზონანსი“ გახდა – მძიმე ბრძოლის მიუხედავად, ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატის გულისხმიერებითა და მხარში ამოდგომით, კონკურსში გავიმარჯვეთ. რადგან ტენდერის პირობები პროექტის ტექნიკურ მხარეს ითვალისწინებდა, ცხადია, წარმატებაში ლომის წილი კავშირგაბმულობის ფაკულტეტის თანამშრომლებმა შეიტანეს.

**— ახლა, როცა უკან მოიტოვეთ რადიოს შექმნისათვის ბრძოლის რთული გზა და წინ პასუხსაგები მისიის წარმატებით აღსრულება გელოდებათ, როდის და როგორ აპირებთ რადიოარხის ამუშავებას, ვინ გაუწევს მას შემოქმედებით კონტროლს, გყავთ თუ არა რაზმი, რომელიც შეძლებს მის მართვას?**

– ვვარაუდობთ, რომ „უნივერსი“ ეთერში ტექნიკური უნივერსიტეტის 75 წლისთავისათვის, ოქტომბერში გავა. საინფორმაციო ცენტრის შექმნა კიდევ ერთ, ყველაზე რთულ ეტაპს – ტელეკომპანიის შექმნას მოიცავს. ჩვენ მხოლოდ ახლა ვიწყებთ ამ მიმართულებით მუშაობას.

სტუ ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც კავშირგაბმულობის ტექნიკურ პერსონალს ამზადებს, ჰუმანიტარულ-ტექნიკურში ტელე-რადიოს შემოქმედებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ოთხი სპეციალობა გვაქვს. ის მოდელი, რომელიც გაზეთ „ალმშენებელში“ მოქმედებს, აქაც განმეორდება, გაზეთის ხელმძღვანელობა თანამშრომლებია; ხოლო საკორესპონდენტო კორპუსი მთლიანად სტუდენტებითაა დაკომპლექტებული. ახალგაზრდობას ახალი იდეები და შეხედულებები მოაქვს. თანაც სტუდენტები სწავლასთან ერთად მდიდარ პრაქტიკულ გამოცდილებასაც იძენენ. ვფიქრობთ, ეს ყველაზე სწორი გზაა და ყველაზე ძლიერი შემოქმედებითი რაზმიც.

**— რას იტყვით რადიოს თანამედროვე ტექნიკური აპარატით უზრუნველყოფაზე. ვის დაევალა მისი აღჭურვა და საერთოდ ვინ წარმართავს ფინანსურ სექტორს?**

– რადიოს ტექნიკური აღჭურვილობისათვის ერთ-ერთ იტალიურ ფირმასთანაა დადებული ხელშეკრულება. ფინანსური პრობლემების სრულად გადასაწყვეტად, ალბათ, კერძო სექტორთან ვითანამშრომლებთ. ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტიც ფასიანი სწავლების შემოსავლიდან თავის წვლილს შეიტანს, ასე რომ, რადიო „უნივერსი“ თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი რადიო იქნება და მალე მისწვდება სრულიად საქართველოს.

**— დღეს ბევრი მსჯელობს იმის შესახებ, თუ რამდენად ეროვნული და აკადემიურია ქართული რადიოარხები. თქვენ რას იტყვით ამის თაობაზე. როგორ გესახებათ ამ მხრივ ტექნიკური უნივერსიტეტის რადიოს მუშაობა მომავალში, რა თავისებურებებით დაახასიათებთ მას?**

– ულტრამოკლე სიხშირეზე უკვე რამდენიმე რადიოგადაცემაა და, ფაქტობრივად, არ იქმნება აუდიოპროდუქცია. მათი „შემოქმედების“ უმთავრესი ნაწილი უცხოურ „კასეტებსა“ და არაქართული ინტონაციებით „შემკულ“ საინფორმაციო გადაცემებზეა დაფუძნებული.

საყოველთაოდ ცნობილია პოლიტექნიკოსთა შემოქმედებითი ტრადიციები. დღეს, ამ საქმეს ტექნიკური უნივერსიტეტის რამდენიმე საკლუბო დაწესებულება ემსახურება, განშტოებული შემოქმედებითი კოლექტივების და ინდივიდუალური შემსრულებლის ქსელით. ვფიქრობთ, არსებობს ამ ბაზაზე შემოქმედებითი აუდიოინდუსტრიის ჩამოყალიბების შესაძლებლობა. ვინც დააკვირდება ჩვენში რადიო და ტელეკომპანიების გადაცემებს, აღმოაჩენს, რომ შემოქმედებითი ძალების დიდი ნაწილი ძველი „ეპეელია“. შევეცდებით რადიო „უნივერსში“ მათ თანამშრომლობას. რაც, ვფიქრობთ, მნიშვნელოვნად გაზრდის შემოქმედებით შესაძლებლობებს.

მოვიწვევთ სტუ-ს ფილიალების, თბილისის უმაღლესი სასწავლებლების შემოქმედებით ძალებს. ერთი სიტყვით, თანამშრომლობისათვის კარი ღია იქნება!

– „რადიო-103“ „პოლიტექნიკოსთა“ კარგი ტრადიციების გამგრძელებელი, თვითმყოფადი, საინტერესო რადიო იქნება, რომელსაც ინტერესით მოუსმენს საქართველოს მოსახლეობა, განსაკუთრებით – ახალგაზრდობა.

## იუბილარი

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მასალათა გამძლეობისა და დრეკადობის თეორიის კათედრის გამგეს, საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრს, პროფესორ დემურ დანელიას საზოგადოების წინაშე წარდგენა არ სჭირდება. მკითხველს ბატონი დემურის ლუდის უზომო სიყვარულიც კარგად მოეხსენება. თბილისში ხომ ლეგენდად დადიოდა, თუ როგორ გახდა გერმანიაში ერთი ქართველი რეკორდსმენი ლუდის სმაში. ეს ქართველი სწორედ დემურ დანელია გახლდათ. დღეს ბატონი დემური 60 წლისაა.**



# ჭიქით ხელში იური ანდროპოვთან

ღვაწლმოსილი მეცნიერი, ულალატო, კეთილსინდისიერი კოლეგა, მასალათა გამძლეობაში, დრეკადობისა და პლასტიკურობის თეორიაში რამდენიმე სახელმძღვანელოსა და დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორი, აღიარებული სპეციალისტი და პედაგოგი, თბილისის კოლორიტული პიროვნება, სიტყვაუხვი, მხიარული თამადა და, რაც მთავარია, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული კაცია. ძნელია ერთ პუბლიკაციაში ამოწურო ბატონი დემურის პიროვნებისათვის დამახასიათებელი ყველა მეტყველი შტრიხი, ამისათვის მის წარსულში ჩახედვაც აუცილებელია.

...ექიმობაზე მეოცნებე ახალგაზრდა დემურ დანელია სრულიად შემთხვევით პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოხვდა, მას შემდეგ, რაც სამედიცინო ინსტიტუტში მიღებაზე უარი უთხრეს, როგორც რეპრესირებული ოჯახის შვილს, მეგობრის – მერაბ ყურაშვილის რჩევით, მასთან ერთად გამოცდები „გეპეიში“ ჩააბარა და 1959 წელს იგი უკვე მშენებელი-ჰიდროტექნიკოსი გახდა.

ლუდი რომ ვახსენე, ბატონ დემურს არ გაჰკვირვებია, მხოლოდ გადაიხარხარა.

– პირველად თოთხმეტი წლისამ გავუგე გემო... რაღაც ძალიან ძვირფასი მეგონა, ვიდრე ბიძა, ცნობილი ექიმი შალვა ფარცხალაძე არ დაბრუნდა ემიგრაციიდან. მახსოვს ლუდზე თავად უზომოდ შეყვარებულმა ყოფილ „პლეხანოვის პროსპექტზე“ გამიყვანა, ჩემთვის ხუთკაპიკიანი „ოსური ლუდი“ ჩამოასხმევინა. სიმართლე გითხრათ არ მომეწონა, მაგრამ მეორე დღეს მაინც მომინდა. უკვე თავად ვთხოვე წავსულიყავით. ასე დაიწყო ჩემი „კარიერა“ ლუდის სმაში, რამაც წლების შემდეგ შუაგულ ევროპაში, ლუდის მოზრდილი ბარის ფოტო-რეკლამასთან და... იური ანდროპოვთან მიმიყვანა.

„მე წყეულ კაპიტალისტებს ვაჩვენე, რომ საბჭოთა ხალხსაც შეუძლია მაგარი სმა, ოღონდ არ კადრულობენ“ – ასე განუცხადა დემურ დანელიამ მაშინდელი საბჭოთა კავშირის სუკის ხელმძღვანელს, იური ანდროპოვს. მანამდე კი...

1970 წელს ბატონი დემური მივლინებით მიუნხენში გაემგზავრა. ერთი ცნობილი ბარის „ამერიკანოს“ შესასვლელთან პროფესორს ამერიკელი ძალოსნის პაულ ანდერსონის დიდი სურათი მოხვდა თვალში, რომელსაც ლუდის სმის რეკორდი დაემყარებინა (8 ლიტრი დაელია ერთბაშად) და სურათზე გამოხატული, უზარმაზარი კათხით ხელში ყველას ყურადღებას იქცევდა.

პირველად სწორედ მაშინ გამიჩნდა სურვილი რეკორდის მოხსნისა, მაგრამ საჭირო პირობები და თანხა არ მქონდა, თუმცა ის ქართველი რა ქართველია, ვინც განზრახვას არ შეისრულებს... – იგონებს ბატონი დემური.

და ზუსტად 4 წლის შემდეგ, როცა გერმანიაში მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატი დაიწყო, დემურ დანელია ტურისტულ ჯგუფთან ერთად ისევ მიუნხენში მოხვდა. სასტუმროში მასთან ერთად ცნობილი ქართველი ფეხბურთელი მიხეილ მესხი ცხოვრობდა. მან ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ დაიყოლია მეგობარი ლუდის სმის კონკურსზე, ამისათვის 1000 მარკა იყო საჭირო, თუმცა ეს პრობლემაც მიუნხენში მცხოვრები დემურ დანელიას ახლო ნათესავების, ცნობილი მეცნიერების – ივანე და ალექსანდრე ნიკურაძეების დახმარებით მოგვარდა, რომლებმაც ამ ამბის შეტყობინებისთანავე, საჭირო თანხა გადასცეს ჩემპიონობის მაძიებელს.

შეჯიბრების პირობის თანახმად, ყველა მსურველმა წინასწარ შეიტანა ათასი მარკა, რომელიც, გამარჯვების შემთხვევაში ერთი-ორად უბრუნდებოდათ.

მარილიანი კერძებით გაწამებული და რეკორდსმენობაზე მეოცნებე დემურ დანელია კათხას კათხაზე სცლიდა-ცოტაც და ძველი რეკორდიც უკან მოიტოვა, გაოცებული და შეფიქრიანებული ბარის მეპატრონე კი ემუდარებოდა გაჩერებულიყო, რადგან ახალი რეკორდის დამყარების მსურველთა რიცხვი გაქრებოდა, თანაც შეჯიბრების დაწყებიდან მხოლოდ 20 წუთი იყო გასული. არ შეეძლო უარი ეთქვა ბარის მეპატრონის ხვეწნასა და მეგობრების რჩევაზე, თუმცა... მოგებული თანხიდან ნაწილი კაბარეს მოცეკვავეებს აჩუქა, 1000 მარკა ძმებ ნიკურაძეებს დაუბრუნა, დარჩენილი ფულით მეძენილი 9 ცალი სტერეომაგნიტოფონი მეგობრებს უსახსოვრა.

რუსეთში ჩაფრენისას თვითმფრინავის დაშვებისთანავე იგი უშიშროების ორგანოს თანამშრომლებმა პირდაპირ სუკის ხელმძღვანელთან, იური ანდროპოვთან მიიყვანეს, თუმცა არც ბატონი დემური დაბნეულა და ანდროპოვის მკაცრ შეკითხვას ზემოთ ხსენებული ღიმილშომგვრელი პასუხი მიაგება, რაზეც ორივე გულიანად ხარხარებდა. შემდეგ იური ანდროპოვმა მაგიდა-რობოტი გამოიძახა და სუკის „მამამ“ და დემურ დანელიამ ლუდით სავსე კათხებიც კი მიუჭახუნეს ერთმანეთს.

თბილისში, ახლა უკვე საქართველოს უშიშროების კომიტეტის უფროსმა ალ. ინაურმა დაიბარა. ეს „ხუმრობა“ მაინც მშვიდობიანად დამთავრდა. თითქმის ოცი წელიწადი გავიდა მიუნხენში მომხდარი ისტორიის შემდეგ, ფოტოდან კი კვლავ დემურ დანელიას ღიმილიანი სახე გვიმზერს და ყველა შემხედვარეს აცნობს ქართველ რეკორდსმენს.

– 60 წელიწადი არც თუ ისე ბევრია, მხოლოდ საკითხავია, როგორ გალევ მას. ცხოვრებაც სუფრაა: ვის თამადობა ერგება, ვის მჟავე ღვინო და ვის კიდევ... ცარიელი ჭიქა. სუფრა კი ჩემთვის სიკეთის, სიყვარულისა და ნათელი ურთიერთობების სიმბოლოა. სუფრაზე დაძმობილებული კაცი რომ გიღალატებს, ის კაცი მოსაკლავია. მაგრამ მხოლოდ ულაზათო, ლუარსაბივით ჭამა-სმა არაფერს გვარგებს. ერთობა, სიმხნევე, სიყვარული და საქმე გვჭირდება, ყველას – თავისი საქმე. მუშაობისას მუშაობა უნდა იცოდეთ და ლხინში – ქეიფი. ჭიქით ხელშიც სამშობლოს უნდა ვემსახუროთ! ვემსახუროთ ისე, რომ წუთისოფლის დასასრულს უკან მოხედვა არ შეგვეზაროს... – გვიმოძღვრავს ბატონი დემური და ალბათ სწორედ თავისი ჩავლილი, ხშირად საკმაოდ რთული და ტრაგიკული წლების გამოცდილებით გვესაუბრება.

ჩვენ კი... 60 საინტერესო წელიწადის მესაყართან, ბედნიერებას, ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას, სიკეთესა და სიყვარულს ვუსურვებთ ბატონ დემურს.

ფურცლის ავტორი
**ეკა სეხნიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს დიდი რაოდენობის დიპლომიანი ინჟინრები კი არა, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები სჭირდება

ბოლო დროს ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ, უარყოფითად იმოქმედა მსუბუქი მრეწველობის დარგზეც, რის შედეგადაც შეიქმნა მისი განვითარების შეჩერების რეალური საშიშროება. ეს მაშინ, როდესაც იგი მრეწველობის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა და რესპუბლიკის მთლიანი პროდუქციისა და დასაქმებული პერსონალის მაღალი პროცენტით განისაზღვრებოდა. დღეს კი დარგი კრიზისს განცდის ნედლეულის წარმოების შემცირებისა და შემოტანის შეწყვეტის, ელექტროენერგიის უკმარისობის, გასაღების ბაზრების დაკარგვისა თუ სხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო.

მაშასადამე, დარგის კრიზისიდან გამოყვანასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაწყვეტად, მსუბუქი მრეწველობის სპეციალისტთა შეხვედრამ რესპუბლიკის პრეზიდენტთან, მიზანშეწონილად ჩათვალა: უპირატესად განვითარდეს მეაბრეშუმეობის, მატყლისა და ტყავნედლეულის, შალის, ტრიკოტაჟისა და ქიმიური ბოჭკოს წარმოება. ამასთანავე, დარგის აღორძინებისა და განვითარების უცილობელ პირობად მიჩნეულია თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე სპეციალისტების მომზადება, რაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს, რადგან მას შესწევს უნარი რესპუბლიკას მოუმზადოს არა დიდი რაოდენობის დიპლომიანი ინჟინრები, არამედ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები. მით უმეტეს, რომ ეს მსოფლიოში ცნობილი უმაღლესი სასწავლებელი წლების განმავლობაში წარმატებით წყვეტდა ამ რთულ ამოცანას. მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის პროფესორმასწავლებლები ქვეყანას უზრდიდნენ ჩინებულ სპეციალისტებს, რომლებიც დღესაც წარმატებით მოღვაწეობენ სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებში. სამწუხაროდ, ორი ათეული წლის წინ, გაუგებარი მიზეზების გამო ფაკულტეტი დაიხურა, თანამშრომლები კი სხვადასხვა კათედრებს შეეკედლნენ და ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს მაინც არ ჩამოსცილდნენ.

ოთხი წლის წინათ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კვლავ დაიწყო მიღება მსუბუქი მრეწველობის სპეციალობების განხრით. შეიქმნა კათედრა, რომელსაც ამჟამად ამ საქმის დიდი ენთუზიასტი ქალბატონი ლია ღუმეტრაძე ხელმძღვანელობს. მან კათედრაზე დარგის ცნობილი სპეციალისტები მოიწვია... დოცენტები ლ. კაპანაძე, დ. რევიშვილი, ლ. დევიძე, ნ. კიკნაძე, ქ. ხვიჩია და სხვები. ახლახან მათ რიცხვს შეემატა საფეიქრო მრეწველობის აღიარებული სპეციალისტი, პროფესორი გივი ჯოხარიძე. ეს „გუნდი" წარმატებით მუშაობს მსუბუქი მრეწველობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისათვის, მაგისტრატურის, ასპირანტურისა და შესაბამისად, სამეცნიერო ხარისხის მომნიჭებელი საბჭოს შესაქმნელად. მათ მიზნად დაისახეს, ქვეყანას აღუზარდონ განსწავლული პროფესიონალები: ტყავის ნაკეთობათა მოდელირებისა და ტექნოლოგიის, სამკერვალო ნაწარმის მოდელირებისა და ტექნოლოგიის, საფეიქრო ნაწარმთა მოდელირებისა და ტექნოლოგიის სპეციალობებში. მიზნის მიღწევას უდავოდ ხელს უწყობს სტუ-ს მატერიალურ ტექნიკური ბაზა – თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ ზოგადსაინჟინრო საგნებში ლაბორატორიების თანამედროვე ტექნიკით დაკომპლექტებას დიდი ხნის ისტორია აქვს, მსუბუქი მრეწველობის კათედრის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ მათ უმოკლეს ვადაში შეძლეს შეექმნათ უახლესი ტიპის სასწავლო ბაზა, სადაც საბიუჯეტო და სამეურნეო ფორმით დაკომპლექტებული ჯგუფების სტუდენტები თეორიულ ცოდნას პრაქტიკული მეცადინეობებით იღრმავებენ.

დღეს, როდესაც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიმდინარეობს სტრუქტურული გარდაქმნის პროცესი, მიზანშეწონილად ვთვლით, ყურადღება გავამახვილოთ ზემოჩამოთვლილ მომავლის სპეციალობებზე, რომლებიც ყოველთვის მაღალი კონკურსის შედეგად დაკომპლექტდება. სპეციალობათა მესვეურები კი ძალასა და ენერგიას არ დაზოგავენ, რათა მუდმივად სრულყოფდნენ დარგისათვის საჭირო სპეციალობებისა და სპეციალიზაციების ნუსხას; აწარმოონ სპეციალისტების მომზადების სასწავლო გეგმების კორექტირება დარგში სიახლეების გათვალისწინებით; დასახონ მეთოდური უზრუნველყოფის რეალური პერსპექტივები და წარმატებით გაუძღვნენ სასწავლო პროცესს აკადემიურ ჯგუფებში. ეს კი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მსუბუქი მრეწველობის მაღალი ხარისხის სპეციალისტების მომზადების სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მძლავრი კერის შექმნის წინაპირობად გვესახება.

**ჯუმბერ უფლისაშვილი**
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

## მეგობრის ხსოვნას

### სოსო ქლენტი



ჩვენს რიგებს გამოაკლდა კიდევ ერთი დიდებული მოქალაქე, ღირსეული მამულიშვილი, მაღალკვალიფიციური საზოგადოებათმცოდნე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სოსო ქლენტი.

სოსო ქლენტი თითქმის 40 წელიწადი კეთილსინდისიერად და თავდადებით ემსახურებოდა ახალგაზრდა თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. იგი იყო 40-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა და ორი მონოგრაფიის ავტორი.

დახვეწილი გემოვნების, ჭეშმარიტი ინტელიგენტი, კაცთმოყვარე ბრძანდებოდა ბატონი სოსო და ასეთად დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

სტუ-ს რექტორატი.

## ხსოვნა



### არჩილ კონიაშვილი

გარდაიცვალა სატრანსპორტო მშენებლობისა და უმაღლესი სკოლის ღვაწლმოსილი მუშაკი, ჩინებული მოქალაქე და მეცნიერი, პროფესორი არჩილ კონიაშვილი.

პროფ. ა. კონიაშვილი 1945 წლიდან გარდაცვალებამდე ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, არის სახელმძღვანელოსა და მრავალი სასწავლო-მეთოდური ნაშრომის ავტორი.

ა. კონიაშვილი 1977-1983 წწ. იყო სატრანსპორტო ფაკულტეტის დეკანი, 1983-1989 წწ. ხელმძღვანელობდა რკინიგზის მშენებლობისა და სალიანდაგო მეურნეობის კათედრას.

ა. კონიაშვილი გამოირჩეოდა თავმდაბლობით, პროფესიონალიზმით, დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით.

პროფესორ ა. კონიაშვილის ხსოვნა მარად დარჩება მისი აღზრდილებისა და კოლეგების გულში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო ფაკულტეტი.
რკინიგზების მშენებლობისა და სალიანდაგო მეურნეობის კათედრა.

## ეს საინტერესოა

# იცხოვრებენ იაპონელები ცაში XXI საუკუნეში?

ადამიანის ოცნება ჭეშმარიტად უსაზღვროა, მაგრამ თუ ქართულ გამოთქმას ვერწმუნებით, ოცნების სტიქიონი მაინც ვერტიკალს მიუყვება, რადგან მეოცნებე ადამიანზე იტყვიან „ ოცნების კოშკები ააგოო". XX-ე საუკუნე რომ რაციონალიზმისა და გონის საუკუნეა, ბევრს უთქვამს და მრავალჯერაც, მაგრამ ეტყობა არც XXI-ე საუკუნე იქნება ამ მხრივ ნაკლები. უფრო მეტიც, ჩანს, თვით ოცნების სფეროდანაც ბევრი რამ რეალობაში ჩაინაცვლებს და უპირველესად სწორედ „ოცნების კოშკის" სინამდვილედ ქცევას შეეცდება.

თუ ინგლისურ ჟურნალს ვერწმუნებით, ამაზე რეალურად ფიქრობენ იაპონელი არქიტექტორები. ისინი მზად არიან ააგონ ორი კილომეტრის სიმაღლის, 500-სართულიანი აეროპოლისი, თუ კი ასეთი გიგანტური მშენებლობის დამფინანსებელი გამოჩნდება. გასაკვირი არ არის, რომ ეს იდეა სწორედ მცირემიწიან იაპონიაში იშვა. უკვე ამ საუკუნის ბოლოსათვის მარტო ტოკიოს მოსახლეობა 15 მილიონს მიაღწევს. მოსახლეობის ზრდის თვალსაზრისით გამონაკლისი არც იაპონიის სხვა ქალაქები თუ რეგიონები იქნება. ამიტომაც იაპონელები ზეცის აქტიურ გამოყენებას ცდილობენ.

ორ კილომეტრიანი აეროპოლისის დადგმას ტოკიოს ცენტრში ვარაუდობენ. პროექტის ავტორთა აზრით, მასში 300 ათასი ადამიანი იცხოვრებს. სპეციალური ლიფტებით პირველად მეხუთასე სართულამდე მსურველი 15 წუთში ავა. აეროპოლისს ექნება კინოთეატრები, სკოლები, ფოსტა-ტელეგრაფი, სავაადმყოფოები, რესტორნები, სხვადასხვა სახის ორგანიზაცია-დაწესებულებები, საცხოვრებელი ბინები, ყოველ სართულს ექნება გამწვანება, პარკები, სადაც ბავშვები ითამაშებენ და მოზრდილები დაისვენებენ. გათვალისწინებულია მძლავრი ხანძრის საწინააღმდეგო სისტემის დამონტაჟებაც, რომელსაც რობოტები მოემსახურებიან. ერთი სიტყვით, აეროპოლისში ადამიანებს ყველაფერი ექნებათ. და რაც მთავარია, იაპონელი არქიტექტორები დარწმუნებულნი არიან, რომ ხალხს მოეწონებათ ცხოვრება ასეთ ქალაქ-კოშკში; ისიც სჯერათ, რომ შეძლებენ შენობის ასაგებად საჭირო თანხის შეგროვებას.

თუ ეს მოხდა აეროპოლისი მსოფლიოში ყველაზე ამაღლებული ქალაქი იქნება.

**ზ. კანაშვილი.**

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკურ გრანდ-ლიცეუმში

### გრძელდება საბუთების მიღება 1997-1998 სასწავლო წლისათვის

გრანდ-ლიცეუმში მიიღებიან საშუალო სკოლის მე-10-11 კლასის მოსწავლეები.

გრანდ-ლიცეუმი საშუალო განათლებასთან ერთად იძლევა იმ სპეციალურ ცოდნას, რასაც ითვალისწინებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის სპეციალობები.

გრანდ-ლიცეუმის წარჩინებული მოსწავლეები უგამოცდოდ ჩაირიცხებიან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტზე, ხოლო დანარჩენები, ასევე, უგამოცდოდ – ამავე ფაკულტეტის ფასიან სექტორზე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შესაძლებელია შემდეგი მისამართით.

თბილისი, მ. კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის VI სასწავლო კორპუსი, III სართული, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, ტ. 36-25-17. აგრეთვე: დავით აღმაშენებლის 138, II სართული, ტ. 99-33-71.



უსიტყვოდ. დოცენტ იური სტამატელის ნახატი.

## კონკურსი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს: კვებისა და სამაცივრო საწარმოთა მოწყობილობებისა და წარმოების ავტომატიზაციის კათედრის გამგის; სამშენებლო კონსტრუქციების (0,5), მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის (0,5), პიროტექნიკური ნაგებობების (0,5), ლითონთა წნევით დამუშავების (0,5) კათედრების პროფესორის; ავტომობილების მიგაწევის ძრავებისა და საწვავ-საცხები მასალების (0,5), უმაღლესი მათემატიკის № 99, სამოქალაქო და სამრეწველო შენობების არქიტექტურის, სამთო-გეოლოგიურ და ქიმიურ-მეტალურგიული წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრების დოცენტის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად.

საბუთების მეტანის ვადა 1 თვეა განცხადების გამოქვეყნებიდან. უნივერსიტეტი მიღებულს საცხოვრებელი ფართით არ უზრუნველყოფს. კონკურსში მონაწილეებმა საბუთები უნდა შეიტანონ რექტორის სახელზე.

**ნიკო ჩხაიძე,**
სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი, პროფესორი.

## აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

სიახლე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
ახალი მოთხოვნები – ახალი სპეციალობა

1997-98 სასწავლო წლისათვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას „აღრიცხვისა და აუდიტის" სპეციალობაზე.

აუდიტი გულისხმობს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შემოწმებას. მისი ძირითადი ამოცანაა საწარმოს გადახდისუნარიანობის გაუარესების, ფინანსური არასტაბილურობის მიზეზების ანალიზი. აუდიტი ხვალინდელი დღისათვის საჭირო და აუცილებელი სპეციალობაა!

დაინტერესებულ პირებს შეგიძლიათ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე. კოსტავას 77, სტუ, VI კორპ. IX სართული. ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი.

სარედაქციო კოლეგია: რევაზ სტურუა, ანზორ მაავგულიძე, ალეკო ცინცაძე, ნოდარ მუსერიძე, მალვა ნაჭყებია, რუსუდან ლორთქიფანიძე, ანა ბოლქვაძე, თემურ ჯაგოდნიშვილი (მთავარი რედაქტორი).

# სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური გვერდი

კროსი

## ჯანმრთელობის დღესასწაულზე

მძლეოსნობის მოყვარულთ დიდი ზეიმი ჰქონდათ გუშინ თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე. 120-მდე რბენის მოყვარულმა (მათ შორის 17 ქალი იყო) მოიყარა თავი აქ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის, მოსახლეობის გაჯანსაღებისა და სპორტის მასობრივი სახეობების ეროვნული ფედერაციის, მძლეოსნობის ფედერაციისა და დედაქალაქის სპორტის სამმართველოს ინიციატივით მოწყობილ პირად პირველობაზე მძლეოსნურ კროსში 1000, 2000 და 3000 მეტრზე. მორბენალი ქალები და კაცები დაყოფილნი იყვნენ ჯგუფებად. 35-39 და 40-49 წლის სპორტსმენები 3000 მეტრზე ცდიდნენ ძალებს. ქალთა შორის მარინე ვეფხვაძემ და მიმოზა კვიკვინიამ გაიმარჯვეს, მამაკაცთა შორის ფინიშთან პირველნი მიიჭრნენ ნუკრი ვალიშვილი და შალვა ნადირაძე, რომლებიც დღესაც აქტიურად ვარჯიშობენ მძლეოსნობაში. ამ დისტანციებზე ასპარეზობდნენ სოციალური ინვესტიციების ფონდის კონსულტანტი კანადელი ნუბარ გუცუზიანი და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენელი საქართველოში ამერიკელი ჯიმი ონილი. ამერიკელმა მორბენალმა მე-4 ადგილი დაიკავა.

— საქართველოში მეოთხე წელიწადია ვიმყოფები, — გვითხრა ონილმა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ. — უკვე მესამედ ვმონაწილეობ ამგვარ კროსებში. არ მიძნელდება, რადგან ყოველ დილით დავრბივარ კუს ტბაზე. სასიამოვნოა, რომ საქართველოში მომრავლდა სპორტული ღონისძიებები, განსაკუთრებით — მძლეოსნობაში. ეს შეჯიბრებები ხელს უწყობს მოსახლეობის როგორც გაჯანსაღებას, ისე ადამიანთა დაახლოებას. კუს ტბაზე სირბილმა თბილისში უამრავი მეგობარი შემძინა.

სანამ ჩვენ ვსაუბრობდით, 2000 მეტრ დისტანციაზე ასპარეზობა დაამთავრეს 50-59 წლის ქალებმა და კაცებმა. გაიმარჯვეს ცხინვალელმა შზია მაქაცარიამ და თბილისელმა ევგენი გლებოვმა. 60-69-წლიანებში ყველას აჯობეს 67 წლის თბილისელმა ოლღა მესხმა და გიორგი სტროგეცკიმ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, 70 წლისა და უფროსი ასაკის მორბენალთა პაექრობა. აქ ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველობების მრავალგზის პრიზიორმა ივანე უშაკოვმა იმარჯვა. მეორე ადგილზე გავიდა ამირან მონიავა, მესამეზე — ალექსანდრე მაისურაძე. შეჯიბრების უხუცესი მონაწილე გახლავთ 86 წლის ქუთაისელი ნიკოლოზ წერეთელი, რომელიც დღესაც რიონისპირა ქალაქის სპორტსკოლაში მძლეოსნობის მწვრთნელად მუშაობს.

— მიხარია, რომ ჯანმრთელობის დღესასწაულზე ამდენი ხალხი მოვიდა. — გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, მოსახლეობის გაჯანსაღებისა და სპორტის მასობრივი სახეობების ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ნუხა გაგოშიძემ, — განსაკუთრებით ამაღელვებელია ის ფაქტი, რომ ვეტერან მძლეოსნებში ჭაბუკური გული ცემს. მათი შემართების შემყურეს, არც მეეჭვება, რომ ჯანმრთელობის მომავალ ზეიმებზე მთელი საქართველო მოიყრის თავს.

კროსებში გამარჯვებულები და პრიზიორები ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

**ვაჟა დანელია.**



*სურათზე:* ამერიკელი ჯიმი ონილი დისტანციაზე.

ალექსანდრე კოტორაშვილის („ლელო“) ფოტო.

ტრანსფერები

## ციებ-ცხელება საფეხბურთო ბაზარზე

ევროპის საფეხბურთო ბაზარზე დიდი ციებ-ცხელებაა.

ქართველი მიხეილ ყაველაშვილი, ინგლისის „მანჩესტერ სიტიში“ სათადარიგოთა სკამთან „დამეგობრების“ შემდეგ, ბრიტანულმა კლუბმა ერთი წლით ციურიხის „გრასჰოპერსს“ ათხოვა. თბილისის „დინამოს“ ყოფილი კაპიტანი შვეიცარიაში მოთამაშე პირველი ჩვენებური იქნება.

საგრძნობლად მომძლავრდა მადრიდის „ატლეტიკოს“ თავდასხმა, რომელმაც შეიძინა ბრაზილიელი ჟუნინიო (20 მილიონ დოლარად) და იტალიელი კრისტიან ვიერი.

ცხენოსნობა

## ძალას ცდიან ჭაბუკი მხედრები

თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე გაიმართა საქართველოს ახალგაზრდა ცხენოსანთა პირადგუნდური პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტსკოლის, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის, თბილისის საცხენოსნო-სპორტული ბაზისა და ქალაქ ფოთის ჭაბუკი მხედრები.

შეჯიბრების პროგრამაში შედიოდა ცხენოსნობის კლასიკური სახეობები: ცხენოსნური ორჭიდი და დაბრკოლებათა გადალახვა. ასპარეზობის დასკვნით დღეს გათამაშდა საქართველოს თასი წინაღობათა გადალახვაში.

პირველად მხედრები ექვს დაბრკოლებიან წინაღობათა გადალახვაში გაეჯიბრნენ ერთმანეთს. საპრიზო სამეული ასე გამოიყურება: ირაკლი მარკოზაშვილი, რევაზ მიტიჩაშვილი და დავით დუნდუა. სამივე განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სპორტსკოლის მხედარია.

ძალისმიერ დაბრკოლებათა გადალახვაში ტოლი არ ჰყავდა ფოთელ მხედარს გოჩა ჯალაღონიას. მას მცირედით ჩამორჩა განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სპორტსკოლის მხედარი რონ მარგიანი.

ცხენოსნური ორჭიდის ჯამში ჩემპიონი გახდა დავით დუნდუა, მეორეზეა რევაზ მიტიჩაშვილი, მესამეზე გავიდა თბილისის საცხენოსნო-სპორტული ბაზის მხედარი მიხეილ ბაკურაძე.

საქართველოს თასის გათამაშებაში პირველობა ერგო განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სპორტსკოლის მხედარს უჩა ანდრონიკაშვილს, მეორე ადგილზე გავიდა მისივე თანაგუნდელი რონ მარგიანი, მესამეზეა ფოთელი გოჩა ჯალაღონია.

საერთო გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდათ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტსკოლის მხედრებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფოთელებმა ამ შეჯიბრებაში კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

გამარჯვებულ მხედრებს ცხენოსნობის ფედერაციისა და მოქალაქეთა კავშირის მიერ დაწესებული პრიზები გადაეცათ.

**თამაზ ქიქავა.**

*სურათზე: შეჯიბრებაში გამარჯვებული განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტსკოლის გუნდი.*

ავტორის ფოტო.



სოფლის სატკივარი

## მატარებელმა ჩაიარა, მაგრამ... ხომ ამოივლის?

ჩემი თაობის ხალხისთვისაც დამდგარა წარსულში ჩხრეკის დრო. მით უმეტეს ახლა, როცა ბევრი კარგი ტრადიცია იკარგება, ან უკვე დაიკარგა. ყველაფრის ლუხჭირი ცხოვრებისთვის გადაბრალებაც მოდაში შემოვიდა. არადა, ზოგი რამ სწორედ რომ „კარგმა ცხოვრებამაც“ დაგვავიწყა! დარწმუნებული ვარ, დღეს სოფლის ბავშვებმა თითქმის აღარ იციან ის სპორტული თამაშობები, რითაც ჩვენ ორმოცორმოცდაათიან წლებში თავსაც ვიქცევდით და სხეულსაც ვიკაჟებდით, სისწრაფესაც ვიძენდით, მოქნილობასაც და გამბედაობასაც. უფრო ჯანმრთელებიც ვიყავით, თუმცა თავზე არც საჭმელი გადაგვდიოდა და არც სასმელი.

ყოველ თამაშობას თავისი „სეზონი“ ჰქონდა: კლასობანა, სალაობა, კორაობა, ლახტაობა უფრო გაზაფხულ-შემოდგომაზე გვიყვარდა, გადასვლა-გადამეტაობა, დრომის მოტაცობანა, დამალ-დახუჭობანა — ზაფხულობით, როცა თაკარა მზე სხივებს აკრეფდა და მთებს იქით გაუჩინარდებოდა. ყოველთვის მოუთმენლად ველოდით ყველიერს, რათა საქანელაზე ქროლვით გული გვეჯერებინა...

სამოციანი წლების შემდეგ, როცა მაღაზიებში უფრო დახვეწილი და ძვირფასი ტანსაცმელ-ფეხსაცმელი გამოჩნდა, სოფლის ახალგაზრდებმაც ქალაქელებს მიბაძეს. თანდათან „მოდიდან“ გამოვიდა კორაობა, ლახტაობა, გადასვლა-გადამეტაობა, ჭიდაობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სამაგიეროდ, ახალი ეშხი შეიძინა ყველა მოზარდისათვის სათაყვანო ფეხბურთმა.

სოფელი მუკუზანი გურჯაანის რაიონში სიდიდით არასოდეს გამოირჩეოდა, მაგრამ ყოველთვის ფეხბურთელთა კარგი გუნდი ჰყავდა. ჯერ კოლმეურნეობის, მერე საბჭოთა მეურნეობის მესვეურები ფეხბურთელებს ყურადღებას არ აკლებდნენ, ფორმითაც უზრუნველყოფდნენ, საჭირო სახსრებითაც და ტრანსპორტითაც. ერთი ეგ იყო, წესიერი სტადიონი არა გვქონდა. ამ სტრიქონების ავტორმა და ფეხბურთის ტრფიალმა შოთა ხაჩიშვილმა იმდენჯერ შევაწუხეთ სპორტკომიტეტი თუ გაზეთი „ლელო“, რომ „ნავსი გატყდა“ და ორმოცდაათიანი წლების შუა ხანებში სტადიონის გამართვას საშველი დაადგა — რკინიგზის სადგურთან მანამდე მიგდებული მინდორი გაიწმინდა, მოსწორდა და გაფართოვდა. ამ საქმეს დიდი ამაგი დასდო კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ქამურაშვილმა.

ცხადია, რახან ფეხბურთელებს სტადიონი მოუწყვეს, შედეგმაც არ დააყოვნა: მუკუზნელები წარმატებით უმკლავდებოდნენ უფრო დიდი სოფლების — ველისციხის, ვაზისუბნის, ჩუმლაყის და სხვათა გუნდებს. რაიონულ პირველობას, რომელიც ყოველ წელს ეწყობოდა, როგორც წესი, ერთმანეთს მუკუზნელები და ჩუმლაყელები ეცილებოდნენ ხოლმე. მატჩებს სოფელი ისე ელოდებოდა, როგორც დღესასწაულს.

ფეხბურთელები კი, იცოცხლეთ, მართლაც კარგები გვყავდა — მალხაზ ციხისთავი, მალხაზ ხაჩიშვილი, რევაზ უზუნაშვილი, ვაჟა ბერიაშვილი, გურამ ბლუიშვილი, უზბეგ მარადიშვილი, ლადო გოგიშვილი, სხვები და სხვები. იმათ არც ოსტატობა აკლდათ და არც სპორტული ჟინი. თანაც, არ დაგავიწყდეთ, მათი უმრავლესობა მოედანზე კოლმეურნეობაში მძიმე, მომქანცველი შრომის შემდეგ გამოდიოდა, რათა სოფლის სპორტული ღირსება დაეცვა...

ყოველივე ეს წარსულს ჩაბარდა. დღეს ის სტადიონი ძროხების, ღორებისა და ბატების ასპარეზად ქცეულა. მუკუზანში თითქმის აღარ არის ორგანიზაცია, სპორტსმენებს მხარში რომ ამოუდგება. ეს პრობლემა მარტო მუკუზანს როდი აწუხებს! ან, რა გასაკვირია, როცა ქვეყნის მოწვეულ გუნდებსაც კი უჭირთ!

ხშირად თავს ვიმტვრევთ იმაზე ფიქრით, რატომ გაფერმკრთალდა ქართველ სპორტსმენთა დიდება (მხედველობაში მაქვს არა მარტო ფეხბურთი), პოზიციები რატომ დავთმეთ იქაც კი, სადაც თავს ისე ვგრძნობდით, როგორც თევზი წყალში? რაღას არ ვიმიზეზებთ, მთავარი კი „გვავიწყდება“ — სპორტმა დაკარგა ძირითადი კოზირი — მასობრიობა! ხელში მხოლოდ სურვილიღა შეგვრჩა...

რა თქმა უნდა, დღეს, როცა არც სოფელს და არც ქალაქს ფული თავზე არ გადასდის, სპორტის მასობრიობისთვის არ სცალია. არადა, ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა, რომელმაც უკვე მოგვცა ნიშანი.

ფეხბურთელთა გუნდების, ძველი სპორტული ტრადიციების აღორძინებისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აღარავინ დააბრუნებს, მაგრამ, ხომ არ დადგა დრო, რომ სხვა გამოსავალი მაინც გამოვძებნოთ?

**ელგუჯა ლეჟავა.**

ფეხბურთი

## „ბოტაფოგო“ რიოს შტატის ჩემპიონია

ბრაზილიის აბურდულ-დაბურდული ჩემპიონატის შესახებ არა ერთხელ ითქვა და დაიწერა. ეროვნული ნაკრების ჯერ საფრანგეთის ოთხთა ტურნირში თამაშის, ხოლო შემდეგ „კოპა-ამერიკა-97“-ის თასზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების გამო, დროებით შეწყდა ქვეყნის თასის გათამაშება და რიოდე-ჟანეიროს შტატის ჩემპიონატის ფინალური მატჩების სერია. როგორც ვიცით, ოქროს მედლებისათვის „ბოტაფოგოს“ და „ვასკო და გამას“ უნდა ეთამაშათ. ბრაზილიის ნაკრების სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, განახლდა რიოს ჩემპიონატის პლეი-ოფები. იმისათვის, რომ „ბოტაფოგოს“ რიოს პირველობა მოეგო, მას 2 ქულის აღებაც ესაჭიროებოდა, რადგან კლუბს ჯიბეში ედო 4 ქულა. შეგახსენებთ, რომ „ბოტამ“ გაიმარჯვა შტატის ჩემპიონატის პირველ და მეორე ეტაპებზე. ახლახან ცნობილი გახდა, რომ „ბოტაფოგოსა“ და „ვასკო და გამას“ ფინალური მატჩი ანგარიშით — 1:0 პირველმა მოიგო და იგი შტატის ჩემპიონი გახდა. ეს ერთადერთი გოლი „ვასკოს“ კარში 78-ე წუთზე დიძიმ გაიტანა. „მარაკანას“ სტადიონზე ამ დღეს უჩვეულოდ ცოტა — 16 ათასი მაყურებელი მოვიდა.

**შალვა ქირია.**

მცირეოდენი ღიმილით

◆ ერთ-ერთ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე მ. ბოტვინიკი, რომელიც ესპანელ ოსტატს ა. მედინას ეთამაშებოდა, მსაჯს მიუბრუნდა და განუცხადა: „ჩემი მოწინააღმდეგე არ მაძლევს ჩაფიქრების საშუალებას. ის გაუთავებლად რაღაცას უსტვენს“.

მსაჯმა არავითარი ზომები არ მიიღო დამრღვევის მიმართ, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი მაინც დაამშვიდა: „ნუ ღელავთ, პარტია მალე დამთავრდება. მედინა მხოლოდ მაშინ უსტვენს, როცა ხედავს, რომ მისი პოზიცია სრულიად უიმედოა!“

* * *

◆ ლიტველ მოჭადრაკეს ვლადის მიკენასს პრესკონფერენციაზე წატრაბახება მოუნდა. მან განაცხადა: „აქ ბრძანდება დიდოსტატი პაულ კერესი, რომელსაც ამ 30 წლის წინ ჭადრაკის თამაშის გაკვეთილებს ვაძლევდი? „დიახ, რასაკვირველია, ასე იყო, — გულმოწყალედ თქვა კერესმა, — მაგრამ, საბედნიეროდ, მე მისგან არაფერი მისწავლია!“

საქართველოს რესპუბლიკა
№168, კვირა, 20 ივლისი, 1997 წელი

## ხიდები

# მოუმრავლეთ საქართველოს მეგობრები

დაიან პუსი პირველად არის საქართველოში. იგი შეყვარებულია საქართველოზე, თავის ორ ქართველ შვილობილზე — სოფო ქორიძესა და მაია ოქრუაშვილზე. დაიანი სოფოს „ამერიკელი დედაა“ და შვილობილის ოჯახში სტუმრობს. ერთი წლის წინათ მან საერთოდ არაფერი იცოდა საქართველოზე. ჩვენ კი ყოველთვის ვიცოდით ამერიკა, მაგრამ დიდხანს ისეთი გვეგონა, როგორსაც სკოლაში გვასწავლიდნენ: კაცთმოძულე, ომის გამჩაღებელი. და ძნელად თუ წარმოვიდგენდით, რომ იქ ისეთი წყნარი და თბილი ხალხი ცხოვრობს, როგორც სოფოს „ამრიკელი დედაა“.

სოფო ქორიძეს უკვე იცნობენ ჩვენი გაზეთის მკითხველები. იგი „განახლების ქართულ-ამერიკული დასის“ (პრეზიდენტი — ირაკლი ბოკუჩავა), ერთ-ერთი რჩეულთაგანია.

სოფომ ერთი წელი ისწავლა ამერიკაში. იქ ახალგაზრდა მხატვარ-დიზაინერთა კონკურსში გაიმარჯვა და კოლეჯის ოთხწლიანი დაფინანსება მოიგო. ამის შესახებ უკვე ვწერდით, ახლა იმიტომ გავიხსენე, რომ თვითონ მისმა დედობილმა აღნიშნა, სოფო და მაია ძალიან კარგად სწავლობდნენო.

დაიან პუსი რუსთავის მერიაში გავიცანი, იმ საზეიმო შეხვედრაზე, რომელიც რუსთავის მერიამ მოუწყო „განახლების ქართულ-ამერიკული დასის“ ახალ წარგზავნილებს ამერიკაში — ათ საუკეთესო რუსთაველ მოსწავლეს. აგვისტოდან ისინი ერთი წელი ამერიკაში ისწავლიან. პროგრამა მთლიანად რუსთავის მერიამ დააფინანსა.

— ერთი წლის შემდეგ თქვენ სხვანაირი დაგხვდებათ რუსთავი, — შეჰპირდა ბავშვებს ქალაქის მერი მერაბ ტყეშელაშვილი, — „დასმა“ სამეილიშვილო საქმეს ჩაუყარა საფუძველი, ეს ის სამომავლო საქმეა, რომელიც XXI საუკუნეში იჩენს თავს.

შეხვედრას, რომელიც ძალიან საინტერესოდ წარიმართა, უძღვებოდა „დასის“ პრეზიდენტი ირაკლი ბოკუჩავა. მან ისაუბრა „დასის“ საქმიანობაზე, მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე.

„დასის“ წყალობით რუსთაველი ბავშვები უკვე იცნობენ თავიანთ მომავალ „ამერიკელ მშობლებსა“ და „და ძმებს“. „მშობლებს“ ფოტოებიც კი გამოუგზავნიათ. ამ ხალისიანი ფოტოებიდან ძნელი მისახვედრი არ არის, როგორი გულითადი და მოსიყვარულე ოჯახებია, რა მოუთმენლად ელიან ქართველ შვილობილებს.

ოჯახების შერჩევა საგულდაგულოდ ხდება, — თქვა დაიან პუსმა, რომელიც ამერიკაში პარტნიორი ორგანიზაცია „პაქსის“ კოორდინატორია. მოკლედ, ქალბატონი დაიანი არამარტო ქართველი ბავშვების „დედაა“, იგი ამ საქმის ერთ-ერთი ორგანიზატორიც არის. მას ყველაფერი აინტერესებს საქართველოზე, ქართველებზე დაინტერესდა რუსთაველით — ქვემო ქართლის ცენტრით.

ბ-ნმა მერაბ ტყეშელაშვილმა სტუმარს მოუთხრო მეტალურგთა ქალაქზე. სტუმარ-მასპინძლებმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს ერთმანეთს.

დიდხანს ისაუბრეს სტუმარ-მასპინძლებმა. დიდხანს ისაუბრეს ბავშვებმა.



თბილისელმა მოსწავლეებმა, რომლებმაც ერთი წელი ისწავლეს ამერიკაში, თანატოლებს მოუთხრეს ამერიკული ცხოვრების წესზე, მისცეს მათ სასარგებლო რჩევები.

კონტაქტები გრძელდება. ეს საქმე, რომელსაც ხუთიოდე წლის წინათ ქ. ფოთში ჩაეყარა საფუძველი, უდაოდ პერსპექტიულია.

„ქართულ-ამერიკული დასის“ წყალობით ქართველი ახალგაზრდები შტატებში ისწავლიან.

ეს მომავალ საქართველოს სჭირდება!

**მზია გელენავა.**

**სურათზე: რუსთავის მერიაში შეხვედრის მონაწილენი.**

## პოლიცია

# სრულ სიმშვიდემდე ბევრი გვიკლია

რაც ამ ბოლო წლებში პოლიციამ გააკეთა, იმის დაუნახაობა მართლაც უმადურობაა, მაგრამ საბოლოო სიმშვიდემდე თურმე ჯერ კიდევ ძალიან ბევრი გვიკლია. თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში, სადაც წლევანდელი 6 თვის შედეგები შეაჯამეს, ნათლად დახატეს სადღეისო სურათი. და ეს სურათი საყურადღებო დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას გვაძლევს: არ შეიძლება მოდუნება. „შავი სამყარო“ თავისას არ იშლის. უკვე შეინიშნება ისეთი მძიმე კატეგორიის დანაშაულთა მატება, როგორიცაა განზრახ მკვლელობა. ყაჩაღური თავდასხმა...

საერთოდ, წლეულს სისხლის სამართლის ხაზით აღრიცხულია 1809 დანაშაული. ეს 4,8 პროცენტით სჭარბობს შარშანდელი ამავე პერიოდის მაჩვენებელს. დაუკავებიათ 250 ჯგუფი 600-ზე მეტი კაცის რაოდენობით, რომელთაც ჩაუდენიათ დაახლოებით 300 დანაშაული. მარტოოდენ ეს ციფრებიც აალელვებს საზოგადოებას და იმასაც ათქმევინებს, რომ პოლიციას საქმე კვლავაც თავსაყრელი აქვს.

საერთო დანაშაულში 35 პროცენტი ქურდის დანაშაულს უკავია და ესეც არაა პატარა ციფრი. მით უმეტეს, თუ აღრინდელივით უფრო და უფრო თავს გვახსენებს ცეცხლსასროლი იარაღი.

ჩვენდა სამწუხაროდ, პოლიციას მხრებზე აწევს გასული წლების „ნამთევიც“. გაუხსნელია 10.000-ზე მეტი დანაშაული, დასაძებნია 400-ზე მეტი მკვლელი. ლამის ეროვნულ ტრაგედიად იქცეს ნარკომანია, პროსტიტუცია... არავის ეგონოს, რომ რაიმეს ვამუქებთ. ერთ-ერთი გამომსვლელის სიტყვაში პირდაპირ გაისმა: — ისევ ხომ არ დავარისხოთ კაკაბეთის ზარები?

გვესმის, — პრობლემები, ხელისშემშლელი პირობები ქალაქის პოლიციასაც ბლომადა აქვს და პროკურატურასაც. მაგრამ, როგორც იტყვიან, მათ სხვა გზა არა აქვთ — ერთხელ დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანონ, მოპოვებული პოზიციები აღარ უნდა დათმონ, ხალხს მათი სწამს და ეს რწმენა არ უნდა შეირყეს.

**ბადრი იაშვილი.**

### მსოფლიო ბანკის მუნიციპალური განვითარების და დეცენტრალიზაციის პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი აცხადებს კონკურსს შემდეგი მაღალანაზღაურებადი თანამდებობების დასაკავებლად:

1. ფინანსური და ეკონომიკური ანალიტიკოსი;
2. შესყიდვების სპეციალისტი;
3. მუნიციპალური ინჟინერი;
4. აღრიცხვისა და თანხების გადარიცხვის სპეციალისტი

კანდიდატები უნდა თავისუფლად ფლობდნენ ინგლისურ ენას და ჰქონდეთ განათლება და გამოცდილება შესაბამის სფეროებში. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ბიოგრაფიული მონაცემები (**Curriculum Vitae**) ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: ალ. ყაზბეგის გამზ. 42.

ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო

მსოფლიო ბანკის „საინსტიტუციო მშენებლობის პროექტის“ განმახორციელებელი რგოლი

მე-5 სართული. ტელ: 95-08-65

გთხოვთ დარეკოთ 12-დან 17 საათამდე.

### საქართველოს კულტურის ფონდი სასწრაფოდ ჰყიდის თავის საკუთრებაში არსებულ შემდეგ სააქციო საზოგადოებათა აქციების პაკეტებს:

| | 1 | 2 |
|---|---|---|
| 1) სს „ლიხაურის ჩაის ფაბრიკა“ | 1880 | 1,2525 |
| 2) სს „საქქალაქმშენი“ | 3630 | 2,146 |
| 3) სს „ლეხურა“ | 501 | 0,289 |
| 4) სს „თრიალეთი“ | 5538 | 1,5022 |
| 5) სს „ინჟმშენი“ | 13755 | 3,8141 |
| 6) სს „სალიეთი“ | 79627 | 59,681 |
| 7) სს „რუსთავცემენტი“ | 24868 | 2,2997 |
| 8) სს „საქტემშენიტი“ | 74226 | 59,455 |
| 9) სს „ცენტრ. ავტოვაგზალი“ | 551 | 0,2239 |
| 10) სს „სუფსა“ | 15219 | 39,326 |
| 11) სს „მერკური-92“ | 10862 | 2,7541 |
| 12) სს „ლითოგრაფი“ | 153 | 0,6033 |
| 13) სს „გრანიტი“ | 14620 | 16,607 |
| 14) სს „ფერმერი“ | 21847 | 48,39 |
| 15) სს „ექსპრესი“ | 13876 | 23,007 |
| 16) სს „სიმონეთის ღვინის ქარხანა“ | 2662 | 2,5352 |
| 17) სს „ბორჯომის მინის ტარა“ | 1262 | 0,8599 |
| 18) სს „ველისციხე“ | 68891 | 47,748 |
| 19) სს „მასპინძელი“ | 2100 | 0,2691 |
| 20) სს „თამბაქოს საფერმენ. ქ-ნა პერეთი“ | 74006 | 32,987 |
| 21) სს „საქართველოს შაქრის კომ-ტი“ | 1231 | 0,8351 |
| 22) სს „კრისტალი“ | 6575 | 1,6652 |
| 23) სს „სასტუმრო ივერია“ | 224612 | 28,218 |
| 24) სს „სასტუმრო აჭარა“ | 419066 | 40,024 |
| 25) სს „ფოთი-მაცივარი“ | 24180 | 17,446 |
| 26) სს „ფოთინავთობპროდუქტი“ | 24843 | 16,866 |
| 27) სს „კომფორტი“ | 51085 | 31,184 |
| 28) სს „თბილხელსაწყო“ | 229620 | 40,979 |
| 29) სს „ბაისუბანი“ | 92917 | 36,372 |
| 30) სს „ვაჩნაძიანი“ | 131113 | 22,94 |
| 31) სს „საქწყალპროექტი“ | 1254 | 0,6078 |
| 32) სს „სასტუმრო უშბა“ | 27245 | 34,769 |
| 33) სს „ფოთის მაცივარ-კომ-ტი“ | 27897 | 8,7403 |
| 34) სს „ტრანსკვებსერვისი ალავერდი“ | 82608 | 40,238 |
| 35) სს „იორი“ | 17337 | 30,08 |
| 36) სს „მეტეხი“ | 4000 | 2,9006 |

აქციათა პაკეტების ყიდვის მსურველთა წინადადებები მიიღება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი № 48, საქართველოს კულტურის ფონდი, 21 ივლისიდან 24 ივლისამდე, დილის 10 საათიდან 17 საათამდე.

საქართველოს კულტურის ფონდი.

1. გასაყიდი აქციების რაოდენობა 2. პროცენტი



დედა ადა კიკნაძე, მეუღლე მარინა კუჭუხიძე, შვილები სალომე, თამარი, და მაია მათიაშვილი, მამიდა ნათელა ჩიკვაიძე, დეიდა მარინა კიკნაძე, სიდედრი ნანა ჩხუბიანიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიგა კიაზოს ძე მათიაშვილი

პანაშვიდი 20, 21 VII, 5 ს. გამოსვენება 22 VII, 4 ს. თარხნიშვილის № 26.

დედა ლალი, მამა გივი, და მაია, დისწული ზურაბი, ბებიები მარგო, ეთერ, ბაბუები როლანდ ჯანყარაშვილი, ამბროსი აბულაძე, მამიდა თამარ, ბიძა გივი ზედელაშვილი, თამაზ ნატროშვილი, ვალერი გახოკიძე, მამიდაშვილი გიორგი, დეიდები მანანა, დარეჯან აბულაძეები, სიძე სპარტაკ ბაგალიშვილი, დეიდაშვილები ქეთი, ნიკა, ირაკლი, ავთო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოჩა გივის ძე ჯანყარაშვილი

პანაშვიდი 22, 23 VII, 5 ს. დაკრძალვა 24 VII, 3 ს. სიღნაღის რ. სოფ. ქვემო მაჩხაანში.

მეუღლე ეთერ ოდიშარია, შვილი ხატია, სიძე გია სეხნიაშვილი, შვილიშვილი მარიამ, დისწული ხათუნა ჯალაღონია, მამიდაშვილები ვენერა ჩხარტიშვილი, ნანი კეშელავა, ბიძაშვილები ფაცია, ქორჟი, სიძე გული კვარაცხელია, მძახლები ციცო, ამირან სეხნიაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურამ ვარლამის ძე მოისწრაფიშვილი

პანაშვიდი 22, 23 VII, 5 ს. გამოსვენება 24 VII, 4 ს. არსენას ქ. № 30.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურამ ზოზიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი არჩილ მანჯგალაძე.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.

სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.